თსუ
მეცნიერება

N7, დეკემბერი, 2015

უნიკალური აღმოჩენა

ბრაჯლიან ბორაზე ძვ.წ. VII საუკუნის ტაძრის ორი საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯეჰჯეორობით უცნობი დამწერლობის ტექსტები

თსუ მეცნიერება

სარჩევი

თსუ მეცნიერება • 2015 წელი



3 თსუ – რეგიონის ლიდერი უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჟირებების სისტემების მიხედვით

5 თსუ მეცნიერთა უნიკალური აღმოჩენა

9 კვლევა „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის“ შესახებ

12 ანთიმოზ ივერიელი – ქართულ-ევროპული დიალოგი

16 გელათის კატენებიანი ბიბლია

18 პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ინდიკატორები ცხოვრებისეულ ისტორიებში

22 მოქალაქეობის სტილი საქართველოში

25 მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის

28 კვლევები უსაფრთხოების საკითხებზე თსუ-ში

31 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაცია

34 პრობაციის სამართლის სახელმძღვანელო

36 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში

39 ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგია და პრობლემები

თსუ
მეცნიერება

№7, 2015

სარედაქციო კოლეგია:

ვლადიმერ პაპავა – თსუ რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
მერაბ ელიაშვილი – თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე
ლევან ალექსიძე – თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი, აკადემიკოსი
გიორგი ღვედაშვილი – თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი
რევაზ გაჩეჩილაძე – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
იაგო კაჭკაჭიშვილი – თსუ პროფესორი
თამაზ ჯოლოგუა – თსუ ასოცირებული პროფესორი
ელგუჯა ხინთიბიძე – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
რისმაგ გორდეზიანი – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
აპოლონ სილაგაძე – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გურამ ლორთქიფანიძე – თსუ ემერიტუსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ზაზა ალექსიძე – თსუ ემერიტუსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
შოთა სამსონია – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ნოდარ ცინცაძე – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ლია მაჭავარიანი – თსუ პროფესორი
გია სირბილაძე – თსუ პროფესორი
გრიგოლ სოხაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი
კარლო აქიმიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი
მიხეილ გედევანიშვილი – თსუ ემერიტუსი
რომან შაქარიშვილი – თსუ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ლავრენტი მანაგაძე – თსუ ემერიტუსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
თეოდორე ნინიძე – თსუ პროფესორი
ლადო ჭანტურია – თსუ პროფესორი
ბესარიონ ზოიძე – თსუ პროფესორი
იური ანანიაშვილი – თსუ პროფესორი
თემურ შენგელია – თსუ პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
ნუგზარ პაიჭაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი
ნანა მამაგულიშვილი – თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი

რედაქტორი – თამარ ხორბალაძე
ნომერზე მუშაობდნენ – ლელა მჭედლიძე, თამარ კაციტაძე, ქეთევან გაბოშვილი
დიზაინი – ზაზა გულაშვილი

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, 2015

დაიბეჭდა შპს „ფავორიტში„

Favorite
YOUR BEST PARTNER

სარჩევი

41 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გოტინგენის უნივერსიტეტის მრავალწლიანი ურთიერთობები გრძელდება

43 ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც შეიძლება ენერგიის ალტერნატიულ წყაროდ იქცეს

46 აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად დაძირული ნალექების ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების შესახებ

48 ქართველი მეცნიერების კვლევები – ფრინველთა და ცხოველთა ბალანსირებული კვების გასაუმჯობესებლად

50 თსუ მეცნიერებმა შავი ზღვის რეგიონული მოკლევადიანი პროგნოზის სისტემის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა

52 ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში და პრევენციის თანამედროვე მიდგომები

55 კვლევა მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე

58 მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციები და დივერსიფიკაციის შესაძლებლობები საქართველოში

61 კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში

65 უცხოური ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის აღქმის სპეციფიკა

67 თსუ საერთაშორისო კონფერენციები 2015

თსუ – რეგიონის ლიდერი უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჟირებების სისტემების მიხედვით

2015 წელი უნივერსიტეტისთვის საინტერესო წელი აღმოჩნდა საერთაშორისო რანჟირების სისტემებში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ეს სისტემები ქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად განვითარებულია უნივერსიტეტი, რამდენად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ საგანმანათლებლო სტანდარტებს სწავლა და კვლევა აქ და რა ადგილი უკავია მას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.



#179	University of Oregon United States Eugene, OR #227 (tied) – Best Global Universities	62.1
#183	Delft University of Technology Netherlands Delft #187 (tied) – Best Global Universities	61.6
#183	University of Bari Italy Bari #375 (tied) – Best Global Universities	61.6
#185	Technical University of Denmark Denmark Kongens Lyngby #171 (tied) – Best Global Universities	61.1
#185	University of Montreal Canada Montréal, Québec #114 (tied) – Best Global Universities	61.1
#187	Ivane Javakhishvili Tbilisi State University Georgia Tbilisi	60.9
#187	Jagiellonian University Poland Kraków #340 – Best Global Universities	60.9
#187	Kansas State University United States Manhattan, KS #352 (tied) – Best Global Universities	60.9

თსუ პირველად მოხვდა ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში. კერძოდ, მიმართულებების მიხედვით რანჟირებაში ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის

რამდენიმე მონაცემი 2015 წლის შედეგებიდან:

2015 წლის მარტის მონაცემებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP)) რეიტინგებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი სერტიფიკატი უნივერსიტეტმა საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო. რეიტინგების მიხედვით, ცალკეულ კვლევით მიმართულებებში თსუ კიდევ უფრო შთამბეჭდავ შედეგს აჩვენებს. ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 175-ე ადგილზეა, ხოლო მათემატიკურ მეცნიერებებში კი 387-ე ადგილზე. URAP-ის რეიტინგებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოდან ერთადერთი და კავკასიაში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ამავე მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 23887 უნივერსიტეტს შორის თსუ საუკეთესო 5%-ში, ხოლო ევროპის 4000 უნივერსიტეტიდან საუკეთესო – 10%-

თსუ აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP)) რეიტინგებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა.



2015 წელს თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა

შია. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნივერსიტეტებს შორის თსუ იკავებს მეშვიდე პოზიციას ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტარტუს, სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო, ვილნიუსის, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო და მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის უნივერსიტეტების შემდეგ. URAP-ის რეიტინგებით თსუ-ს აკადემიური აქტივობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო 5 წლის მანძილზე. 2011-2012 წლებში თსუ 1600-ე, 2012-2013 წლებში – 1394-ე, ხოლო 2013-2014 წლებში – 1066-ე ადგილს იკავებდა. შეგახსენებთ, რომ URAP, როგორც კვლევითი ლაბორატორია 2009 წელს შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ინსტიტუტში. მისი მთავარი ამოცანა მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემის შექმნაა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტების აკადემიურ აქტივობას სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხით და რაოდენობით. 2010 წლიდან URAP-ი ყოველწლიურად აქვეყნებს 2000 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის მსოფლიო რეიტინგს. URAP-ის 2014-2015 წლების მსოფლიო რეიტინგი ეფუძნება აკადემიური აქტივობის 6 ინდიკატორს, მათ შორის პუბლიკაციების ხარისხსა და რაოდენობას, ციტირების ინდექსს, ასევე საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციას.

2015 წლის სექტემბრის მონაცემებით კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციამ მსოფლიო უნივერსიტეტების უკვე სხვა – www.webometrics.info-ს რანჟირების სისტემაში მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. www.webometrics.info-ს რანჟირებით, კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

რაც კიდევ უფრო სასიხარულო და აღსანიშნავია, 2015 წლის ოქტომბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველად მოხვდა ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოს მასშტაბით. კერძოდ, მიმართულებების მიხედვით რანჟირებაში ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის; საქართველოს უნივერსიტეტებიდან თსუ ერთადერთია, რომლის პროფილი განთავსებულია ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემის ვებ-გვერდზე. ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემა, რომელმაც 2015 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა უნივერსიტეტების რანჟირების შედეგები, მიმართულებების მიხედვით რანჟირებისას ძირითადად ბიბლიომეტრიულ მონაცემებსა და ციტირების ინდექსს ეყრდნობოდა. თსუ-სთან ერთად მსოფლიოს 45 უნივერსიტეტი ვერ მოხვდა უნივერსიტეტების საერთო რანჟირებაში (750 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის), მაგრამ მოხვდა მიმართულების მიხედვით რანჟირებაში. შეგახსენებთ, რომ ტომსონ როიტერი არის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო წყარო, რომლის პროექტი „საერთაშორისო ინსტიტუციური პროფილი“ ქმნის მსოფლიოს კვლევითი ინსტიტუტების ზუსტ და ამომწურავ პროფილს.

თსუ მეცნიერთა უნიკალური აღმოჩენა

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება.
2015 წლის ზაფხული ისტორიაში შესაძლოა საინტერესო სამეცნიერო თარიღად შევიდეს თსუ მეცნიერთა და სტუდენტთა უნიკალური აღმოჩენის წყალობით – თსუ არქეოლოგიური ექსპედიციების ტერიტორიაზე, გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.

ვახტანგ ლიჩელი

არქეოლოგი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ინსბრუკის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მრავალ ქართულ და ქართულ-უცხოურ არქეოლოგიურ ექსპედიციასა და პროექტს. არის 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა თქმით, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალაღმოჩენილ არტეფაქტებს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მისი თქმით, „წარწერა, რომელიც თსუ ექსპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მას ანალოგი არ მოეპოვება. რაც ყველაზე მთავარია, ის განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეს, ანუ, საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე 2700 წელს ითვლის. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული, ამ ტაძარში გამართულია 2 საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე წარწერაა აღმოჩენილი. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, არის რამოდენიმე ასო გამოყვანილი თიხით და მეორე საკურთხევლის პოსტამენტი მთლიანად არის დაფარული წარწერით.“ თსუ პროფესორის განცხადებით, „წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს“, ამბობს იგი. გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები – პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო – ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი; უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის

ძვ. წ. VII საუკუნის ტაძრის გათხრების პროცესი





გრაკლიანი გორის III და IV ტერასის ნიშნულების პროფილი



გრაკლიანი გორა. ნამოსახლარი და სამაროვანი

ღუმელი. გრაკლიანი გორის IV ტერასა.

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა.

საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი). მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღმოჩენილი რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის, საკულტო წისქვილი – 3 კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა. წმინდა ფქვილით ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული. გრაკლიან გორაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. წლის დასაწყისში გრაკლიან გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით კი ამ ტერიტორიაზე გრაკლიანის არქეოლოგიური გორის ღია მუზეუმი გაკეთდება. ამჟამად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით უკვე დასრულებულია ძეგლის დაცვისათვის აუცილებელი გადახურვის კონსტრუქციის მშენებლობა.

ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა – საქართველოს გარდა – უკვე გააკეთა რამოდენიმე პრეზენტაცია უცხოეთში – ორჯერ გერმანიაში, ხოლო ერთხელ – სანკტ-პეტერბურგში, ირანისტთა და აღმოასვლეთმცოდნეთა მერვე საერთაშორისო კონგრესზე. ახლადაღმოჩენილმა წარწერამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მისი შესწავლის სურვილი გამოთქვეს ბორდოსა (საფრანგეთი) და ლონდონის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტებმა.

ვახტანგ ლიჩელის წინასწარული გამოკვლევა გრაკლიანი გორის წარწერის შესახებ გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2015 წლის ნოემბერში ჩატარებული ქართველოლოგიური კონგრესის მასალებში.

კვლევა „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის“ შესახებ

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებით შესწავლას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს და შედეგად დაგროვილია ვრცელი ლინგვისტური მასალა ეტიმოლოგიური ლექსიკონების, მონოგრაფიებისა თუ ცალკეული სამეცნიერო სტატიების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა „ახალი პარადიგმა“, დღემდე არ შეჯერებულა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგები, არ განხორციელებულა ამ შედეგების სისტემური თანმიმდევრული ანალიზი იმ მიზნით, რომ შექმნილიყო ქართველურ ენათა სრულყოფილი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა.

თამაზ გამყრელიძე

აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ პრეზიდენტი (2005-2013 წწ.); „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ საპატიო პრეზიდენტი (2013 წლიდან). არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და საკავშირო (ამჟამად - რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უცხოელი წევრი (ქ. ვაშინგტონი); ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი (ქ. კემბრიჯი); ევროპის მეცნიერებათა აკადემიის („აკადემია ევროპეა“) ნამდვილი წევრი (ქ. ლონდონი); ბრიტანეთის აკადემიისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (ქ. ბუდაპეშტი), საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (ქ.ლაიფციგი), ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (ქ. რიგა), მეცნიერებათა და ხელოვნებათა ეროვნული აკადემიის წევრი (ქ. ზალცბურგი), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (ქ. ვაშინგტონი), ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი (იყო ამ საზოგადოების

„მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის სისტემურ შეჯამებას, როგორც წესი, წარმოადგენს მოცემულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა. ამგვარ შეჯამებას სრულყოფილებას მატებს ფუძეენის დონეზე რეკონსტრუირებული ლექსიკონი. სასურველია, ეს უკანასკნელი სტრუქტურირებული იყოს თემატურად, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ისტორიულ-შედარებითი კვლევის გაღრმავება და გაფართოება შესაბამის ფუძეენაზე მოლაპარაკე ხალხთა სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლის მიზნით“, - ასე ხსნის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის“ შესახებ დაწყებული კვლევის მნიშვნელობას, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა (პროექტის ხელმძღვანელი – აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ძირითადი შემსრულებლები: აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, თსუ-ს ასოცირებული პროფორები რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი და ეთერ სოსელია).

აღნიშნული პროექტი, ფაქტობრივად პირველად, გვთავაზობს ერთიან, თანმიმდევრულ და სისტემურ ანალიზს ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევებისა. მასში შეჯერებულია განსხვავებული თვალსაზრისები დღემდე ამ მიმართულებით არსებული ნაშრომებისა, რის შედეგადაც ივარაუდება ერთიანი წარმოდგენის შემუშავება საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის შესახებ, და რაც მთავარია, ნაშრომში შესატყვისობათა სრული სისტემის შეჯერების საფუძველზე აღდგენილია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემა ისტორიულ-შედარებითი კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტიპოლოგიური მონაცემების სათანადო გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება გრამატიკის ძირითადი საკითხები, მათ შორის – სახელური და ზმნური პარადიგმების ძირითადი მახასიათებლები, აგრეთვე – ზოგიერთი სინტაქსური მახასიათებელიც, მაგალითად, საერთო-ქართველური ფუძეენის სინტაქსური წყობის საკითხი...

პროექტში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემატიკაზე; ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ხშირად რეკონსტრუირებულია ენობრივი ფორმა და არ არის მითითებული შესაბამისი სემანტიკა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფონოლოგიურად შესატყვისი ფორმები სემანტიკურ სხვაობას ავლენენ. თანამედროვე ენათმეცნიერებაში სემანტიკური კვლევის გაფართოებამ, კოგნიტიური ლინგვისტიკის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა სემანტიკური რეკონსტრუქციების განსახორციელებლად.

„წარმოდგენილი პროექტი ვარაუდ-

პრეზიდენტი _ 1986 წ.), ინდოევროპული საზოგადოების საპატიო წევრი (გფრ); ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.
თამაზ გამყრელიძე არის ლენინური პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში, ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი; ივ. ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი.
იყო „სსრკ უზენაესი საბჭოს“ წევრი, საქართველოს უზენაესი საბჭოსა და რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი (1990-1992 და 1992-2003 წლებში); სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი.
დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“; საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის ოქროს ორდენით; მინიჭებული აქვს „თბილისის საპატიო მოქალაქის“ წოდება; აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე იკვლევს კულტურის ისტორიის, აღმოსავლეთ-მცოდნეობისა და თეორიული ენათმეცნიერების, ძველი აღმოსავლური ენების, ინდო-ევროპული, სემიტური, ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიის საკითხებს. მისი მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი გამოცემულია ქართულსა და უცხოურ ენებზე.

წარმოდგენილი პროექტი ვარაუდობს საერთო-ქართველური ენის ერთიანი სისტემის რეკონსტრუქციას, რაც გულისხმობს არა მარტო ფონოლოგიური სისტემის აღდგენას, არამედ ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების რეკონსტრუქციასაც.
პროექტი მხოლოდ ამ პრობლემატიკით არ შემოიფარგლება. ასევე ივარაუდება ფუძეენის სისტემატიზებული სემანტიკური ლექსიკონის შექმნა, რაც, ფაქტობრივად, საერთო-ქართველური ლექსიკონის სტრუქტურირებას ნიშნავს თემატური სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. „ვფიქრობთ, პროექტით გათვალისწინებული კვლევა იძლევა საფუძველს აღვადგინოთ ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთა პრეისტორიული განვითარების ადეკვატური სურათი და წარმოდგენა შეგვექმნას ამ ხალხთა უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ

ობს საერთო-ქართველური ენის ერთიანი სისტემის რეკონსტრუქციას, რაც გულისხმობს არა მარტო ფონოლოგიური სისტემის აღდგენას, არამედ ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების რეკონსტრუქციასაც.

პროექტი მხოლოდ ამ პრობლემატიკით არ შემოიფარგლება. ასევე ივარაუდება ფუძეენის სისტემატიზებული სემანტიკური ლექსიკონის შექმნა, რაც, ფაქტობრივად, საერთო-ქართველური ლექსიკონის სტრუქტურირებას ნიშნავს თემატური სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. „ვფიქრობთ, პროექტით გათვალისწინებული კვლევა იძლევა საფუძველს აღვადგინოთ ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთა პრეისტორიული განვითარების ადეკვატური სურათი და წარმოდგენა შეგვექმნას ამ ხალხთა უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ,“- აცხადებენ პროექტის ძირითადი შემსრულებლები.

მათი განმარტებით, აღნიშნული კვლევა აქტუალურია არა მხოლოდ ქართველოლოგიისათვის, საერთო-ქართველური ერთიანი ენობრივი სისტემის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის საზოგადოდ, რადგან საერთო-ქართველური ფუძეენა ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე (V-III ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოიაზრება პროტო-ინდოევროპულთან და პროტო-სემიტურთან ერთად. შესაბამისად, საერთო-ქართველურ ფუძეენაზე მოლაპარაკენი წინა აზიის კულტურული არეალის უძველესი ცივილიზაციის ხალხებს შორის ექცევიან. სწორედ ამიტომ ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ქართველურ ენათა სისტემური შედარებით-ისტორიული შესწავლის შუქზე, ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს ინდოევროპულ და სემიტურ ენათმეცნიერებაშიც; ამასთან ერთად, მიღებული შედეგები საინტერესოა კავკასიურ ენებთან მიმართების თვალსაზრისითაც, რამდენადაც ობიექტური დასკვნა ქართველური (სამხრეთკავკასიური) და ჩრდილოკავკასიური ენების ურთიერთმიმართების შესახებ მხოლოდ შესაბამისი ფუძეენების შედარება-შეპირისპირების შედეგად შეიძლება გაკეთდეს.

აღნიშნული ტიპის სამუშაოს ჩასატარებლად პროექტის მონაწილეებს მოუხდათ თავმოყრა ქართველოლოგიური ისტორიულ-შედარებითი კვლევების შედეგებისა, რათა მათი შეჯერება-შეპირისპირება განხორციელებულიყო ერთი განსაზღვრული „პარადიგმის“ ფარგლებში, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით. რეგულარულ ფონოლოგიურ შესატყვისობათა სისტემის დაზუსტებისას, შესატყვისობათა განსხვავებული ინტერპრეტაციების შეჯერება-შეპირისპირების დროს სავსებით დასაშვებია, რომ განსხვავებული ინტერპრეტაციები ერთმანეთის მიმართ „კომპლემენტარულნი“ აღმოჩნდნენ ფუძეენის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის (უშუალოდ დაშლის წინა პერიოდისა და უფრო ადრინდელი დონის) გათვალისწინებით. სწორედ ამგვარი ვითარება დასტურდება, მაგალითად, „სიბილანტთა შესატყვისობების“ განსხვავებული ინტერპრეტაციების შედარება-შეჯერების შედეგად...

პროექტზე მუშაობა თითქმის დასასრულს უახლოვდება. პროექტით გათვალისწინებული კვლევის შედეგად გამოსაცემად მომზადდება ძირითადი ტექსტი ერთიანი მონოგრაფიისა „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (საერთო ქართველური სემანტიკური ლექსიკონითურთ)“;

პროექტის დასასრულს გამოიცემა კონკრეტული საკვლევი საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული.



სულთან-სობას ატლასი, რომელიც 1716 წელს ეგრიდებოდან დაბრუნებულმა ქართველმა ელჩმა თან ჩამოიტანა. ატლასზე დატანილია სულთან-სობას მიერ შეტრუფებული ქართული ნაჩენები.

ანთიმის გამოცემები

„ანთიმოზ ივერიელი – ქართულ-ევროპული დიალოგი“

„მთელ რიგ უბედურებათა შორის, რაც ადამიანის სულსა და გულს სასტიკად ანადგურებს და ამახინჯებს, ყველაზე უფრო საშინელია გაუნათლებლობა, უცოდინარობა და აზრის შეზღუდულობა“ – ეს სიტყვები ეკუთვნის რუმინეთში მოღვაწე უდიდეს ქართველ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს, რუმინეთისა და საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ რუმინეთის მიტროპოლიტს ანთიმოზ ივერიელს (1650-1716). მისი მემკვიდრეობა ქართულ ენაზე დღემდე არ იყო ნათარგმნი და, აქედან გამომდინარე, ქართულ სამეცნიერო სივრცეში პრაქტიკულად არ იყო შესწავლილი. მიზეზი ის არის, რომ ანთიმოზ ივერიელის თხზულებათა უდიდესი ნაწილი რუმინულ ენაზეა შესრულებული, ხოლო ბერძნულ და არაბულ ენებზე შექმნილი წერილები სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკების საცავებშია შემონახული. რუმინულ ენაზე შესრულებული მემკვიდრეობის კომპლექსური სამეცნიერო კვლევები მხოლოდ მოკლე ინგლისურენოვანი რეზიუმეებითაა წარმოდგენილი. რუმინულ კულტურულ სივრცეში ანთიმოზ ივერიელის როლი და მნიშვნელობა უზარმაზარია – იგი აღიარებულია რუმინულ ენათმეცნიერებაში ლიტურგიული და კლასიკურ-ლიტერატურული ენების ერთ-ერთ მთავარ დამფუძნებლად, საეკლესიო სამართალშემომქმედ-ჰომილეტად, უბადლო რიტორად და მქადაგებელად, განათლებისა და სასტამბო საქმის ორგანიზატორად, კლასიკური, აღმოსავლური და ევროპული ენებიდან დახვეწილი თარგმანების ავტორად, რუმინული სალიტერატურო და საეკლესიო ენის რეფორმატორად, ეკლესია-მონასტრების ქტიტორად, დახვეწილი გემოვნების ხუროთმოძღვარ-კალიგრაფად, სასულიერო სკოლებისა და რუმინეთში პირველი საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელად.



ანთიმის გამოცემები

ანასტასია ზაქარიაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. მინიჭებული აქვს კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში. არის ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.
2011-2014 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსის მოადგილე, აგრეთვე თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
არის სამოცამდე პუბლიკაციის, მათ შორის სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ავტორი. მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო გრანტებში. ორგანიზატორი და მონაწილე იყო 50-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის – როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები, იტალიაში, ისრაელში, პოლონეთში, რუმინეთში, უკრაინაში და ა.შ.

ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების და მოღვაწეობის ქართველ მკითხველამდე მიტანის მიზნით შეიქმნა პროექტი „ანთიმოზ ივერიელი-ქართულ-ევროპული დიალოგი“. პროექტმა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში გაიმარჯვა და მისი დასრულება 2016 წლის აპრილსაა დაგეგმილი. კვლევას ახორციელებდა თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტის პროფესორთა ჯგუფი: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონსტანცის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ანასტასია ზაქარიაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორები: ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, დემური ჯალაღონია, თსუ მოწვეული პროფესორი, ღვთისმეტყველების დოქტორი, დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი. პროექტის განხორციელებაში, როგორც დამხმარე პერსონალი, ჩართულნი არიან: სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, თეოლოგიის მაგისტრი, თსუ ფილოსოფიის დოქტორანტი, დეკანოზი გიორგი წეროძე და ფილოლოგიის დოქტორი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

როგორც პროექტის ავტორი ანასტასია ზაქარიაძე განმარტავს, იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს უცხოეთში მოღვაწე ღვთისმეტყველის და ფილოსოფოსის შემოქმედება გაეცნო, საჭირო გახდა ანთიმოზ ივერიელის თხზულებების რუმინული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა. შეირჩა და ითარგმნა ანთიმოზ ივერიელის ყველაზე ცნობილი ნაშრომი „დიდაქეები„ – ქადაგებების სრული კორპუსი, ასევე მსოფლიო კანონიკური სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი -ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი, თხზულებები: „კანონთა თავები“, „საეკლესიო სწავლება“, „სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ“, თავდასაცავად დაწერილი უსტარები, ანთიმოზ ივერიელის მიერ დასტამბულ გამოცემათა წინასიტყვაობები და მიძღვნები.

მკვლევარის აზრით, „ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა და შემოქმედება აუცილებელი ელემენტია ქართული თეოლოგიური აზროვნების განვითარებაში, რადგან მისი სახით განხორციელდა განმანათლებლობის ეპოქაში ქართული ტრადიციული რელიგიური ცნობიერების განახლება და ევროპულ თეოლოგიურ აზროვნებასთან ახალი დაბრუნება. ანთიმოზ ივერიელმა შესძლო როგორც ზოგადად თეოლოგიურ აზროვნებაში, ასევე დასავლურ აზროვნებასთან კავშირის ხუთ საუკუნოვანი წყვეტილის დაძლევა, და აღადგინა თეოლოგიურ-კულტურული დიალოგი ევროპულ თეოლოგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცესთან“, – აღნიშნავს პროექტის ხელმძღვანელი.

ქართველ მეცნიერთა განცხადებით, ანთიმოზ ივერიელი გვევლინება დასავლური განმანათლებლობის პროექტის გამორჩეულ თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად იმდროინდელ მსოფლიოში. მას მიაჩნია, რომ გონების საჭირო გამოყენება პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ რეალიზდება, თუ განვითარდება პოლიგრაფიული წარმოება, წიგნების ბეჭდვა, თარგმნა და ტირაჟირება. ანთიმოზისათვის „აზროვნების თავისუფლების ზეიმი“ უნდა მომზადდეს აზრის წერილობითი გადმოცემის ფორმით და ეს უნდა მოხდეს

ანთიმის მიერ შექმნილი პირადი ღერბი

ანთიმის მონასტერი ბუქარესტში

ბილინგვური და პოლილინგვური ინტერტექსტუალური საქმიანობით, კულტურათა დიალოგით. ანთიმოზისეული „პროექტი“ პრინციპულად შორდება კანტიანურ „პროექტს“ გონების ავტონომიის პუნქტში, და შესაბამისად, „გონების რელიგიის“ უპერსპექტივობაზე და დესტრუქციულ პოტენციალზე მკაფიო მითითებებს შეიცავს.

ანთიმოზ ივერიელის საღვთისმეტყველო მემკვიდრეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალი ეპოქის გამოწვევების კონტექსტში იგი ბიზანტიური თეოლოგიის ტრადიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების დახვეწილ ნიმუშია. ევროპული განმანათლებლობის პერიოდში, ანთიმოზი გვევლინება მართლმადიდებლური თეოლოგიური ტრადიციის კრეატიული ადაპტაციის განმახორციელებელად. ესაა, მისი აზრით, ეპოქის განათლების მთავარი მიზანი. ანთიმოზი პროტესტანტულ და კათოლიკურ ვარიანტებში როგორც სციენტიზმის, ასევე ქრისტიანობის ცალმხრივობის საფრთხეებს ხედავდა. ამით განსხვავდება ანთიმის ხედვა ევროპული განმანათლებლური მოძრაობის ისეთი რადიკალური შენაკადებისგან, როგორიცაა ერთის მხრივ მატერიალიზმი და მეორე მხრივ – რაციონალური თეოლოგია.

ავტორის თქმით, ანთიმოზ ივერიელის, როგორც ფილოსოფოსის ხედვის სიახლე წარმოჩნდა ეთიკურის პრიმატის ონტო-თეოლოგიურ დაფუძნებაში და კოგიტოს პრინციპის თეოლოგიურ ტრანსფორმაციაში. ამით მან შესძლო დაეძლია განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის დილემები.

როგორც პროექტის ავტორი განმარტავს, ანთიმოზ ივერიელის მიერ ჩამოყალიბებული მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრინციპები კანონიკური სამართლის პოზიციებიდან აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის. 1995 წლის საკონსტიტუციო შეთანხმება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ცოცხალი ისტორიული პროცესის საწყისია. ეს პროცესი, სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, გულისხმობს სამი სამართლებრივი სფეროს – კანონიკური სამართალი, ეროვნული სამართალი და საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლებრივი რეალობანი, ჰარმონიზებას.

ანთიმოზ ივერიელის მიერ ნათლად გამოიკვეთა ეკლესიის კულტურული მისია. „ალინიზაციისა“ და „სლავიზაციის“ ტენდენციების დაძლევით პრაქტიკულად განხორციელდა წმ. ანთიმისეული „სემიოზისის“ დევიზი: „მე მირჩევნია ეკლესიებში ითქვას მხოლოდ ხუთიოდე სიტყვა იმ ენებზე, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნება, ვიდრე წარმოითქვას ოციათასი სიტყვა მსმენელისათვის გაუგებარ ენაზე“.

ანასტასია ზაქარიაძის განმარტებით, ჩატარებული კვლევის სიახლე იმაშია, რომ განხორციელდა ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის კომპლექსური, დისციპლინათა შორის ინტერპრეტაცია და მისი რეპრეზენტაციას თანამედროვე კულტურულ და სამეცნიერო სივრცეში. გაანალიზდა ევროპული იდენტობის მშენებლობის პროცესში და მსოფლიო კულტურულ სივრცეში, რუმინული და ქართული კულტურების ინტეგრირების ანთიმოზისეული პარადიგმა, მულტიკულტურალიზმის დასაფუძნებლად გამოყენებული გზები, ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთობის მნიშვნელობა ინტერკულტურული დიალოგის აგებაში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ანთიმოზ ივერიელის სახელს უკავშირდება პირველი ქართული სტამბის დაარსება. უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ღვთისმეტყველმა უდიდესი წვლილი შეიტანა საგამომცემლო-სასტამბო საქმიანობის განვითარების საქმეში. როგორც კვლევის დროს გამოიკვეთა, რუმინეთის სხვადასხვა კუთხეში ამოქმედებულ არაერთ სტამბაში, მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა ლიტურგიკული და სამოძღვრო-დამრიგებლური შინაარსის 63 წიგნი ბერძნულ, რუმინულ, სლავურ და არაბულ ენებზე და ასევე ქართულენოვანი ოდიკი. 1701 წელს ანთიმოზმა თავისი ხელით ააწყო და ანტიოქელ მართლმადიდებლებს გაუგზავნა ისტორიაში პირველი არაბულენოვანი სტამბა, ხოლო 1709 წელს – საუკეთესო მოწაფეს მიჰაი იშთვანოვიჩს თბილისში ვახტანგ VI-სთან გაატანა ქართულენოვანი სტამბა და ახალდაბეჭდილი ოდიკები.

„ჩატარებული კვლევები ანთიმოზ ივერიელის შემოქმედებისა და მოძიებული

ბუქარესტის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი

მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XVII-XVIII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის შემოქმედება წარმოადგენს კულტურათა წარმატებული დიალოგის მაგალითს. ანთიმოზ ივერიელი-ქართველი, რომელიც მოღვაწეობდა ევროპაში, ბალკანეთში, რუმინეთში, ევროპის უმნიშვნელოვანესი და ჯერ ნაკლებად ცნობილი ვექტორის ქართულ-ევროპული ვექტორის შემოქმედი და პრაქტიკულად განმახორციელებელია. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების რეაქტულიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული „ევროპის იდეასთან“ და ამ „იდეის“ კავშირთან ორ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ რეგიონთან: საქართველოსთან და აღმოსავლეთ ევროპასთან – რუმინეთთან“, – აღნიშნავს ანასტასია ზაქარიაძე.

კვლევის „ანთიმოზ ივერიელი-ქართულ-ევროპული დიალოგის“ ფარგლებში განხორციელდა ექსპედიცია ბუქარესტში, რომლის მიზანიც იყო რუმინეთის პატრიარქის იურისდიქციაში არსებული ანთიმოზ ივერიელის სამონასტრო კომპლექსის ბიბლიოთეკასა და სხვა ბიბლიოთეკების საცავებში კვლევისათვის საჭირო დამატებითი მასალების მოძიება და ასევე ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის სხვა არტეფაქტების მონახულება-შესწავლა.

მუშაობის პერიოდში ანთიმოზ ივერიელის შემოქმედება პერიოდულად, კონფერენციებსა და თეორიულ სემინარებზე წაკითხული მოხსენებების და პუბლიკაციების სახით, წარმოდგენილი იყო ფართო საზოგადოების წინაშე. ამასთან, ანთიმოზ ივერიელის სამონასტრო კომპლექსში შედგა საერთაშორისო სემინარი “ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი“. მასში ექსპედიციის წევრ ქართველ პროფესორებთან ერთად მონაწილეობდნენ თეოლოგიის დოქტორები: პროტო-დიაკონი გამალიერი სიმა, იღუმენი კირილე ლოვინი, მღვდელმონაზონი ანთიმოზი, წმინდა სინოდის ბიბლიოთეკის დირექტორი არქიმანდრიტი პოლიკარპე ჩიტილესკუ და სხვ.

კვლევის შედეგად შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიწონა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაძლებლად ჩათვალა მათი დანერგვა სასწავლო პრაქტიკაში.

როგორც პროექტის ავტორი და თსუ მეცნიერები ირწმუნებიან, ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლისათვის, მისი როლის მნიშვნელობიდან გამომდინერე, საჭიროა პროექტის გაგრძელება. რაც გულისხმობს ანთიმოზ ივერიელის ნაშრომთა მოძიებას ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის (სტამბოლი) წიგნთსაცავებში, თხზულებათა სრული კრებულის მომზადებას გამოსაცემად. განახალებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან პერსპექტივებს გახსნის სოციალ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო კომუნიკაციური ქმედების გაფართოების თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და პუბლიკაციები დაეხმარება საქართველოსა და რუმინეთის, აგრეთვე ევროკავშირში გაერთიანებულ, ან მის ორბიტაზე მყოფ სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა და ინსტიტუციებს, გააცნობიერონ თავიანთი კომუნიკაციური უფლებები და მოვალეობები ევროკავშირის მიმართ.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ პროექტის დასრულება ემთხვევა ანთიმოზ ივერიელის მოწამეობრივად აღსრულების 300 წლისთავს. ამ მიზეზით, 2016 წელი იუნესკოს მიერ ანთიმოზ ივერიელის წლად გამოცხადდა.

ანთიმის ძეგლი ბუქარესტში

ძველი დედაქალაქი – ტარგოვიშტე

გელათის კატენებიანი ბიბლია

ანა ხარანაული

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების დასრულების შემდეგ სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებაში.
1990 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 2005 წელს კი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.
მუშაობდა გოტინგენის მეცნიერებათა აკადემიაში.
2008-2010 წლებში იყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის“ ხელმძღვანელი.
მიღებული აქვს ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები.
სამეცნიერო ჯილდოები: „ვითიბი“ ბანკის პრემია „პარნასი“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ 2006 წ. (დ. მელიქიშვილთან და ქ. ბეზარაშვილთან ერთად)

„ქვეყანას აქვს სიმბოლოები – საიდენტიფიკაციო ნიშნები თავისი თავისა და სხვებისთვის. ამ სიმბოლოებით ზომავს იგი თავის თავს, ამ სიმბოლოებით ეზომება სხვებს. სიმბოლების ბედი ასეთია: ან ისე ვეჩვევით, რომ ვეღარ ვაფასებთ, ანდა, საერთოდაც არ ვიცნობთ, იმიტომ, რომ აღარ გვჭირდება. გელათის აკადემია და "სასწავლებელი ყრმათათვის", შემდგარი ქართული სახელმწიფოს სიმბოლოა, რომლის დაარსებიდან 900 წლისთავი ჩვენი საზოგადოებისათვის ასე შეუმჩნევლად გადის, ხოლო გელათის კატენებიან ბიბლიას (ბიბლიის ტექსტს, რომლის ყოველ მუხლს დართული აქვს სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა ხასიათის განმარტებები) – საქართველოს სულიერების, ინტელექტის, განათლების, წიგნის კულტურის სიმბოლოს, დღეს სპეციალისტები თუ იცნობენ. დავიწყებას თავისი მიზეზი აქვს: ჯერ ინტელექტუალური ჩამორჩენა, რომელიც საუკუნეები გრძელდებოდა თამარის შემდეგ, შემდეგ კომუნისტური რეჟიმი, როდესაც ბიბლიას ვერც ახსენებდი, ბოლოს კი – მატერიალური ორიენტირები, რომლისთვისაც, ერთი შეხედვით, ინტელექტუალური და სულიერი სიმაღლეები სრულიად უცხოა და არ არის საჭირო. მოკლედ, გელათის ბიბლიის ორი უზარმაზარი ხელნაწერი (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის XII ს-ის ავტოგრაფულმა ნუსხა (A-1108) და მისი ასლები (Q-1152)), რომელიც თითქმის საუკუნის წინ იპოვა თედო ჟორდანიამ გელათის მონასტრის ნანგრევებში, ჯერ კიდევ ელის, რომ სათანადოდ შეისწავლიან, შეაფასებენ, დააფასებენ, და, რაც მთავარია, გამოიყენებენ“, – ამბობს თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული, რომელიც ნაშრომის „გელათის კატენებიანი ბიბლიის“ ავტორია.

ბიბლიის შესწავლა და გამოსაცემად მომზადება შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა. ამ პროექტს ძირითადად ახორციელებენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო კურსის პროფესორები (ა. ხარანაული, დ. მელიქიშვილი, ვ. ჯუღელი), სტუდენტები (თ. ჯიქურაშვილი, ა. მაისურაძე, ლ. აბრალავა) და მაგისტრები (ც. გულედანი, ნ. დუნდუა, ნ. მიროტაძე). როგორც ანა ხარანაული ამბობს, ამგვარი პროექტის დაფინანსებით რუსთაველის ფონდი მეცნიერთა თაობების მემკვიდრეობითობას უწყობს ხელს, ერთობლივ მუშაობას ასწავლის ახალგაზრდებს და ერთი საქმის გარშემო აერთიანებს მათ.

„თავად გელათის ბიბლიაც ამგვარი, კოლექტიური ნაშრომია მომგებლის (დამფინანსებლის), მთარგმნელების, რედაქტორების და გადამწერებისა, რომლებიც ქმნიან სამეცნიერო გამოცემას სქოლიოებისა და პირობითი ნიშნების მთელი სისტემით, წიგნს, რომელშიც თავმოყრილია ძველი აღთქმის სხვადასხვა ტიპის განმარტებები და რომელიც მთელი თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით წარმოადგენს ძველი აღთქმის ღვთისმეტყველებას; ქმნიან უაღრესად დახვეწლ მეტა-ენას, რომლითაც შეიძლება რთული საღვთისმეტყველო ნიუანსების გადმოცემა, სახელმძღვანელოს, რომელიც ასწავლის ტექსტის გამოწვლილვით კითხვასა და გაგებას“. – ამბობს ავტორი.

მისი თმით, კატენებიანი ბიბლია ერთ-ერთი ყველაზე რთული შედგენილობის კრებულებია, ისინი VI ს-დან შემოვიდა ჯერ პალესტინაში და მერე კონსტანტინეპოლში და მთელს ბიზანტიაში გავრცელდა. ათონზე და იტალიაში კატენებიანი ბიბლიის ხელნაწერები XVI ს-მდე იწერებოდა. ხელნაწერების სიმრავლე და მათი გავრცელების ფართო არეალი კატენებიანი ბიბლიის დიდ მოთხოვნილებაზე მეტყველებს შუა საუკუნეებში. საქართველოში ბიბლიის კატენური კრებულები, როგორც ჩანს, გვიან ხდება პოპულარული. ყოველ შემთხვევაში, ათონამდელ პერიოდში ბიბლიის ამ ტიპის კომენტარების ქართულად არსებობა ცნობილი არ არის. ეს საქმე ექვთიმე ათონელმა დაიწყო, გააგრძელა ანტიოქის სკოლამ – ეფრემ მცირემ და დაასრულა გელათმა – შექმნა „გელათის ბიბლია“ ძველი აღთქმის რვაწიგნეულისა და წინასწარმეტყველების ტექსტის ახალი, გადამუშავებული თარგმანი და მისი კომენტარები.

„გელათის კატენებიანი ბიბლია“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ქართული კულტურის, მწერლობის, ენის, ქართულ-ბიზანტიური კავშირების, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის, ქრისტიანული ეგზეგეტიკის და საერთოდ, შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს ერთიანი სურათის წარმოასადგენად, კერძოდ:

„გელათის კატენებიანი ბიბლია“ კიდევ ერთი რგოლია ქართულ-ბიზანტიური სამწერლობო ურთიერთობების ჯაჭვში. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული მთარგმნელობითი სკოლების პოლიტიკის ერთიან, მიზანმიმართულ ხაზს, რომელიც ბიზანტიური მწერლობის სრულ ათვისებაში მდგომარეობს და, ასევე, ასახავს იმ სააზროვნო ინტერესებსაც, რო-



მელთაც გელათის სკოლა იჩენს კომენტატორული ჟანრის მიმართ.

• „გელათის კატენებიანი ბიბლიის“ კიმენი ქართული ბიბლიის ტექსტის განვითარების ახალი ეტაპია და კრებულის მთლიანობაში შესწავლა ამ ეტაპის სრული დახასიათების საშუალებას მოგვცემს.

• გელათის კატენებიანი ბიბლია პატრისტიკის და, ზოგადად, ბიბლიის ჰერმენევტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა, რადგანაც ზოგიერთი ავტორის ეგზეგეტიკური თხზულება მხოლოდ კატენებმა შემოგვინახა.

• თარგმანების ენა, მისი დიალექტური, სინტაქსური თუ სტილისტური ნიშნები გელათის ბიბლიას ქართული ენის ისტორიის მნიშვნელოვან დოკუმენტად აქცევს.

სხვადასხვა ეგზეგეტიკური სკოლის ნააზრევის ქართულად გადმოტანა უაღრესად დახვეწილ სპეციალურ (საღვთისმეტყველო) ტერმინოლოგიას მოითხოვდა, ამდენად, კრებული მდიდარ მასალას იძლევა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესასწავლად.

გელათის ავტოგრაფული ნუსხა (A-1108), რომელიც მისი მწერლის ბევრ შესწორებას შეიცავს, უნიკალური მასალაა შუა საუკუნეების ფილოლოგის მუშაობის პროცესზე დასაკვირვებლად.

ავტოგრაფული ნუსხისა და მისი ასლის (Q-1152) ურთიერთმიმართების შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების გადამწერების მუშაობის მეთოდსა და სტილზე, იმაზე, თუ რა პრობლემები ჰქონდათ მათ ხელნაწერის და, კერძოდ, ავტოგრაფის გადაწერისას, რა ცვლილებების შეტანის უფლებას აძლევდნენ ისინი თავს და სხვ.

კატენებიანი კრებულების შედგენა მრავალ ტექნიკურ სირთულესთანაა დაკავშირებული. გელათის კატენებიანი ბიბლია ამ თვალსაზრისით მეტად მაღალი დონის ხელნაწერია. მარგინალური ნიშნები თუ კომენტარების ნუმერაციის სტილი, კატენისა და კიმენის განთავსება და მათი ერთმანეთთან მიმართება, ასევე, სხვა მრავალი დეტალი, კოდიკოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოს ხდის ხელნაწერებს და წიგნის კულტურის უმაღლეს დონეზე მეტყველებს.

გელათის კატენებიანი ბიბლიის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მისი წარმომავლობის დადგენასთან, რაც რამდენიმე თვალსაზრისით არის აუცილებელი:

ა) თარგმანის, და, განსაკუთრებით, ისეთი ულტრაელინოფილური თარგმანის ტექსტის დადგენა, როგორსაც გელათის კატენებიანი ბიბლია შეიცავს, სრულიად შეუძლებელია მისი დედანთან დაწვრილებითი შედარების გარეშე.

ბ) ბიბლიის ტექსტის შედარება დედანთან ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის დასადგენად არის მნიშვნელოვანი.

გ) წყაროსთან შედარება მნიშვნელოვანია გელათის მთარგმნელობითი სკოლის თარგმანის ტექნიკაზე დასაკვირვებლად: ერთიდაიმავე მთარგმნელის მიერ, ანდა ერთი სკოლის ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტის თარგმანები საინტერესო სპექტრს ქმნის ქართული ელინოფილური თარგმანის შესასწავლად.

დ) გელათის კატენებიანი ბიბლია კიდევ ერთი ნიმუშია ქართული წერილობითი ძეგლების იგნორირებისა ბიზანტიური კულტურის კვლევის დროს: ცნობა ბიბლიის კატენებიანი კრებულის ქართული თარგმანის არსებობის შესახებ არ არის კატენებიანი ბიბლიის არცერთ ფუნდამენტურ აღწერილობასა და გამოკვლევაში.

ე) გელათის კატენებიანი ბიბლიის შესწავლა მნიშვნელოვანია თავად ბერძნული კატენებიანი კრებულების კვლევისთვისაც:

• სეპტუაგინტას ტექსტუალური კრიტიკისათვის,

• ცალკეულ ავტორთა კომენტარების ტექსტის დასადგენად,

• ცალკეული კომენტარის ავტორის დასადგენად და

• კრებულის ტექსტის ისტორიის შესასწავლად.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ამოცანა გელათის ბიბლიაში შესული სამი წიგნის – „ლევიტელთას", „რიცხვთას" და „მეორე სჯულის" წიგნების ტექსტისა და კომენტარების გამოსაცემად მომზადებაა. სამუშაოს დაწყებიდან წელიწადნახევარი გავიდა. უკვე გამოიკვეთა გარკვეული შედეგებიც: მაგალითად, ვიცით, კონკრეტულად რომელი ტექსტუალური ტრადიციისა იყო ქართული თარგმანის ბერძნული დედანი, ვიცით, რა მეთოდით თარგმნიდნენ ტექსტს, რა პრიციპით ხდებოდა კომენტარების შერჩევა და რამდენად ასახავდა ეს არჩევანი მაშინდელი საზოგადოების ინტერესს, დადგენილია კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა მოხდეს ავტოგრაფული ნუსხის გამოცემა და მისი ყველა თავისებურების გამოცემაში წარმოჩენა და ა.შ. იმედია, პროექტის დასრულების შემდეგ ისევ გამოჩნდება დაფინანსება "გელათის ბიბლიის" დარჩენილი ნაწილის (ისუ ნავეს, მსაჯულთა, რუთის, და წინასწარმეტყველთა წიგნების) ტექსტის დასადგგენად და საკვლევად. იმის იმედიც მაქვს, რომ ტექსტსა და გამოკვლევას გამომცემელი გამოუჩნდება. ეს იქნება საუკეთესო აღნიშვნა იმ საიუბლეო 900 წლისა, რომელიც გელათის აკადემიის დაარსებიდან გავიდა.

პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ინდიკატორები ცხოვრებისეულ ისტორიებში

კვლევის „პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ინდიკატორები ცხოვრებისეულ ისტორიებში“ განხორციელება თსუ მეცნიერებმა 2013 წლის დეკემბერში თსუ ასისტენტ-პროფესორის, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის ლილი ხეჩუაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს. ამ კვლევაში ქართველი მეცნიერის პარტნიორია დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეხსიერებისა და იდენტობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქეით მაკლინი (Kate McLean), (დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ).

ლილი ხეჩუაშვილი

ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი (პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი). 2008-2015 წლებში მიღებული აქვს კვლევითი და აკადემიური სტიპენდიები ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი), აიოვას და დასავლეთ ვაშინგტონის (აშშ) უნივერსიტეტებში. ფულბრაიტის კვლევითი პროექტის სტიპენდიანტი. აქტიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, როგორც პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტი. კვლევითი სფეროები: ნარატიული იდენტობა, პერსონალური და კულტურული ნარატივები, მასტერ ნარატივი და ცხოვრების გზის კვლევა, პოსტტრავმული ზრდა, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და მათთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული მახასიათებლები.

კვლევაში, ასევე, ჩართულები არიან თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აწ უკვე კურსდამთავრებულები (კვლევის დაწყების მომენტისთვის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები) და ბაკალავრიატის სტუდენტები. თვისებრივ მონაცემთა კოდირებაზე მუშაობს ახალგაზრდა მკვლევართა (ფსიქოლოგთა) ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფსიქოლოგიის მაგისტრები მაია მაზანიშვილი და ნინო გუგუშვილი, ბაკალავრები ანა შავგულიძე და მარიამ ლამაზოშვილი და ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი ლელა ლეჟავა. კვლევა ხორციელდება ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევარის კვლევითი გრანტის ფარგლებში (CARTI under the International Higher Education Support Program of the Open Society Foundations. გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტიტუტის ფონდი, გრანტი N: IN2013-11481).

შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევა მიზნად ისახავდა პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაჩვენებლების, ინდიკატორების გამოვლენას კვლევის მონაწილეთა ცხოვრებისეულ ისტორიებში.

კვლევა რამდენიმე ეტაპად დაიგეგმა და განხორციელდა. თითოეულ ეტაპს თავისი მიზანი და მოსალოდნელი შედეგი ჰქონდა.

პირველ ეტაპზე განხორციელდა ორი ინსტრუმენტის, თვითანგარიშის კითხვარების ქართული პოპულაციისთვის ადაპტაცია მათ ავტორებთან შეთანხმებით და ნებართვით. ესენია (ა) ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალები და (ბ) პოსტტრავმული ზრდის კითხვარი. ამ ეტაპზე, რამდენიმე საპილოტე კვლევისა და ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევის ჩათვლით, ჯამში მონაწილეობდა 1189 მონაწილე. ამ ეტაპზე სრულად გაიმართა ეს ორი ინსტრუმენტი და სხვა ფსიქოლოგმკვლევრებს საშულება აქვთ ისარგებლონ არსებული ქართული კითხვარებით.

მეორე ეტაპი წარმოადგენდა კვლევის ძირითად ნაწილს. კვლევის ძირითად ნაწილში მონაწილეობა მიიღო 90-მა ადამიანმა, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულმა 45-მა პირმა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ დასახლებებში ბინადრობენ და საქართველოს 45 მოქალაქემ, რომლებსაც არ ჰქონიათ იძულებით გადაადგილების ან დევნილობის გამოცდილება. ამ ეტაპზე თითოეულმა მონაწილემ, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე უპასუხა ზემოთ აღნიშნული კითხვარების დებულებებს და, ასევე, თითოეულთან ჩაიწერა ცხოვრებისეული ისტორიის ინტერვიუ. გარდა ამისა, დაფიქსირდა მთელი რიგი დემოგრაფიული მონაცემებისა, რომლებიც მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი აღმოჩნდა მთელი რიგი მონაცემების ინტერპრეტაციისას.

კვლევის სიახლეებსა და მიგნებებზე საუბრისას ავტორი რამდენიმე საკითხს გამოყოფს: პირველ ეტაპზე ადაპტირდა და მოხმარებისთვის სრულად გაიმართა ორი ინსტრუმენტი: პოსტტრავმული ზრდის საკვლევი კითხვარი და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალა. თავად ამ ინსტრუმენტების ქართულად არსებობა არის სიახლე.

გამოიკვეთა, რომ ადამიანები ხალისით საუბრობენ საკუთარ ცხოვრებაზე და, უმეტესწილად, ღიად ყვებიან ცხოვრების ყველაზე მძიმე, ინტიმური და მტკივნეული/ბედნიერი მომენტების შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანები (ისინი, ვინც მოზრდილი ცხოვრება საბჭოთა კავშირში დაიწყო და ისინი, ვისაც 90-იანებში მოუწიათ ჩამოყალიბება) მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც ძირითადი თემების, ისე საკუთარი თავის კონსტრუირებისა და საკუთარი ცხოვრების ისტო-

რიის თხრობის სტრუქტურის მიხედვითაც. იკვეთება ტენდენცია, რომ უფროსი თაობის ადამიანებისთვის იდეალური, უშფოთველი, იდილიური სიტუაცია იცვლება ქაოსით და გაურკვევლობით, რაც საკმაოდ ზუსტად იმეორებს იმ ისტორიულ რეალობას, რომელშიც მათ მოუწიათ ცხოვრება. რაც შეეხება შემდეგ თაობას, 90-იანების ქაოსური ათწლეული თვალსაჩინოდ მონაწილეობს მათ მიღწევასა და პოზიტივზე მეტად ორიენტირებულობაში. ასევე, ადამიანების ცხოვრებისეული ისტორიების განზოგადებით იკვეთება განზოგადებული, კოლექტიური ნარატივი, თავისებული კულტურული სკრიპტი, ე. წ. მასტერ ნარატივი, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია ჩვენს რეალობაში და ორი – შედარებით ტრადიციულ-ქართული (ენა, მამული, სარწმუნოება) და მოდერნისტული (გლობალიზაცია, კოსმოპოლიტური ხედვა) – მიმართულებით ვითარდება და თითოეული გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისთვის უფროა დამახასითებელი.

ადამიანების პიროვნული (ნარატიული) იდენტობები უშუალოდ არის მიბმული და გამომდინარეობს ეროვნული იდენტობიდან, რაც მრავალგზის არის დეკლარირებული მონაწილეთა მონათხრობებში.

კვლევის შუალედური დასკვნებიდან ასევე აღსანიშნავია შემდეგი: გამოიკვეთა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად ხედავენ მათ ირგვლივ ახალ შესაძლებლობებს სამომავლოდ, ვიდრე სხვა მონაწილეები, თუმცა ეს ორი ჯგუფი არ განსხვავდება ერთმანეთისგან ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაჩვენებლებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იძულებით გადაადგილებულის სტატუსი არ ახდენს გავლენას კარგად ყოფნის სუბიექტურ განცდაზე და აქ სულ სხვა ფაქტორები მუშაობენ; ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა მჭიდროდ უკავშირდება სოციო-ეკონომიკურ სტატუსს და შემოსავალს. კერძოდ (ორივე ჯგუფში, როგორც იძულებით გადაადგილებულებში, ისე სხვა მოქალაქეებში), რაც ნაკლები შემოსავალი აქვთ ადამიანებს, მით ნაკლებია მათი სუბიექტურად განცდილი კარგად ყოფნა. ამიტომ სოციო-ეკონომიკური სტატუსი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის კარგი პრედიქტორი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ეს სურათი იცვლება ადამიანთა იმ ჯგუფში, რომელიც საკუთარ თავს ღარიბთა კატეგორიას მიაკუთვნებს. ისინი უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე, მაგალითად, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანები. აქ მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს, როგორც ჩანს, თავად კარგად ყოფნის, როგორც კონსტრუქტის, შინაარსის ცვლილებასთან უნდა გვქონდეს საქმე. სხვა სიტყვებით, ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის უფრო სხვა რამ მოიაზრდება კარგად ყოფნაში, ვიდრე დანარჩენებისთვის.

რაც შეეხება პოსტტრავმულ ზრდას (განურჩევლად ჯგუფისა), ქალებთან ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებთან. კერძოდ, ტრავმული გამოცდილების შემდეგ ქალებთან უფრო მეტად იცვლება უკეთესობისკენ სხვებთან ურთიერთობები და მეტად იწყებენ ცხოვრების დაფასებას (მათ შორის, მეტად რელიგიურები ხდებიან ან მეტ ყურადღებას აქცევენ სულიერ/სპირიტუალურ ცხოვრებას), ვიდრე მამაკაცები. საინტერესოა, რომ ეს მონაცემი ზუსტად იმეორებს სხვადასხვა კულტურაში ჩატარებული კვლევების შედეგებს: ზოგადად, ქალები ოდნავ მეტი, მაგრამ სტაბილურად სანდო ზრდის მაჩვენებლით გამოირჩევიან მამაკაცებისგან.

ასევე, ადამიანების მიერ სუბიექტურად განცდილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი, კერძოდ, ახალი შესაძლებლობების დანახვას ის ადამიანები უფრო მეტად ახერხებენ, რომლებიც დაშორდნენ პარტნიორს/მეუღლეს, ვიდრე ისინი, ვინც ახლობელი ადამიანის გარდაცვალება გადაიტანა. ეს შედეგი (ის, რომ ტრავმული მოვლენის მიხედვით იცვლება პოსტტრავმული ზრდის სურათი) თანხვდება მოდელის ავტორების მოსაზრებებსა და შედეგებს და, ასევე, სხვა კულტურებში (იაპონია, გერმანია, თურქეთი, სკანდინავია, იტალია, ესპანეთი) ჩატარებული კვლევის შედეგებს. პოსტტრავმული ზრდის სურათი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ტრავმა/სტრესული გამოცდილება აქვს ადამიანს გადატანილი.

კვლევის მონაცემთა ანალიზის დიდი ნაწილი მონაწილეთა მიერ მოთხრობილ ცხოვრების ისტორიების გაანალიზებას მოიაზრებდა. მასალის მრავალფეროვნებისა და დიდი მოცულობის გამო, ამ ეტაპზე გაანალიზდა მხოლოდ ის ცვლადები და კომპონენტები, რომლებიც უშუალო პოსტტრავმული ზრდის თემას შეეხებოდა, კერძოდ, შემუშავდა ე. წ. რედემპშენ-თანმიმდევრობის (რაც პირობითად, მაკომპენსირებელ თანმიმდევრობად ითარგმნა) კოდირების დეტალური გზამკლევი, რომლის გამოყენებითაც კვლევის ორმა ასისტენტმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადააკოდირა 90 ინტერვიუდან აღებული 540 მოგონება (6 მოგონება თითო ისტორიიდან). მათ შორის 90%-იანი შეთანხმება იქნა მიღწერული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ასეთ კვლევებში.

აღმოჩნდა, რომ კოდირებულ მოგონებათა მხოლოდ ერთ მესამედში გვხვდება ე.წ. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როდესაც ადამიანები იმგვარად აგებენ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომ ცუდ ამბავს კარგი ამბავი მოსდევს ან ცუდი იწვევს კარგს, მაგალითად, მეგობართან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ უფრო ყურადღებიანი გახდა სხვა ადამიანების მიმართ. დანარჩენი მოგონებები სხვაგვარად არის სტრუქტურირებული.

გაირკვა, რომ ადამიანები ასეთი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით, უპირატესად, ისეთ გამოცდილებას ჰყვებიან, რომელსაც ცხოვრებაში გარდამ-











ტეხ მომენტად მიიჩნევენ. ასევე, ხშირია ასეთი სტრუქტურა უარყოფითი გამოცდილებების შესახებ მოგონებებში, რაც სრულად იმეორებს სხვა კულტურებში ჩატარებულ კვლევებს. ამ კვლევაშიც აღმოჩნდა, რომ ადამიანები უფრო დეტალურად, ინტენსიურად და ხშირად, ხშირად განმეორებითად ყვებიან ცუდ, მტკივნეულ გამოცდილებას, რასაც თან სდევს მეტი რეფლექსია, საზრისის ძიების პროცესი და, აქედან გამომდინარე, პიროვნული ზრდის ელემენტიც მეტად არის წარმოდგენილი. შედარებით ნაკლებად გვხვდება ასეთი რამ დადებითი მოვლენების შემთხვევაში. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ კარგ ამბებს არც კი აყენებენ ადამიანები კითხვის ნიშნის ქვეშ. მხოლოდ ცუდ ამბებს სჭირდება საზრისის პოვნა. ასევე, ყველაზე ხშირად ადამიანები, რომლებიც მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ალაგებენ საკუთარ ცხოვრებას, უპირატესად, სწავლობენ, პიროვნულად იზრდებიან და ამა თუ იმ თვალსაზრისით უმჯობესდებიან ნეგატიური გამოცდილების შედეგად.

საინტერესოა, რომ განურჩევლად იმისა, იძულებით ადგილნაცვალია თუ არა პიროვნება, თითოეული მათგანის შემთხვევაში ყველაზე მეტად მაკომპენსირებელი თანმიმდევობა გარდამტეხ მოვლენებსა და უარყოფით გამოცდილებებშია წარმოდგენილი, რაც ადამიანთა უნივერსალურ მახასიათებელზე მიუთითებს: ჩვენ ვსწავლობთ ცუდი გამოცდილებიდან. თუმცა, თუ ანალიზის ზედა დონეზე გადავინაცვლებთ და უკვე ერთმანეთს შევადარებთ იძულებით ადგილნაცვალ პირებს და კვლევის სხვა მონაწილეებს, ვნახავთ, რომ ეს ორი ჯგუფი ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისგან საკუთარი ცხოვრების ნარატივის სტრუქტურირების გზებით: არაადგილნაცვალი პირები მეტად იყენებენ მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას, ვიდრე -- ადგილნაცვალი პირები. მათთან მეტია ცუდი გამოცდილების





შედეგად გაუმჯობესებული აგენტობა (აქტივობა და მიღწევაზე ორიენტირებულობა), ურთიერთკავშირი სხვა ადამიანებთან და მასშტაბური საფიქრალები. თუმცა, თუ იძულებით ადგილნაცვალი პირი იყენებს მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას, მასთან, დიდი ალბათობით, წარმოდგენილი იქნება ისეთი თემები, როგორიცაა შეჩვევა-შეგუება (რაც არ გვხვდება მეორე ჯგუფში) და გაუმჯობესება, რომელშიც, უპირატესად, გაუმჯობესებულ ურთიერთობებსა და სოციალურ/საცხოვრებელ პირობებს მოიაზრებენ.

ამრიგად, ანალიზის ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა იმის თქმა, რომ იძულებით ადგილნაცვალობის სტატუსი და მოგონების ტიპი სანდოდ წინასწარმეტყველებს იმას, თუ რამდენად იქნება წარმოდგენილი ინდივიდის ცხოვრების ისტორიაში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა. ასე მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მოცემული პიროვნება წეროვანში ცხოვრობს და საკუთარი ცხოვრების საუკეთესო მომენტის შესახებ გვიყვება, უფრო ნაკლებად არის მისგან მოსალოდნელი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული ამბის მოსმენა, ვიდრე იგივე პიროვნებისგან გადამწყვეტი მომენტის თხრობისას, ხოლო თუ ჩვენი მოსაუბრე თბილისელია ან, დავუშვათ, ბაღდათში ცხოვრობს და გადამწყვეტი მომენტის შესახებ გვიყვება, მოსალოდნელია (გარკვეული ალბათობით, ცხადია), რომ მის მონათხრობში მეტად იქნება წარმოდგენილი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, ვიდრე პირველი მოსაუბრის ორივე ამბავში ცალ-ცალკე აღებული.

ანალიზის ბოლო ეტაპზე მკვლევარმა ერთმანეთთან დააკავშირა კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდა, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და მონაწილეთა ცხოვრებისეული ისტორიებიდან ამოღებული მაკომპენსირებელი თანმიმდვრობის მაჩვენებლები. ერთი მხრივ, მოგონებების დალაგების მაკომპენსირებელ თანმიმდევრობასა და მეორე მხრივ, პოსტტრავმული ზრდის ორ ასპექტს, ახალი შესაძლებლობების დანახვასა და პიროვნულ ზრდას, შორის ზომიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ, გარკვეული ხარისხით, ვიწინასწარმეტყველოთ პოსტტრავმული ზრდის დონე თუ ვიცით, რამდენად იყენებს ადამიანი თხრობისას აღნიშნულ თანმიმდევრობას, რაც სრულად თანხვდება სხვა მკლევრების, მაგალითად, პოსტტრავმული ზრდის მოდელის ავტორების, კვლევების შედეგებს. ასეთივე ზომიერი, მაგრამ სანდო კავშირი გამოვლინდა მაკომპენსირებელ თანმიმდევრობასა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას შორის და ესეც სხვა, უკვე არსებული კვლევების შესატყვისი შედეგია, რომლებიც აჩვენებენ, რომ ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა სანდოდ უკავშირდება კარგად ყოფნისა და ბედნიერების მაღალ მაჩვენებლებს.

კვლევის პრაქტიკულ გამოყენებაზე საუბრისას ლილი ხეჩუაშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს შემდეგს:

ტრავმული გამოცდილების ცხოვრებისეულ ნარატივში ინტეგრირება და კოჰერენტული ცხოვრებისეული ისტორიის თხრობა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და, ზოგადად, ფსიქიკური სიჯანსაღის კარგი პრედიქტორია, რასაც ამერიკაში ჩატარებულ კვლევათა სერია აჩვენებს. წარმოდგენილ კვლევაშიც დადასტურდა ეს შედეგი. ანუ რაც უფრო თანმიმდევრულად ყვებიან კვლევის მონაწილეები თავიანთი ცხოვრების ისტორიას და ათავსებენ მასში ტრავმულ გამოცდილებას (იძულებით გადაადგილებულ პირებში ეს არის 2008 წელს სახლების დაკარგვა და გადმოსახლება) და რაც მეტ რეფლექსიას ახდენენ ისინი, მით მაღალია მათი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებელი, მეტად რედემპტიულად (redemption, ცუდ მოვლენებს კარგი მოვლენები ცვლიან) აგებენ თავიანთი ცხოვრების ისტორიას და სუბიექტურად განცდილი კარგად ყოფნაც შედარებით მაღალია მათთან. ეს პრაქტიკული ღირებულების მქონე შედეგია პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისთვის, კონსულტანტებისთვის, ვისაც უწევს მსგავს გამოცდილებებთან მუშაობა. უფრო კონკრეტულად, თანმიმდევრული და რეფლექსიური ნარატივი, რომელიც უპირატესად, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით არის აგებული, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მანიშნებელია, პრედიქტორია, რაც თერაპიის, კონსულტირების პოზიტიურ გამოსავალზე მიანიშნებს.

გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს, დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით, ნაკლებად ეხერხებათ საკუთარი განცდების ვერბალიზაცია და თანმიმდევრულად თხრობა. საინტერესოა, რომ ეს შედეგი გაშუალებულია არა იმით, რომ ისინი იძულებით არიან გადაადგილებულნი, არამედ განათლების ცვლადით და, როგორც მათთან საუბრიდან იკვეთება, კულტურული თავისებურებით (ნაკლებად არის წახალისებული საკუთარ განცდებსა და აზრებზე საუბარი). როგორც ჩანს (აქ ჯერჯერობით მხოლოდ ტენდენციაზე შეიძლება საუბარი), შედარებით ნაკლებად განათლებულ მონაწილეებს მეტად უჭირთ საკუთარ განცდებზე რეფლექსია და ვერბალიზაცია, ვიდრე, ვთქვათ, უმაღლესი განათლების მქონეთ. ვინაიდან მონაწილეთა რაოდენობა არც ისე დიდია ამ კვლევაში, გადაჭრით ვერ ვამტკიცებთ ამას.

საქართველოში ეს პირველი კვლევაა, რომელიც შერეული მეთოდოლოგიით ჩატარდა და მოიაზრებს თვითანგარიშის კითხვარებისა და ცხოვრებისეული ისტორიების ინტეგრაციას. ასევე, ნარატიული მიდგომით ჩატარებული პირველი კვლევაა, რომელიც ნარატიული იდენტობის მოდელის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირებს შეეხება. ასევე,

პირველი მცდელობაა ამ კვლევის თვისებრივი ნაწილი, რომელიც ჩაწერილი ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე კულტურული სკრიპტის ანუ მასტერ ნარატივის ფორმირებისთვის თვალის გადევნებას ისახავს მიზნად.

კიდევ ერთი პრაქტიკული გამოყენება შედარებით ტექნიკური ხასიათისაა: კვლევის ფარგლებში ჩაიწერა, შეგროვდა და სიტყვა-სიტყვითი ტრანსკრიპტების სახით დაიწერა 96 ცხოვრებისეული ისტორიის ინტერვიუ, რომელიც უამრავ დაუმუშავებელ ინფორმაციას მოიცავს და რომელთა გამოყენება შემდგომში შესაძლებელია როგორც სხვა მკლევრების (მათ შორის, სტუდენტების) მიერ, ისე – სასწავლო მიზნებით შესაბამის კურსებში. ასე მაგალითად, მკვლევარი მიმდინარე სემესტრში აქტიურად იყენებს კვლევის ფარგლებში ჩაწერილი ინტერვიუების ტრანკრიპტებსა და მათი კოდირებისთვის შექმნილ გზამკლევს მაგისტრატურაში მიმდინარე კურსში „ნარატივის ანალიზი ფსიქოლოგიაში“. ასევე, კვლევის ფარგლებში მომზადდა ორი ახალი კურსი, რომელიც შემდეგ წელს არჩევითი კურსების სახით იქნება შეთავაზებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტისა და სხვა დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ეს კურსებია: „ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ და ნარატივის ანალიზი“ და „ფსიქობიოგრაფია“.

მოცემული კვლევის საფუძველზე დაიწერა ახალი კვლევის პროექტი, რომელიც უკვე დაფინანსდა ფულბრაიტის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში და მკვლევარი მომდევნო 8 თვეს გაატარებს და იმუშავებს ქართველი ემიგრანტებისა და საქართველოში მცხოვრები ქართველების ცხოვრებისეული ისტორიებისა და მასტერ ნარატივის ურთიერთმიმართების საკითხებზე დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტში ქეით მაკლინთან ერთად.

კვლევის შედეგების ამსახველი პრეზენტაცია მიღებულ იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე, თუმცა ფინანსების სიმცირიდან გამომდინარე, ჯერჯერობით წარდგენილ იქნა მხოლოდ ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ზეპირი პრეზენტაციის სახით სათაურით: „Comparative study of psychological well-being and posttraumatic growth of IDP and non-IDP citizens of Georgia.“ კონფერენციაზე: „International Psychological Applications Conference and Trends 2015“ (InPACT 2015), Clinical psychology section, 2-5 April, 2015, Ljubljana, Slovenia.

ასევე, შედეგების ნაწილი მიღებულია ზეპირი პრეზენტაციისთვის ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ყოველწლიურ კონგრესზე სათაურით: „Posttraumatic Growth and Redemption in Life Story Narratives of Georgian Sample: Comparative Study of Idps and Non-IDP Citizens of Georgia“, კონფერენციაზე: „17th annual convention of the society for personality and social psychology“ (SPSP), San Diego, CA, USA.



დევნილთა კომპაქტურად დასახლების ადგილები

ამჟამად ბეჭდვის პროცესშია მოცემული კვლევის ერთი ნაწილი, რომელიც წიგნში „Psychology Applications & Developments II“ წარმოდგენილი იქნება მეოთხე თავის სახით, სახელწოდებით: „Posttraumatic growth and psychological well-being of Georgian citizens (comparative study of internally displaced persons and other citizens). ქართულად: საქართველოს მოქალაქეთა პოსტტრავმული ზრდა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა (იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა მოქალაქეების შედარებითი კვლევა).

გარდა ამისა, ჟურნალში Journal of Loss and Trauma, რომელსაც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია გამოსცემს, ბეჭდვაშია სტატია: „Investigation of psychometric properties of the Georgian version of posttraumatic growth inventory“. პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევა.

გამოქვეყნებულია პუბლიკაციები ადგილობრივ იმპაქტ ფაქტორიან რეცენზირებად ჟურნალში.

მოქალაქეობის სტილი საქართველოში

მაია მესტვირიშვილი

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. მისი კვლევითი ინტერესის სფეროებია: სოციალური იდენტობები, სტიგმა, მორალური მსჯელობა და რელიგიური ორიენტაციის ტიპები. 2006-2011 წლებში მან მიიღო კვლევითი და აკადემიური სტიპენდიები კოლუმბიის (აშშ), ბერკლის (აშშ) და ლუვენის (ბელგია) უნივერსიტეტებში. კვლევისთვის „ფარული და აშკარა სტიგმა სოციალური უმცირესობების ჯგუფებში“ ის დაჯილდოვდა პრეზიდენტის გრანტით ახალგაზრდა მეცნიერებისთვის (საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი). მაია მესტვირიშვილი შვედეთის სამეცნიერო აკადემიური ქსელის (ASCN) და ნორვეგიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების წამყვანი მკვლევარია. იგი რამდენიმე საერთაშორისო საკონფერენციო ნაშრომის და ჟურნალის სტატიის ავტორია.

რა არის მოქალაქეობის სტილი, როგორ ყალიბდება და რა ფსიქო-სოციალური ფაქტორები განსაზღვრავს მას საქართველოში? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა თსუ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევა სახელწოდებით „რა განსაზღვრავს მოქალაქეობის სტილს: კულტურა, რელიგია, ნაციონალიზმი“. კვლევის მიზანი იყო მოქალაქეობის ეთნიკური, კულტურული და სამოქალაქო სტილის გამოკვლევა ქართველ ახალგაზრდებში. ამასთან, ქართველ მეცნიერთა ინტერესის საგანი იყო ისიც, თუ როგორ ხდება თითოეული მოქალაქეობის სტილის კონსტრუირება და მანიფესტაცია. კვლევა დაფინანსდა 2011 წელს, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მიერ (ASCN) და მისი ხანგრძლივობა იყო 2 წელი. კვლევა ტარდებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მკვლევარებს ამ თემით დაინტერესებისკენ მსოფლიოში არსებულმა პრაქტიკამ და დღემდე დებატების საგნად ქცეულმა საკითხებმა უბიძგეს:

„ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს გარკვეული ემოციური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ. ეს დამოკიდებულებები ინდივიდის ყოველდღიური ქცევით ნიმუშებში ჰპოვებს ასახვას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის თვითდეტერმინაციის პროცესში და სოციალურ იდენტობას განსაზღვრავს. მოქალაქეობრივი სტილიც სოციალური იდენტობაა. ის მოიცავს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით შეიძლება ინდივიდი მივიჩნიოთ ქვეყნის მოქალაქედ.

მოქალაქეობის სტილი ერთის მხრივ კომპლექსური სოციალური პროცესების ზეგავლენას განიცდის, მათ შორის მასზე ძლიერ გავლენას ახდენს ეროვნული თვითდეტერმინაციაზე, მეორეს მხრივ მოქალაქეობის ტიპი თავადაც ახდენს გავლენას ინდივიდის სოციალურ პერცეფციაზე და აყალიბებს სოციალური ჯგუფის საზღვრებს. ადამიანების განსხვავებულ კრიტერიუმებს ირჩევენ იმის განსაზღვისათვის, ვინ უნდა გახდეს ქვეყნის მოქალაქე. ამ კრიტერიუმების მიხედვით მკლევრები მოქალაქეობის სამ სტილს განასხვავებენ: ეთნიკურს, კულტურულს და სამოქალაქოს.

ეთნიკური მოქალაქეობრივი სტილი გულისხმობს, რომ გენეალოგიური კავშირების არსებობა აუცილებელია დომინანტური ეთნიკური ჯგუფის წევრობისათვის. ამის საპირისპიროდ, მოქალაქის სახელმწიფოებრივი სტილი გულისხმობს, რომ ქვეყნის მოქალაქე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც პატივს სცემს და აღიარებს ქვეყნის კანონს და ვინც აქტიურად არის ჩართული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლო ხანებში მკვლევრებმა გამოთქვეს ეჭვი იმის, თაობაზე, რომ ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი დიქოტომია შესაძლებელია სრულად არ ასახავდეს მოქალაქის იდენტობის სტილის კომპლექსურ ბუნებას. ემპირიული კლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ არსებობს მოქალაქის იდენტობის მესამე სტილი – კულტურაზე ორიენტირებული მოქალაქის იდენტობა – რომელიც მოქალაქის ვალდებულებებში მნიშვნელოვან როლს აკისრებს ქვეყნის ეროვნულ კულტურასთან ადაპტაციას, მის ცოდნას და პატივისცემას. ადამიანები, რომლებსაც ახასიათებთ კულტურაზე ორიენტირებული მოქალაქის იდენტობა, ეროვნული კულტურის მიმართ ავლენენ პატივისცემის მაღალ ხარისხს და მისი დაცვის სურვილსაც გამოხატავენ. ეს ინდივიდები სენსიტიურები არიან კულტურასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ და მიაჩნიათ, რომ მათი ცოდნა და პატივისცემა არსებითია იმისათვის, რომ ითვლებოდე ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქედ“, – განმარტავს პროექტის ავტორი და წამყვანი მკვლევარი, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი.

ამ თეორიულ წინაპირობაზე დაყრდნობით მკვლევარებმა მიზნად დაისახეს საქართველოში მოქალაქეობის სამივე ტიპის კვლევა და მიკროდონის ანალიზის განხორციელება. კერძოდ სცადეს გაერკვიათ, თუ როგორია თითოეული სტილის კომპოზიციური მოდალობა და რა ფაქტორები განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

კვლევის განხორციელებაში ჩართული იყვნენ ასევე: ხათუნა მარწყვიშვილი, მკვლევარი – ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; ლუიზა არუთინოვი – ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ნათია მესტვირიშვილი – კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, რეგიონული კვლევების კოორდინატორი.

მეცნიერებმა კვლევის დიზაინში ჩართეს ეროვნული, კულტურული და რელიგიური დამოკიდებულებები, როგორც მოქალაქის სტილის პოტენციური კონტრიბუტორები. კვლევა ჩატარდა საქართველოს შვიდ უნივერსიტეტში: ოთხი უნივერსიტეტი ქვეყნის დედაქალაქში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი სამი კი – საქართველოს აღმოსავლეთ, შიდა და დასავლეთ საქართველოში. კვლევაში სულ მონაწი-





ლეობა მიიღო 415 მდედრობითი და 270 მამრობითი სქესის 18-დან 24 წლამდე სტუდენტმა.

ავტორი ამბობს, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, მოქალაქის იდენტობის სტილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ ჯგუფთან იდენტიფიცირების ხარისხთან, კულტურულ და რელიგიურ განზომილებებთან. კონკრეტულად კი, ნაციონალიზმის პოზიტიური და პატრიოტიზმის ნეგატიური მაჩვენებლები განსაზღვრავს მოქალაქეობის ეთნიკურ სტილს, ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო სტილი დაკავშირებულია პატრიტიზმის დადებითი და ნაციონალიზმის უარყოფითი მაჩვენებლებით. ამასთან, შედეგები მიუთითებს, რომ ნაციონალიზმი და ორთოდოქსულობა ძლიერად და პოზიტიურად კორელირებს ერთმანეთთან. „ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ როგორც ნაციონალიზმი, ასევე ორთოდოქსულობა ეფუძნება რიგიდული კოგნიტური იტერპრეტაციის სტილს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტურული მოქალაქეობის სტილი საშუალო მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი უმრავლეს პრედიქტორ ცვლადების, რაც წარმოაჩენს კულტურული მოქალაქეობის სტილის ახალ ფუნქციას: დააბალანსოს ეთნიკური და სამოქალაქო ტიპების ურთიერთშეუთანხმებელი შინაარსი და შეასრულოს გარდამავალი როლი მათი ცვლილების შემთხვევაში“, – ამბობს მკვლევარი.

მაია მესტვირიშილი განსაკუთრებულ აქცენტს შემდეგ ფაქტზე აკეთებს: საქართველოში რელიგიურობა მნიშვნელოვანი ცვლადია ზოგადად ეროვნულ განწყობებს, შეხედულებებსა და იდენტობას შორის კავშირებისათვის. რელიგიურობა არა მხოლოდ პირდაპირი კავშირების საშუალებით გვევლინება, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი იდენტობის სიძლიერისათვის ან მოქალაქეობის სტილისთვის, არამედ მას აქვს დაფარული, მედიატორის ფუნქცია ეროვნული გრძნობების და მოქალაქეობის სტილის პრეფერენციებისათვის. „რადგან რელიგია პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნულ გრძნობებზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე შეხედულებები ეროვნულ, სამოქალაქო საკითხებზე კვლავ მჭიდროდ აკავშირებს ღმერთის სიყვარულს და ქვეყნის სიყვარულს ერთმანეთთან. რელიგია არა მხოლოდ კულტურის ნაწილია ანდა პიროვნული პრეფერენცია, არამედ იგი ეროვნული და სამოქალაქო შეხედულებების ერთი-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია“, – ამბობს იგი.

ავტორი კვლევის შედეგებიდან გამოყოფს დისკრიმინაციული ანალიზის მიგნებებს, რის მიხედვითაც ორგანზომილებიანი მოდელი საუკეთესოდ ასახავს მოქალაქის ეთნიკურ, სამოქალაქო და კულტურ სტილებს შორის განსხვავებას საქართველოში. კერძოდ, ანალიზმა აჩვენა, რომ ეროვნული, კულტურული და რელიგიური დამოკიდებულებები ორ ძირითად ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს, რაც მოქალაქის სტილების ორ ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს ქმნის. პირველი განზომილება აერთიანებს ნაციონალიზმს, ნაციონალურ იდენტობას და ორთოდოქსულობას, ხოლო მეორე მოიცავს პატრიოტიზმს, კოლექტივიზმს და შიდაჯგუფურ განწყობებს.

პირველი განზომილება ეგრეთწოდებული „ორთოდოქსული“ ნაციონალიზმია და ამ განზომილებაში შემავალი ცვლადები როგიდულობას და დოგმატურობას გამოხატავს, სადაც რაციონალიზმი მეტია, ვიდრე სენტიმენტალიზმი; ხოლო მეორე განზომილება ემოციებთანაა დაკავშირებული, აფექტურ კომპონენტს ასახავს და შესაბამისად მას მკვლევარებმა „სენტიმენტალური ნაციონალიზმი“ უწოდეს.

„აღმოჩნდა რომ ეს ორი განზომილება სტატისიკურად სანდო განსხვავებას გვაძლევს მოქალაქის სტილის დიფერენციაციისათვის. მოქალაქის ეთნიკურ სტილს მაღალი მაჩვენებელი აქვს ორთოდოქსულ ნაციონალიზმის განზომილებაზე, მოქალაქეობის კულტურულ სტილს საშუალო, ხოლო სამოქალაქო სტილს – დაბალი. მეორე, სენტიმენტალური ნაციონალიზმის განზომილებაზე მოქალაქეობის სტილები განსხვავებული მიმდევრობით არიან განლაგებულები: მაღალი მაჩვენებელი აქ მოქალაქეობის კულტურ სტილს, საშუალო მაჩვენებლები – სამოქალაქო სტილს, ხოლო დაბალი მაჩვენებლები – ეთნიკურ სტილს“, – აცხადებს კვლევის ავტორი.

საინტერესოა, შედეგების აღწერითი შედეგებიც: გამოკითხულთა 56% მოქალაქის კულტურილ სტილს ირჩევს; 25% – სამოქალაქოს, ხოლო 19% – ეთნიკურს. თუმცა, მკვლევართა თქმით, კვლევა არ არის რეპრეზენტატული, ამიტომ ამ მონაცემთა გენერალიზაცია საქართველოს მოსახლეობაზე არასწორი იქნებოდა.

კვლევის ხელმძღვანელი ამბობს, რომ: მოქალაქეობის სტილის სტრუქტურის და დინამიკის შესწავლა მნიშვნელოვანია ისეთი კომპლექსური საკითხების შესწავლისათვის როგორიცაა ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, მიგრაციული პოლიტიკა, უმცირესობათა უფლებები, და შესაბამისად მას შეაქვს წვლილი ღია/ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობაში. ამდენად, ჩვენი კვლევა შესაძლოა საინტერესო იყოს საჯარო პოლიტიკის მოხელეებისათვის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის სფეროს წარმომადგენლებისათვის, სოციოლოგებისათვის, რადგან მოქალაქობის ცნება და მასთან დაკავშირებული შეხედულებების შესწავლა აქტუალურია განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნისათვის.

კვლევას აქვს პრაქტიკული ღირებულება, რადგან საჯარო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა უწყობს ხელს მოქალაქეობის ინკლუზიურ ტიპს, რაც დემოკრატიული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, და რა უშლის ხელს ექსკლუზიური ტიპის ჩამოყალიბებას, რადგან ეს უკანასკნელი განვითარების და გახსნილი საზოგადეობის ჩამოყალიბების ხელისშემშლელია.

კვლევა წარდგენილი იყო ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე: 2012 წელს ერევანში; 2013 წელს ნიუ-იორკში ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული (APA) აღმოსავლეთ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის კონფერნეციაზე. ლისაბონში განათლების და კვლევის ინტერდისციპლინარული გლობალური ქსელის მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე და სხვა.

ქართველი მკითხველი მალე იხილავს წიგნს „მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის“, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მე-19 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. წიგნი მზადდება საგრანტო პროექტის „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ ფარგლებში და მის შექმნაზე მეცნიერთა ჯგუფი საგრანტო პროექტის ფარგლებში მუშაობს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიწვეული მკვლევარის სტატუსით პროექტში მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკაში მარი წერეთელი.

„მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის“

მარი წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. 1990 წლის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიის ლაურეატი. მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. გამოქვეყნებული აქვს 35-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სტატიები დაბეჭდილია გამომცემლობა Cambridge Scholars Publishing-ის მიერ გამოცემულ კრებულებში. ამჟამად მკვლევრის სტატუსით მონაწილეობს ორ საგრანტო პროექტში.
სამეცნიერო კვლევის ინტერესები: ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია, მედიატექსტის ფუნქციური ტიპოლოგია და ინტერპრეტაცია, ჟურნალისტიკის კომპარატივისტული ანალიზი, ევროპეიზმი და ქართული ჟურნალისტიკა.
თსუ-ში ლექციებს კითხულობს 1992 წლიდან, ამჟამად უძღვება სალექციო კურსებს: „მასობრივი კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის შესავალი“, „ანალიზისა და მოსაზრების წერა“, „თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი“.

მკვლევარი ასე ხსნის საგრანტო პროექტის მიზანს: პროექტის მიზანია, ყოველმხრივ წარმოაჩინოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და ღვაწლი. მწერალთა პერსონალური ენციკლოპედიები ფრიად მნიშვნელოვანია მათი შემოქმედების ენციკლოპედიურად თავმოყრის, უკვდავყოფის, პოპულარიზაციის თვალსაზრისით და ზოგადად, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მოვლისა და მისი გადარჩენის კონტექსტში განიხილება. ამიტომაც კარგა ხანია მსოფლიოში არსებობს და მკითხველის დიდ ინტერესსაც იწვევს მხატვრული სიტყვის დიდოსტატთა: დანტეს, შექსპირის, ბერნსის, დიკენსის, გოეთეს, შილერის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვათა პერსონალური ენციკლოპედიები. ჩვენს კულტურულ სინამდვილეში ამგვარი გამოცემა არ მოგვეპოვებოდა. (ზოგადადაც, არსებობს მხოლოდ ერთადერთი – 2002 წელს გამოცემული „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, – ამბობს იგი.

მარი წერეთლის ინფორმაციით, სწორედ ილია ჭავჭავაძეა ის პირველი მწერალი და მოაზროვნე, რომლის პერსონალური ენციკლოპედიის მომზადების იდეაც გაჩნდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, „ქართულ ენციკლოპედიაში“, მისი ხელმძღვანელის, პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ინიციატივით. მაშინ გარკვეული სამუშაო შესრულდა კიდეც, თუმცა მუშაობა მალევე შეწყდა იმ ხანად ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო.

ენციკლოპედიის პროექტის ახალი კონცეფციის მომზადება შესაძლებელი გახდა 2006 წელს ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში, მას შემდეგ, რაც მასზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფმა მოიპოვა ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედიაზე მუშაობის საავტორო უფლება. პროექტი ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი იყო ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდი.

პროცესს უძღვება ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი აბაშიძე. წლების განმავლობაში ილიას პერსონალური ენციკლოპედიის პროექტზე მუშაობდნენ: კვლევის ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო მამარდაშვილი, ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: ლეილა სულხანიშვილი, მანანა ბარათაშვილი, მანანა ყიფიანი, თამარ მიქაძე. მეცნიერ-თანამშრომლები: ნანა ზღულაძე, ზეინაბ ლომჯარია, აწ გარდაცვლილი მკვლევრები: ნათელა საღირაშვილი და გურამ ჭოხონელიძე.

„ილია ჭავჭავაძის პიროვნების განსაკუთრებულობა განსაზღვრავს კონკრეტული საენციკლოპედიო კვლევის მთავარ მიმართულებებს. პერსონალურ ენციკლოპედიაში არ აისახება მხოლოდ ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ, მნიშვნელოვანია და კვლევის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მწერლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმოჩენაც. სწორედ ამით არის ეს ენციკლოპედია განსხვავებული. ის, რომ ილია გახლდათ მრავალი მნიშვნელოვანი საქმის მოამაგე – კერძოდ, ილიას საბანკო მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების, ქართული დრამატული საზოგადოების, ქართული თეატრის, ქართული ჟურნალისტიკის წინაშე, მისი პუბლიცისტური, რედაქტორული მოღვაწეობა და სხვა მხარეები, ცხადია, განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტებს: მასში უცილობლად უნდა აისახოს იმდროინდელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული გარემო, მღელვარე და დრამატული ეპოქის სურათი, „საუკუნის მკვლელობად“ სახელდებული/წოდებული? ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრულის ჩათვლით. 1907 წლის წიწამურის ტრაგედიამ დიდწილად განსაზღვრა საქართველოში განვითარებული შემდგომი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესები“ – აცხადებს მკვლევარი.

მისი თქმით, პროექტზე მუშაობისას ახლებურად გასააზრებელია თავად მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წარსული, იდეურად პოლარიზებული საზოგადოებრივი სივრცე, რთული და საინტერესო დრო, რომელიც მოიცავს პერიოდს – 1837-დან 1907 წლამდე, რაც პროექტზე მუშაობის პრინციპია

„მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული გარემო, საზოგადოებრივი აზრი ქმნიდა იმ დიად ეპოქას, რომლის გარეშეც სრულიად შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის,

მწერლისა და მოღვაწის, მონუმენტური ფიგურის წარმოჩენა პერსონალურ ენციკლოპედიაში. სწორედ ეს მრავალმხრივობა და მრავალასპექტიანობა განაპირობებს კვლევის სირთულეს.

მოსაძიებელი, შესასწავლი და დასადგენი იყო მრავალი მოვლენა, ფაქტი, თარიღი, მონაცემი, პიროვნება, ტოპონიმი და სხვ. უშუალოდ კვლევის პრიცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია, ასევე ინტერნეტსივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილი იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. აქვე დავძენ, რომ გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. კვლევა-ძიების არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ და ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს“. – აღნიშნავს მარი წერეთელი.

4 წლის განმავლობაში მიმდინარე კვლევითი სამუშაოები აისახა წიგნში „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907) – სიტყვანი“, რომელიც დაიბეჭდა 2010 წელს გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ და რომლის პრეზენტაციაც გაიმართა 2010 წლის 5 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში. საბაზისო გამოცემა „სიტყვანი“, ილიას პერსონალური ენციკლოპედიის საფუძველია. ამ 738 გვერდიან წიგნში ასახულია პროექტის მიზანდასახულობა და კონცეპტუალურად არის წარმოჩენილი მწერლის ცხოვრების, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ დღემდე დაგროვილი სამეცნიერო ცოდნა.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ე.წ. პერსონალიები. რომელზე მუშაობამაც მკვლევართა უდიდესი ძალისხმევა მოითხოვა. ე.წ. „პერსონალიებში“ თავს იყრის არა მხოლოდ პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები, ფაქტობრივი შედეგების გარდა უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ილიას თანამედროვეთა წარმოჩენით ცხადდება მათი მსოფლმხედველობრივი და პარტიული კუთვნილება, რაც განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძისა და მის იდეურ მომხრეთა მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისა თუ ჯგუფის დამოკიდებულებას.



„და ასე იკვეთება ის მრავალფეროვანი გარემო, სადაც მოღვაწეობა უხდებოდა მწერალს. წიგნის ათეულობით გვერდი ასახავს გარდასული დროის ავბედითობისა თუ საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის გამო დაკარგულ, დაუდგენელ, მიჩქმალულ, ხელოვნურად აღზევებულ თუ საერთოდ, შეუფასებელ ადამიანებს, რომლებიც ქმნიდნენ ილიას თანამედროვე საზოგადოებრივ სინამდვილეს და მწერლის მოღვაწეობის ამსახველ კულტურულ სივრცეს. ცხადია, თითოეული პიროვნება გარკვეული ღირებულებების მატარებელია და სწორედ პერსონალიებში მკაფიოდ ჩანს წარსულის წინააღმდეგობრივი და აწ უკვე გადაფასებული, რეალური, უაღრესად მრავალმხრივი სურათი, დოკუმენტურად ჩანს ზოგადად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიადაგის რაგვარობა, რაც არის ამ ეტაპზე კვლევის ერთ-ერთი მთავარი სიახლე და შედეგი“. – ამბობს მკვლევარი.

ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიაზე მუშაობის პროცესში შესაძლებელი გახადა ილიას პუბლიცისტური ნააზრევის აქტუალიზება და ახალი კონტექსტის წამოწევა. კერძოდ, ჩვენი თანამედროვეობისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება, ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა, პრესის თავისუფლება, სამოქალაქო აქტივობა და მრავალი სხვა. ასევე, პროექტის ფარგლებში შევისწავლე ილიას პოლიტიკური წერილები, რომლებიც ეხება საერთაშორისო პრობლემატიკას და უაღრესად მნიშვნელოვანია, ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სურათის შესაქმნელად, თანამედროვე და ისტორიულ მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირის დასადგენად. კვლევის შედეგები აისახა მოხსენებაში „ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური წერილების გეოსტრატეგიის გააზრებისათვის“, რომელიც წავიკითხე 2010 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე „გლობალური ტრანსფორმაციები და საქართველო“.

უნდა აღინიშნოს, რომ „სიტყვანმა“ აკადემიური წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია, პოზიტიურად შეფასდა შესრულებული სამუშაო, მისი მნიშვნელობა, პროექტზე მუშაობა კი გაგრძელდა კრიტიკული მოსაზრებების, საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით. საარქივო წყაროებსა და დოკუმენტებზე მუდმივი მუშაობის, მოკვლევის უაღრესად შრომატევადი პროცესი დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც დამახასიათებელია საენციკლოპედიო მუშაობის სპეციფიკისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის ფარგლებში, წლის ბოლოსთვის გამოსაცემად მზად იქნება მეორე წიგნი – „მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის“, სადაც აისახება შემდგომი კვლევის შედეგები, წიგნს დაემატება მნიშვნელოვანი მასალა და თავს მოიყრის შევსებული, გაფართოებული, დაზუსტებული და ჩასწორებული მონაცემები. ასევე მიმდინარეობს მუშაობა გამოცემაზე „ილია ჭავჭავაძე და ქართველი მწერლები“, სადაც ახლებურად იქნება გააზრებული მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედება და ღვაწლი, ილიასთან კავშირში განიხილება ცალკეულ ავტორთა ლიტერატურული მემკვიდრეობა როგორც შემოქმედებით, კულტურულ, მსოფლმხედველობრივ, ასევე საქმიან და სოციალურ კონტექსტში. გარდა ცნობილი კლასიკოსებისა, ამ მიმართებით მოკვლეული და შესწავლილი იქნება ბევრი ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი ავტორი. წიგნი მიზნად ისახავს ეპოქის მეტ-ნაკლებად მთლიანი კულტურული ცხოვრების სურათის ასახვას, ვინაიდან სწორედ ასეთი მთლიანობა ქმნიდა მწერლის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს, ლიტერატურულ პროცესს, და რაც მთავარია, მეტი სისავსით წარმოაჩენს თავად ილია ჭავჭავაძის პიროვნებას.

ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან ოლღა გურამიშვილთან ერთად

ილია ჭავჭავაძე სოხუმში შერვაშიძეთა ბაღში. 1903 წლის მაისი

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, 1861 წ. დგანან (მარცხნიდან) ალექსანდრე (კოხტა) აფხაზი, მიხეილ ჩიკვაიძე, სხედან ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ალექსი მესხიშვილი

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრებს შორის



გასვენება. პროცესია მიემართება სიონის ტაძრისკენ

ალექსანდრე კუხიანიძე

კვლევები უსაფრთხოების საკითხებზე თსუ-ში

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მსოფლიოში გამოქვეყნდა უამრავი ნაშრომი ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე ტრანზიციის საკითხებზე, თუმცა, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში აღმოჩნდა, რომ დემოკრატიზაციასთან ერთად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სერიოზულად გაძლიერდა კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული. საქართველოში კი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემამ კითხვის ქვეშ დააყენა თვით ქვეყნის უსაფრთხოებაც კი, ხოლო პოლიტიკის მეცნიერები ალაპარაკდნენ არშემდგარ სახელმწიფოზე. ამიტომ, 2002 წლიდან დღემდე ხორციელდება კვლევითი პროგრამა, რომლის შემადგენლობაში შედის რამდენიმე თემა. თავიდან, ყურადღების ცენტრში მოექცა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკა. 2003 წლიდან კი ანტი-კორუფციული და ანტი-კრიმინალური რეფორმები საქართველოში.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების პროფესორი. საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრი. ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის დირექტორი. 2015 წელს არის Erasmus Mundus EMBER-ის პროგრამის მიწვეული პროფესორი მალმეს უნივერსიტეტში, ხოლო 2013 წელს იყო შვედური ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი იმავე უნივერსიტეტში. 2010-11 წლებში იყო მიწვეული მკვლევარი მონტერეის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში (კალიფორნია, აშშ). 2003 წელს მიწვეული მკვლევარი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. 2000-2001 წლებში USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტის დირექტორის მოადგილე; 1998-1999 წლებში ფულბრაიტის პროგრამის მიწვეული პროფესორი მაუნტ ჰოლიოკ კოლეჯსა და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში (აშშ). 1990-იან წლებში მუშაობდა დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო ჩართულობის საკითხებზე. 2002 წლიდან დღემდე აწარმოებს კვლევებს ორგანიზებულ დანაშაულზე, კონტრაბანდაზე, კორუფციაზე, უსაფრთხოებაზე და შეიარაღებულ კონფლიქტებზე. მონაწილეობდა და ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებს, ასევე ავტორია მრავალი საერთაშორისო პუბლიკაციების ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, უსაფრთხოებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხებზე. კითხულობს სალექციო კურსებს: „პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული“, „პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“, „თანამედროვე უსაფრთხოების კვლევები“, „საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტი“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“, „სოციალურ მეცნიერებათა მეთოდები“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების პროფესორის, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრის ალექსანდრე კუხიანიძის ხელმძღვანელობით რამდენიმე პროექტი განხორციელდა. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, 2003-2009 წლებში განხორციელდა კვლევითი პროექტი თემაზე „კონტრაბანდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით“. იმავე პერიოდში განხორციელდა მეორე პროექტიც – „ბირთვული მასალების კონტრაბანდა საქართველოს გავლით“, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით. ორივე პროექტი ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ტერორიზმის, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრთან ერთად ჩატარდა. ამ ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ ამერიკელი პროფესორი ლუიზ შელი.

ზოგადად, ამ პროექტების მიგნება ის იყო, რომ არა მხოლოდ ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია არის ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემის შემადგენელი ნაწილი, არამედ შეიარაღებული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი, შეადგენენ ტრანსნაციონალური დანაშაულის ელემენტებს და წარმოადგენენ გლობალური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს. ამიტომ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ალექსანდრე კუხიანიძის კვლევით ინტერესებში შევიდა უსაფრთხოების ახალი კონცეფციების პრობლემატიკაც.

მეცნიერის თქმით, ცნობილია, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ უსაფრთხოების კონცეფცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ მიზნით, 2010-11 წლებში განხორციელდა კვლევითი პროექტი თემაზე „არატრადიციული მუქარებისა და გამოწვევების თეორიები ნაციონალური უსაფრთხოებისათვის“. პროექტი კარნე-



გის ფონდის დაფინანსებით, აშშ-ში მონტერეის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში განხორციელდა, ამ ინსტიტუტში არსებული ჯეიმს მარტინის სახელობის მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის კვლევითი ცენტრის დირექტორ, უილიამ პოტერთან თანამშრომლობით.

ამ პროექტის მიგნება ის იყო, რომ ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ასევე ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ის შიში და მუქარა გაქრა, რომელიც არსებობდა ბირთვული არმაგედონის შესახებ. თუმცა, ძველი მიდგომები უსაფრთხოების გარანტიის შესახებ ნელა იცვლება. სწრაფმა გლობალიზაციამ მოიტანა ისეთი ახალი საფრთხეები, როგორებიცაა: ბირთვული კონტრაბანდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, კიბერდანაშაული, ვაჭრობა ადამიანების ორგანოებით, ფულის გათეთრება. პირველი პუბლიკაციები ახალი საფრთხეების შესახებ გაჩნდა 1980-იან წლებში, ხოლო 1990-იანი წლებიდან „არატრადიციული“ საფრთხეების საშიში შედეგები სრული სახით გამოჩნდა. ტრადიციულად, უსაფრთხოების შესახებ კვლევები განიხილებოდა ეროვნულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც ითვლებოდა როგორც უსაფრთხოების პროვაიდერი. სამოქალაქო საზოგადოება კი წარმოდგენილი იყო როგორც პასიური ობიექტი. უსაფრთხოების ტრადიციული კონცეფციები იყო კონცენტრირებული გეოპოლიტიკაზე, სამხედრო ძალაზე, ეროვნული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ბიზნესს და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კი უმნიშვნელო როლი ენიჭებოდათ. 1990 წლებში დასავლეთის პოლიტიკურ ლიტერატურაში დაიწყო უსაფრთხოების ტრადიციული მიდგომების გადახედვა. როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში არატრადიციულ საფრთხეებში მოიაზრებოდა ეკონომიკური ზრდის პრობლემები, სიღარიბე და განვითარება და არა – სამხედრო ბლოკები და მათი დაბალანსება, სუპერსახელმწიფოები. ამან განაპირობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოება ორი მიმართულებით: პირველი, გაანალიზება გლობალურ, რეგიონალურ, ადგილობრივ პრობლემებს შორის ურთიერთკავშირის და მეორე, აქცენტების გაკეთება სამოქალაქო ჯგუფებსა და ხალხებს შორის ურთიერთობაზე. თეორიულად უსაფრთხოების კონცეფციის გაზრდის გაფართოებამ გაართულა იმის გააზრება, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოება და როგორია მისი პრიორიტეტები ახალ ეპოქაში ცივი ომის დასრულების შემდეგ.

საერთაშორისო ეკონომიკის მზარდი გლობალიზაციის პირობებში ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად „ახალ“ საფრთხეს ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის. გლობალური ორგანიზებული დამნაშავეობა უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ფინანსურ ქსელზე და ეროვნულ ეკონომიკაზე, კავშირი მათ შორის იზრდება.

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ტრადიციულად, გამოკვლევები უსაფრთხოების სფეროს შესახებ შედიოდა ისეთი დისციპლინის კომპეტენციაში, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები. მაგრამ, დღეს არა ყველა საფრთხე და მუქარა შედის ამ დისციპლინის კომპეტენციაში. ცნება „უსაფრთხოება“ არ ექვემდებარება მარტივ განსაზღვრებას და უფრო განსხვავებული, მრავალდისციპლინური მიდგომა სჭირდება სტიქიური უბედურებების, კორუფციის, ტექნოგენური საფრთხეების, ორგანიზებული დამნაშავეობის ანალიზს. აქ განსაზღვრულ ადგილს იკავებს პოლიტიკური მეცნიერება. უსაფრთხოებ-

ის დარგში „ახალ“ ან „არატრადიციულ“ კვლევებს აქვს მრავალი ხარვეზი. ის, რაც დღეს არის „ახალი“ და „არატრადიციული“, ხვალ იქნება „ძველი“ და „ტრადიციული“, მაგალითად, კიბერდამნაშავეობა. ასეთი ტერმინები მხოლოდ დროებით ახასიათებს თანამედროვე გამოკვლევების არსს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოება ითვალისწინებს აქცენტების გადატანას სამხედრო უსაფრთხოებიდან სამოქალაქო უსაფრთხოებაზე. ის, ამ შემთხვევაში სახელმწიფოსთან ერთად რთავს სამოქალაქო ორგანიზაციებს, როგორც უსაფრთხოების პროვაიდერებს და გულისხმობს სხვადასხვა ფორმით ბრძოლას ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან. სხვა სიტყვებით, ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ეხება სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების სფეროს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხეების ცვალებადობასთან ერთად, უსაფრთხოების პრიორიტეტებიც მუდმივად იცვლება.

საერთაშორისო ეკონომიკის მზარდი გლობალიზაციის პირობებში ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად „ახალ“ საფრთხეს ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის. გლობალური ორგანიზებული დამნაშავეობა უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ფინანსურ ქსელზე და ეროვნულ ეკონომიკაზე, კავშირი მათ შორის იზრდება.

ის, რომ დამნაშავეებს აქვთ შესაძლებლობა, თავი შეაფარონ უცხოეთის ქვეყნებს და გადამალონ თავიანთი არაკანონიერი შემოსავლები საზღვარგარეთ, ართულებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას, გააკონტროლონ ფინანსური ნაკადი, შეამოწმონ დოკუმენტაციები და დააკავონ დამნაშავეები. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ მილიარდობით ფულის გათეთრებით ეროვნული სახელმწიფოების ბიუჯეტს აკლდება საგადასახადო შემოსავლების დიდი ნაწილი. მაგალითად, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები აკონტროლებენ რუსეთის 200-ზე მეტი ბანკის დიდ ნაწილს და მათი კაპიტალის ნახევარს. რუსეთში ბიზნესი უმეტესად ხდება გამოძალვის, ძარცვის, ქურდობის, მკვლელობის ობიექტი. იქ ბიზნესმენები თავიანთი შემოსავლების 30 პროცენტზე მეტს ხარჯავენ მათ საწარმოებში მომუშავე ადამიანებისა და პროდუქციის უსაფრთხოებაზე. ეს 30 პროცენტი მიდის იმ „განგსტერების“ ჯიბეებში, ვისგანაც ისინი თავიანთ ბიზნესს იცავენ, რაც აიძულებთ, დაუმალონ შემოსავლები საგადასახადო სამსახურებს.

გლობალური ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოადგენს საფრთხეს პოლიტიკური ინსტიტუტებისთვის, განსაკუთრებით – ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებში. მაგალითად, პერუსა და კოლუმბიაში ადგილობრივი კრიმინალური კარტელები აწვდიან იარაღს და უწევენ ფინანსურ დახმარებას მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებულ ფორმირებებს. ამით ასუსტებენ მთავრობას, რათა თავისუფლად შეძლონ კოკაინის წარმოება და ექსპორტი. სიცილიის მაფია თავის ფინანსურ ძლიერებას იყენებს კორუმპირებული პოლიტიკოსების, სასამართლოსა და პოლიციის მოსასყიდად, ფიზიკურად იშორებს იმ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც მასთან არ მიდიან თანამშრომლობაზე.

ორგანიზებული დამნაშავეობის მიმართ შიში წარმოშობს უნდობლობას მოქალაქეებში, რომ დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ, წარმატებით გაუმკლავდნენ დამნაშავეობას და პოლიტიკური რადიკალიზმისა და მკაცრი, ანტიდემოკრატიული პოლიტიკის მხარდაჭერა მოიპოვონ.

პროგრამის შემდეგი ეტაპი იყო 2013-14 წლებში შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით ახალ პროექტზე მუშაობა რომლის თემაა: „სამოქალაქო უსაფრთხოება შვედეთში: რისი შესწავლა შეუძლია საქართველოს მათგან?“ შვედეთში სამოქალაქო უსაფრთხოების გამოცდილების და სკანდინავიის/ბალტიის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესწავლამ, მათ შორის რუსული მუქარის გათვალისწინებით, ხელი შეუწყო საქართველოსა და კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების გამოწვევების უკეთესად გააზრებას, განსაკუთრებით იმას, თუ რატომ არ იყო სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა ეფექტური საქართველოში, მათ შორის აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტების მოგვარების საქმეში და 2008 წელს რუსეთთან ომის დროს.

შვედეთის სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა, ძირითადათ რბილი ძალის

ორგანიზებული დამნაშავეობის მიმართ შიში წარმოშობს უნდობლობას მოქალაქეებში, რომ დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ, წარმატებით გაუმკლავდნენ დამნაშავეობას და პოლიტიკური რადიკალიზმისა და მკაცრი, ანტიდემოკრატიული პოლიტიკის მხარდაჭერა მოიპოვონ.

პოლიტიკაზეა აგებული, მაშინ როდესაც, საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა ეფუძნებოდა ხისტ ძალას და ხასიათთებოდა ცივი ომის დროინდელი ტრადიციული მილიტარისტული მიდგომებით. საქართველოს უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობა რომ გაიზარდოს, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არატრადიციულ მიდგომებს – უნდა მოხდეს ადამიანისა და საზოგადოების მობრუნება უსაფრთხოებისაკენ, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და რბილი პოლიტიკის უფრო ძლიერი ელემენტებით. ეს პროექტი განხორციელდა მალმოს უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკური კვლევების დეპარტამენტის დახმარებით, პროფესორ კარინა ვამლინგ და პროფესორ კარენ სარსენოვთან თანამშრომლობით.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, ალექსანდრე კუხიანიძის ავტორობით გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი, აგრეთვე კვლევის შედეგები იყო წარმოდგენილი უამრავ საერთაშორისო კონფერენციასა და სემინარზე, ძირითადად აშშ–ში, ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. გამოქვეყნებული ნაშრომები არაერთხელ იყო ციტირებული სხვადასხვა საერთაშორისო პუბლიკაციებში და ეს ასახულია, მაგალითად, Google Scholar-ის ციტირების ინდექსში (ვებგვერდი: https://scholar.google.se/citations?user=9anIxBEAAAAJ&hl=en).

ამჟამად ალექსანდრე კუხიანიძის კვლევის ინტერესებში მოექცა რუსული ნაციონალიზმი, ექსტრემიზმი და რუსეთის ომი უკრაინაში, როგორც გლობალური უსაფრთხოების მუქარა. მაგრამ, ამ პროექტზე მუშაობა არის მომავლის საქმე.



„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაცია“

უსაფრთხოების თემები თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება. ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოს კარგად აქვს გასააზრებელი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი შესატყვისობა ევროპის უსაფრთხოების კონცეფციასათან მიმართებაში. ამიტომ კვლევა სახელწოდებით: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაცია“, რომელიც თსუ იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლელა ჯანაშვილიმა განახორციელა, უდავოდ იმსახურებს საზოგადოების ინტერესს.

კვლევა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოების“ გლობალური საფაკულტეტო საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2013-2014 წლებში, ესპანეთში, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში. თსუ მეცნიერის ხელმძღვანელი ამ კვლევაში კონსტიტუციური სამართლის კათედრისა და კვლევითი ჯგუფის „თავისუფლება, დემოკრატია და სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია“ ხელმძღვანელის პროფესორი ჟოან ლუის პერეს ფრანსეზი გახლდათ.

„უსაფრთხო ევროპა უკეთეს მსოფლიოში“ ეს არის ევროპის უსაფრთხოების პირველი სტრატეგიის მთავარი დევიზი, რომელიც 2003 წლის 12 დეკემბერს არის მიღებული.

ლელა ჯანაშვილის განმარტებით, ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მეშვეობით, ევროპის გაერთიანებას აქვს პრეტენზია, მოახდინოს საკუთარი უსაფრთხოების სტრატეგიის ადაპტირება არსებულ რეალობასთან, რომ პასუხი გაეცეს მსოფლიო გამოწვევებს, როგორიც არის: ტერორიზმი; მასიური განადგურების იარაღის გავრცელება; სუსტი სახელმწიფოები; ორგანიზებული დანაშაული; რეგიონული კონფლიქტები. სწორედ ეს საფრთხეები მიიჩნევა ევროპის უსაფრთხოების კონცეფციის ძირითად ელემენტებად. პარალელურად, კონცეფცია ავალდებულებს ყველა ეროვნულ სახელმწიფოს,

ლელა ჯანაშვილი

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, „სამართალმცოდნეობის“ სპეციალობით. 2003 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის (გათანაბრებული სამართლის დოქტორთან) ხარისხი. 2004-2009 წწ-ში. იყო თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. 2009 წლის სექტემბრიდან 2011 წლის სექტემბრამდე იყო ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოსტ-სადოქტორო სტიპენდიანტი, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის უსაფრთხოებისა და პრევენციის სკოლისა და საჯარო სამართლისა და ისტორიულ-იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ვიზიტ-პროფესორი. 2010 წლიდან დღემდე კი არის ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის „თავისუფლება, უსაფრთხოება და სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია“ კვლევითი ჯგუფის წევრი.

შექმნან საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები, რაც თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

„ეს ასეა საქართველოს შემთხვევაშიც. ეროვნული უსაფრთხოება ძალზედ კომპლექსური ცნებაა და იგი უნდა გაანალიზდეს მრავალი მიმართულებით. ეროვნული უსაფრთხოება ასევე მრავალ პრობლემას მოიცავს, რომლებიც, პირველ რიგში, საჭიროებენ ზუსტ დიაგნოსტიკას. დღეს ევროპა აშკარად დგას ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც XX საუკუნეში არც არსებობდა – გლობალური ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაულები, რეგიონული და შეიარაღებული კონფლიქტები, სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება და ა.შ.“ – აღნიშნავს კვლევის ავტორი.

მისი აზრით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხების კონცეფცია ეფუძნება ინტერესებისა და ღირებულებების, ასევე საშინაო და საგარეო საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზს.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაციასთან“ დაკავშირებული კვლევა განხორციელდა შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, ევროპისა და ესპანეთის უსაფრთხოების კონცეფციათა ანალიზის მეშვეობით. კვლევის განხორციელებისას მოეწყო რამდენიმე მრგვალი მაგიდა, სადაც ესპანელი ექსპერტები მსჯელობდნენ გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე და ეროვნულ სახელმწიფოთა როლზე აღნიშნულ კონტექსტში.

კვლევაში მოყვანილია ესპანელ ექსპერტთა (პროფესორები: ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩი, ტომას ხილ მარკესი, მანუელ ბალბე მალოლი, როსერ მარტინესი, მონსერატ ეგლესიასი) შეფასებები, რომელთა განმარტებით, საქართველს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს გარკვეულ „ფანჯარას“ პატარა, გარდამავალი ქვეყნების უსაფრთხების პრობლემის ანალიზისთვის მკაცრ სამეზობლო გარემოში, როდესაც პატარა სახელმწიფოებს უწევთ გაუმკლავდნენ დიდ, ზოგჯერ მტრულად განწყობილ მეზობლებს. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს რეგიონალური კონფლიქტების საფრთხის არსებობა სამეზობლო გარემოში, რომელიც განიხილება როგორც დიდი საშიშროების შემცველი ევროპისათვის, იმის მიუხედავად, ეს კონფლიქტი მდებარებოს თუ არა მის ტერიტორიაზე, ან მის საზღვრებთან.

„რეგიონში არსებული რთული ვითარება, რეგიონიდან ტერორიზმის პროექციის არაერთი მაგალითი, ასევე გადაუჭრელი კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ძალთა ბალანსის არასტაბილურობა და მუდმივად ომის განახლების პერსპექტივა, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხეები (ინგუშეთი, დაღესტანი), სხვა ხილული თუ უხილავი საფრთხეები, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის გონივრულად წარმართვის წინაპირობა უნდა იყოს, რაც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ ზუსტი აქცენტები საქართველოს ეროვნული უსაფრთოხების პოლიტიკის ევროპასთან ასოცირებისას“, – განმარტავს ავტორი.

კვლევაში განხილულია ასევე საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ის ნაწილიც, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს ეხება: „2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც კი ამგვარი აგრესია ზოგიერთი ქვეყნისათვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად რჩება. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციამ და იქ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო. ამ ომმა ცხადჰყო, რომ რუსეთის ფედრაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს...“

ესპანელ ექსპერტთა შეფასებით, კონცეფციის მთავარი ძლიერი მხარეა იმის აღიარება, რომ უსაფრთხება არ არის მხოლდ სამხედრო და დიპლომატიური საქმე. არამედ მოიცავს ეკონომიკურ განვითარებასა და ურთიერთდამოკიდებულებას, ენერგოდამკიდებულებას და საშინაო მმართველობის ფორმებს.

ლელა ჯანაშვილის აზრით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი სისუსტე არის ის, რომ მასში სტრატეგიულ ანალიზზე მეტად ხაზგასმულია

„2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც კი ამგვარი აგრესია ზოგიერთი ქვეყნისათვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად რჩება“.

პოლიტიკური გზავნილები. მიუხედავად კონცეფციის ძლიერი მხარეებისა, მის სუსტ მხარედ შეიძლება განხილულ იყოს არარეალური მოლოდინების შექმნა.

პროფესორების ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩის, ტომას ხილ მარკესის, მანუელ ბალბე მალოლის, როსერ მარტინესის, მონსერატ ეგლესიასის მიერ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სუსტი მხარეები დაყოფილია საშინაო და საგარეო ხასიათის საფრთხეებად.

საშინაო ხასიათის საფრთხეებში მოიაზრება ეკონომიკური პრობლემებისა და პოლიტიკური საკითხების არასათანადოდ განხილვა, ეკონომიკური ზრდის გეგმის მდგრადობა, სიღარიბე, უმუშევრობა და ა.შ. რაც შეეხება საგარეო ხასიათის სუსტ მხარეებს, კვლევის ავტორის აზრით, ეს არის კავკასიის მერყევი მდგომარეობის არასათანადო განხილვა. ასევე, უარყოფითად არის შეფასებული ის, რომ კონცეფცია გაკვრით ახსენებს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გამოსწორების შესაძლებლობებს. კონცეფციაში საქართველოს სტრატეგიული გარემოს მთავარი მახასიათებლები დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ქვეყნის სისუსტე და სიმცირე, პოლიტიკური არასტაბილურობა, არამდგრადი რეგიონი, მისი დამოკიდებულება გლობალურ ეკონომიკაზე.

როგორც ლელა ჯანაშვილი ამბობს, ახალი რეალობა, რომელიც საქართველოში ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდგომ წარმოიშვა, მეტნაკლებად განსაზღვრავს ძირითად გზავნილებს კონცეფციის სრულყოფისაკენ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დემოკრატიული გარემოს გაუმჯობესებას, საგარეო პოლიტიკაზე კონცენტრირებას, უშუალო მეზობლებთან უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად, სახელმწიფოს ბრძოლას სიღარიბის შემცირებისა და დასაქმების გაზრდისაკენ და ა.შ.

ეს არის ის გზავნილები, რომელთა განხრციელება უფრო სიცოცხლისუნარიანს გახდის საქართველს უსაფრთხოების კონცეფციას და ხელს შეუწობს ერთიანი სტაბილური ქვეყნის ჩამოყალიბებას.

„სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციური სტრუქტურა მნიშვნელოვანი ღირებულებაა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყანაში დემოკრატიული სამართლებრივი რეჟიმის შენარჩუნება და კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ძირითადი უფლებების დაცვა. დღეს, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საქართველომ ევროპული არჩევანი გააკეთა, იმ ევროპულ ცივილიზაციაზე, რომელთანაც უძველესი დროიდან ვართ დაკავშირებულნი“, – აღნიშნავს „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაციის“ ავტორი.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია 2013 წლის 17 დეკემბერს გაიმართა კატალონიის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (http://www.icps.cat). ასევე გამოქვეყნდა ინსტიტუტის პერიოდულ ინტერნეტ გამოცემაში 2014 წელს ესპანურ ენაზე (http://www.icps.cat/archivos/Workingpapers/wp325.pdf).

„პრობაციის სამართლის სახელმძღვანელო“

მორის შალიკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი – სპეციალობა სამართალმცოდნეობა. 1997-2002 წლებში სწავლობდა ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე, მოგვიანებით ამავე უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის და შემდეგ სამართლის დოქტორის წოდება. იყო საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველი, მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ანალიტიკოსი, მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სამართლებრივ საკითხთა და ანალიტიკური სამმართველოს კონსულტანტის თანამდებობაზე. 2013 წლის იანვრიდან არის თსუ-ს და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის – „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის“ – გამგეობის წევრი და დამფუძნებელი. ამასთან 2014 წლის იანვრიდან დღემდე არის თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. არის ოცამდე სამეცნიერო პუბლიკაციის და საგრანტო პროექტის ავტორი.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სტუდენტთა დაინტერესება პენიტენციური და პრობაციის სამსახურების მიმართ, რაც გახდა „პრობაციის სამართლის სახელმძღვანელოს“ შექმნის მიზეზი. როგორც სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მორის შალიკაშვილი განმარტავს, წიგნის შექმნის იდეა, 2014 წელს გამოცემული „სასჯელაღსრულების სამართლის“ წიგნის პოპულარობამ გამოიწვია (ავტორები: მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, მაია ხასია), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც მეცნიერულ წრეებში, ასევე პრაქტიკოსებსა და სტუდენტებში. საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტში სასჯელაღსრულების სამართლის სწავლება სწორედ ამ წიგნით მიმდინარეობს.

„პრობაციის სამართლის სახელმძღვანელოს“ ავტორებმა – მორის შალიკაშვილმა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი არსოშვილმა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის თანამშრომლობის დეპარტამენტის პროექტის მენეჯერმა გივი მიქანაძემ, პრობაციის თემასთან დაკავშირებით სპეციალური კვლევა 2014-2015 წლებში ჩაატარეს და წიგნი 2015 წლის შემოდგომაზე გამოსცეს.

კვლევა განხორციელდა და წიგნი გამოიცა ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI), გაერთიანებული მთავრობის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (ახორციელებს ავსტრიული კომპანია „Hulla & Co. Human Dynamics KG“) დაფინანსებით.

როგორც მორის შალიკაშვილი აღნიშნავს, პრობაციის სამართლის სახელმძღვანელოსთვის კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა: არსებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და არასაპატიმრო სასჯე-

ლების აღსრულების კრიმინოლოგიური ანალიზი.

„ბოლო წლების განმავლობაში ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას დიდი ყურადღება არ ეთმობოდა. „ყველა ციხეში“ – ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალურმა პოლიტიკამ მძიმე დაღი დაასვა სასჯელის აღსრულების სფეროს და საზოგადოებას. ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისა და აღსრულების მნიშვნელობის წინ წამოწევისათვის კი აუცილებელი იყო მათი მეცნიერული კვლევა და ანალიზი“, – განმარტავს თსუ პროფესორი.

პრობაციის სამართლის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ალტერნატიული სასჯელების გამოყენება დამოკიდებულია აღსრულების შესაძლებლობაზე. ავტორებმა კვლევისას სხვა პრობლემებთან ერთად ამ საკითხსაც გაუსვეს ხაზი და მათი აღსრულების მექანიზმებზე რეკომენდაციებიც მოამზადეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაცია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განმტკიცებასთან და ფსიქო სარეაბილიტაციო პროგრამების სპექტრის გაფართოებასთან დაკავშირებით, რადგან როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დღესაც სისტემაში არ არის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საკმარისი ადამიანური რესურსი. მათი რეკომენდაციით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რაც რისკის შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაზრდის საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობას.

მნიშვნელოვანია რეკომენდაცია ასევე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლების გაუქმების თაობაზე, რაც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს პრობაციონერებს და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა რეაბლიტაციის პროცესის ეფექტურობის თვალსაზრისით, საინტერესო რეკომენდაციაა მათი გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, პრობაციის სისტემის სოციალურ მუშაკთა ინტენსიური ჩართულობის აუცილებლობა იმისათვის, რომ წინასწარ მოხდეს ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასება.

„ტოკიოს წესების“ მე-20 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასევე ავტორთა რეკომენდაცია პრობაციის სისტემის რეგულარული კომპლექსური კვლევის თაობაზე, რათა დროულად მოხდეს სისტემის საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი პრიორიტეტების დასახვა.

სახელმძღვანელოს ავტორთა განმარტებით, პრობაციის და არა მარტო პრობაციის სამართლისთვის, ნოვატორულია შინაპატიმრობისა და ელექტრონული მონიტორინგის საკითხი.

„გამომდინარე იქიდან, რომ ახალ ათასწლეულში საინფორმაციო ტექნოლოგიამ ადამიანების ცხოვრებაში ბევრი ასპექტი გარდაქმნა, მნიშვნელოვნია ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა მეტი პროდუქტიულობისათვის. ახალი კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკის სისხლის სამართლის სისტემაში თანდათან შემოსვლამ უზრუნველყო დაცვის, კონტროლისა და მონიტორინგის გაუმჯობესება. განსაკუთრებით სასჯელაღსრულების, უმეტესად კი სანქციების აღსრულების პროცესში. ელექტრონული მონიტორინგის სხვადასხვა ფორმის გამოყენება სამართალდამცავ ორგანოებს დაეხმარა გააუმჯობესოს ზედამხედველობა მსჯავრდებულებზე და ამგვარად შეეწყო ხელი სასჯელის ეფექტურობასა და სანდოობას. პირველ ეტაპზე შინაპატიმრობა სასჯელის სახით გამოიყენება მხოლოდ არასრულწლოვნების მიმართ, რომლის აღსრულებაც ევალება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს არასრულწლოვანს მიუსაჯოს შინაპატიმრობა 6 თვიდან ერთ წლამდე. შინაპატიმრობის მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით. ამგავარი ალტერნატიული სასჯელის სახეების დანერგვა შესაძლებელს გახდის სასჯელის აღსრულებას მოზარდის საზოგადოებისაგან, ოჯახისგან, სკოლისგან მოუწყვეტლად, რაც მისი აღზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა“, – ასეთია „პრობაციის სამართლის სახელმძღვანელოში“ გაწერილი რეკომენდაციები.

მორის შალიკაშვილის განმარტებით, პრობაციის სამართლის სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებისთვისა და ფართო მკითხველისათვის. წიგნის გამოიყენება სალექციო კურსის დროს, რაც სტუდენტს სიღრმისეული ცოდნის მიღების და ამ მიმართულებით სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას მისცემს. მომავალში კი დაგეგმილია კონკრეტული ინსტიტუტების კვლევა (მაგ. პრობაციის სამართლის), რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომების დაწერას და დარგის განვითარებას.

„სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“

ნონა თოდუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის უფროს-ლაბორანტის თანამდებობაზე, იყო დოცენტი და ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი. არის ოცზე მეტი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, პუბლიკაციის ავტორი.

2014 წლის ოქტომბერს ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“ დააფინანსა თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტი „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“.

როგორც, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ლექტორები განმარტავენ, პროექტზე მუშაობის საბაბი გახდა ის, რომ 2004 წლიდან საქართველოს კანონმდებლებს აშკარად დაეტყოთ ავტორიტარიზმის ზეგავლენა, რაც გამოიხატა ახალ ქმედებათა კრიმინალიზაციაში; გაფართოვდა უკვე მოქმედ დანაშაულთა შემადგენლობა; სასჯელები შეიცვალა იმგვარად, რომ მოსამართლეს შეეზღუდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელების შესაძლებლობა; უსაზღვროდ და ზოგჯერ უსამართლოდ გაფართოვდა ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის, გამოყენების შესაძლებლობა; ასევე, გაუქმდა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და დაკანონდა მისი შეკრების წესი.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის ნონა თოდუას თქმით, პროექტის მიზანი იყო, საინიციატივო ჯგუფის წევრებს კანონმდებლისთვის მიეწოდებათ რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესის სრულყოფას: „მართალია, 2013 წლიდან, საქართველოში დაიწყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესი, მაგრამ მისი სრულყოფისათვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კანონმდებლობის ლიბერალიზაცია რამდენიმე კუთხით უნდა წარიმართოს: 1) ცალკეულ ქმედებათა დეკრიმინალიზაცია, როგორც საკანონმდებლო კუთხით, ისე მართლმსაჯულების აღსრულებისას; 2) სასჯელთა ლიბერალიზაცია, ალტერნატიული სასჯელების გაფართოებისა და დახვეწის თვალსაზრისით; 3) სასჯელთა ლიბერალიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ ის იყოს პროპორციული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან; 4) სასჯელთა ლიბერალიზაცია იმ კუთხით, რომ სასამართლოს მიეცეს ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების მეტი შესაძლებლობა. ასევე გაფართოვდეს პირობითი მსჯავრის გამოყენების შეაძლებლობა, რაც ეგზომ შეიზღუდა 2004 წლიდან გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით“.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით, თსუ მეცნიერები პროექტზე „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, რომლის კოორდინატორიც იყო თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი გიორგი ამირანაშვილი, ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ და სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე ნაშრომი შექმნეს:

„ცალკეულ ქმედებათა დეკრიმინალიზაციის საკითხი“, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაციის კონკრეტული საკითხი“ და “ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი“ – ავტორი ნონა თოდუა.

პროფესორ ნონა თოდუას დასკვნით, 2007 წელს, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, სასამართლო ინსტიტუტი მიება საპროცესო შეთანხმებას, პირობითმა მსჯავრმა კი შეიძინა არასწორი ფისკალური დატვირთვა, რაც, თავის მხრივ, გახდა პირობითი მსჯავრის უსამართლოდ გამოყენების საფუძველი. ამავე დროს, პირობითი მსჯავრი გახდა არასაკმარისი მტკიცებულებებისა და ქმედების არასწორი კვალიფიკაციის დამალვის კარგი საშუალება.

ნაშრომში ნაჩვენებია ისიც, რომ პირობითი მსჯავრის მიბმამ საპროცესო შეთანხმებაზე შექმნა ვითარება, რითაც სასამართლოებს პრაქტიკულად შეეზღუდათ ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა.

როგორც პროექტის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, თსუ ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი ნაშრომში „ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების დროს“ აღნიშნავს, სასჯელის შეფარდებისას უპირატესობა უნდა

მიენიჭოს ნაკლებად მკაცრ სასჯელს. ამიტომ, მკაცრი სასჯელი, შესაძლებლობის ფარგლებში, უფრო იშვიათად უნდა იყოს შეფარდებული. სასჯელმა უნდა შეაკავოს ზიანის მომტანი პირის ქმედება იმაზე მეტი ზიანის გამოწვევის გარეშე, რის პრევენციასაც ის თავად ახდენს.

ექსპერტს ნაშრომში გაკრიტიკებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წელს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილება დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა სრული შეკრების შესახებ.

„ამ ნოვაციამ გამოიწვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად დარღვევა, ვინაიდან, რამდენიმე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას, სასჯელის ზომა შესაძლოა გათანაბრებოდა ან მეტი ყოფილიყო, ვიდრე ერთ, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დადგენილ სასჯელზე", – აღნიშნავს მზია ლეკვეიშვილი.

ნაშრომში – „ლიბერალიზმისა და სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა სისხლის სამართლის ფილოსოფიაში" – პროექტის ექსპერტს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თსუ ემერიტუსს გურამ ნაჭყებიას, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული აქვს ტერმინი „ლიბერალიზმის" სამი ძირითადი მნიშვნელობა: 1) ფილოსოფიური; 2)ეკონომიკური; 3) პოლიტიკური.

როგორც გურამ ნაჭყებია განმარტავს, ლიბერალიზმის პოლიტიკური ასპექტი იმაში მდგომარეობდა, რომ ინდივიდი, ე.ი ადამიანის პიროვნება, ცხადდებოდა თავისუფალ არსებად, ხოლო მისი თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრივ დაუშვებლად იყო მიჩნეული. ამავე დროს, ლიბერალიზმი იყო პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვან გარდატეხას გულისხმობდა.

იმის მიუხედავად, რომ ლიბერალიზმის სხვადასხვა სახე არსებობდა, ის მაინც ერთიანი იყო იმაში, რომ პიროვნების თავისუფლება იყო აბსოლუტური, ხოლო სახელმწიფოს მისი შეზღუდვა ეკრძალებოდა. აქედან გამომდინარე, ავტორი ფიქრობს, რომ ლიბერალიზმი თანამედროვე პირობებში გარკვეულ შესწორებას მოითხოვს, რადგან თავისუფლება, რომელიც არ არის ნაზიარები პიროვნების პოზიტიურ პასუხისმგებლობასთან, სხვა არაფერია, თუ არა თვითნებობა და არა ნამდვილი თავისუფლება. აქედან გამომდინარე, „ლიბერალიზმის" თანამედროვე ინტერპრეტაცია თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობის იდეას უნდა ემყარებოდეს.

ნაშრომში „სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში ალტერნატიული სასჯელების როლი და მნიშვნელობა" – პროექტის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი მაია ივანიძე ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ სასჯელის სახეზე (ჯარიმა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა) რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა, მაგრამ არ გამოიყენებოდა. მეცნიერი თვლის, რომ სასჯელის ეს სახეები, მომავალში აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, პროექტის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, ბერლინ-ბრანდენბურგის სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი პროექტის ფარგლებში მუშაობდა თემაზე – „უცხო ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ალტერნატიულ სასჯელებთან მიმართებით და შედარებითი სამართლებრივი ანალიზი ქართულ კანონმდებლობასთან".

როგორც ავტორი აღნიშნავს, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა, არასრულწლოვანთა სისხლის სამართალი აღმზრდელობითი და დისციპლინური ხასიათის სანქციებითაა აღჭურვილი, რათა არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, საპატიმრო სასჯელს ასცდეს, რაც გასათვალისწინებელია ქართულ კანონმდებლობაში.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი მიიჩნევს, რომ შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, სრულწლოვანთა სისხლის სამართალში შესაძლებელია ეფექტიანი იყოს „თეთრსაყელოიანთა" დანაშაულისას, ასევე სატრანსპორტო და სხვა გაუფრთხილებელ დანაშაულის ჩამდენთათვის. თუმცა, იგი არაეფექტიანია ძალადობრივ დანაშაულების (განსაკუთრებით ოჯახური ძალადობა) და სქესობრივი დანაშაულების პრევენციისათვის.

ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ კი შინაპატიმრობა, ელექტრონული ზედამხედველობით, არაპროპორციული სასჯელია და მას სხვადასხვა ნეგატიური შედეგები მოჰყვება.

„შესრულებული კვლევის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ხარვეზები ცალკეული სახის სასჯელთა გამოყენების წესთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის სასჯელის ისეთი მიზნის მიღწევას, როგორიცაა დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ მხრივ აღსანიშნავია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების საკითხი. აღნიშნული სასჯელი გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახესაც განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. ის, რომ მსჯავრდებულის შრომა არ ანაზღაურდება, თუნდაც სიმბოლურად და მსჯავრდებულს დღეში უწევს რვა საათამდე უსასყიდლოდ შრომა, ხელს უშლის მსჯავრდებულში შრომისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდას და თავისუფლების პირობებში სამუშაო ცხოვრებისთვის მის მომზადებას" – აღნიშნავს თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; პროექტის ექსპერტი, თემურ ცქიტიშვილი კვლევაში „პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის დაცვის მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნის დროს" და იქვე განმარტავს, რომ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, მსჯავრდებულის შრომა ანაზღაურების სახით ფასდებოდეს. უნდა იყოს ასევე გათვალისწინებული ღირსების მომენტი და მსჯავრდებულისთვის უნდა იყოს შეთავაზებული ისეთი სამუშაო, რაც მის ღირსებას არ დაამცირებს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა პროფესიული უნარების გათვალისწინება და მათთვის პროფესიული დასაქმების შეთავაზება.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი ნონა თოდუა აღნიშნავს, პროექტის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში" დროს შემუშავებული რეკომენდაციები შესაძლებლობას მისცემს კანონმდებლებს, რომ:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი გათავისუფლდეს ნორმებისგან, რომელთა გადატანა მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში;

ბ) კანონმდებლობა იმგვარად იყოს სრულყოფილი, რომ მოსამართლეს მიეცეს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის, ასევე, ალტერნატიულ სასჯელთა და პირობითი მსჯავრის გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობა;

გ) ცალკეულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დევნაზე უარი თქვას არა მარტო პროკურორმა, არამედ თავად დაზარალებულმა;

როგორც თსუ პროფესორები განმარტავენ, გარდა კანონმდებლობისა, პროექტი დახმარებას გაუწვს პრაქტიკოს იურისტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს.



ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგია და პრობლემები

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს, თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს, ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ადმინისტრაციულად ისტორიულ მესხეთის რეგიონის – ასპინძის მუნიციპალიტეტში შედის. ძეგლი დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით (1156-1203 წწ). 2007 წლიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარდგინებით იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაშია შეტანილი. დღეს ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ბეჟან თუთბერიძე

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გახლავთ გეოლოგიაში ხარისხების მიმნიჭებელი დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარე. 1971 წლიდან მუშაობს უნივერსიტეტში, მისი სამეცნიერო სფეროები და კვლევის მიმართულებებია: საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანური და ვულკანოგენ-დანალექი წარმონაქმნების პეტროლოგიურ-გეოქიმიური კვლევა და მათი დროსა და სივრცეში განაწილების კანონზომიერების დადგენა, ვულკანურ აპარატებზე მონიტორინგის წარმართვა; ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკანური ჰიდროთერმული პროცესებისა და მადნეული და არამადნეული მინერალიზაციის პროცესების შესწავლა. არის ათეული პუბლიკაციის ავტორი, მათგან იმპაქტ-ფაქტორიან და საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. არის სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიების ავტორი. არის საერთაშორისი კონფერენციის, ვორქშოპისა და კონგრესის მონაწილე და მომხსენებელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბეჟან თუთბერიძე ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგიის პრობლემების კვლევაზე უკვე წლების განმავლობაში მუშაობს.

„საუკუნეების განმავლობაში ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მონოლითურობას საფრთხეს უქმნიდა და უქმნის ენდოგენური (მიწისძვრები, ტექტონიკა) და ეკზოგენური (ეროზიული პროცესები) გეოლოგიური პროცესები. რეგიონის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა რამდენიმე მიწისძვრას, რომელთაგან 1283 წლის მიწისძვრა გამოირჩევა ყველაზე დიდი დამანგრეველი ძალით; მიწისძვრისას სამონასტრო კომპლექსის კედელს მოწყდა 15 მეტრიანი სისქის ფენა; დაზიანდა კომპლექსის მთლიანი ფართობის 2/3 ნაწილი. სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების დაშლის პროცესში აქტიურად არის ჩართული აგრესიული ეკზოგენური პროცესები: კლიმატის მკვეთრი ცვალებადობა და განსაკუთრებით, წყლები, რომელიც უხვად მოდის რეგიონში წვიმის, თოვლის ლღობისა და გრუნტის წყლების სახით. სამონასტრო კომპლექსის ნგრევის საქმეში გეოლოგიური პროცესების გარდა გარკვეული როლი კონფლიქტურმა სიტუაციებმაც ითამაშეს, რომელსაც ძეგლი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა სხვადასხვა ქვეყნის დამპყრობელთა შემოსევებისაგან. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი ვულკანური და კულტურული პეიზაჟის ერთობლიობის შესანიშნავი ნიმუშია და რთული გეოლოგიით ხასიათდება“, – აცხადებს კვლევის ავტორი ბეჟან თუთბერიძე.

მეცნიერის განმარტებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ძეგლის გადარჩენის მიზნით ყოველწლიურად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, თუმცა, ძეგლის მდგომარეობა სარეაბი-

ლიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დაჩქარებასა და გაფართოებას საჭიროებს. ამჟამად სამთავრობო დონეზე არსებობს ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც არსებულ პროგრამებთან შედარებით უფრო მრავალკომპონენტიანია. პროგრამა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით ხორციელდება და სამუშაოების ჩატარებას რამდენიმე მიმართულებით ითვალისწინებს. ერთ-ერთი მთავარი, ქვათა ცვენის პრევენციული სამუშაოების ჩატარებაა. სამუშაოებს იუნესკოს ექსპერტი, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საინჟინრო-გეოლოგიური მეცნიერებების დოქტორი, მეწყერების საერთაშორისო კონსორციუმის ვიცე-პრეზიდენტი კლაუდიო მარგოტინი ხელმძღვანელობს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, გეოლოგიის დეპარტამენტმა განახორციელა კვლევები ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ამგებ ქანთა მინერალოგიური შედგენილობისა და სტრუქტურულ-ტექსტურულ თავისებურებათა დადგენის მიმართულებით. მსგავსი კვლევები ძეგლის შემდგომი გადარჩენის, კონსერვაციისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებათა ჩამონათვალში ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია.

საერთაშორისო ექსპერტების მიერ შერჩეულ ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების ნიმუშებს ჩაუტარდათ კვლევა-დიაგნოსტირებითი სამუშაოები, რომელიც მოიცავდა: სამონასტრო კომპლექსის ზოგად გეოლოგიურ დახასიათებას, სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების დეტალურ პეტროლოგიურ კვლევას. ქანთა სახესხვაობების სრული სტანდარტული სილიკატური ქიმიური ანალიზების ჩატარებასა და მიღებული შედეგების პეტროქიმიურ ინტერპრეტაციას. ქანთა და შესაძლო მეორადი შეცვლის პროცესების იდენტიფიკაციას. სამონასტრო კომპლექსი აგებულია ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით, რომელიც წარმოადგენს შუა-ზედა მიოცენის განმავლობაში (11-13 მლ.წ) სამხრეთ საქართველოს მთიანეთში გამოვლენილ ე.წ. „გოდერძის წყების“ სახელით ცნობილ მძლავრ ვულკანური ამოფრქვევის პროდუქტებს.

„ლითოლოგიური ნიშნით „გოდერძის წყება“ პიროკლასტურ და ლავურ ქვეწყებებად იყოფა. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია წყების პიროკლასტური ქვეწყების 40-60 მეტრი სიმძლავრის ირიბშრეებრივი ტუფების ფენაში. მაკროსკოპიული შესწავლისას ჩანს, რომ ტუფები ღია რუხი, თეთრი ან მოთეთრო მოყვითალო იერის, მსუბუქი, ფოროვანი, დეკორატიული თვისების მატარებელი ქანია. იგი ადვილად ექვემდებარება დამუშავებას და ხასიათდება შეცემენტების მაღალი ხარისხითა და გამოფიტვითი აგენტების მიმართ მდგრადობით. გარეგნული დათვალიერებით ტუფებში კარგად ჩანს ქანმაშენი მინერალების, ქანისა და თეთრი პემზის სხვადასხვა ზომის ნატეხები. მიკროსკოპული კვლევებით ვარძიის ტიპის ტუფებში ნატეხების ხასიათის მიხედვით გამოიყო: ლითოკლასტური (ქანის ნატეხებით), კრისტალოკლასტური (კრისტალებისა და მინერალების ნატეხებით), ვიტროკლასტური (ვულკანური მინის ნატეხებით) და შერეული სახესხვაობები. ტუფები ხასიათდება რთული გრანულომეტრული (ნატეხების ზომების მიხედვით) შედგენილობით. ფართო გავრცელება აქვს ფსამიტ-ფსეფიტური (საშუალო და მსხვილნატეხოვანი) ტიპის ლითოკლასტურ და ლითოკრისტალოკასტური ტიპის ტუფებს. შედარებით ნაკლები – პელიტ-ალევრიტულ (წვრილნატეხოვანი) ვიტროკრისტალურ სახესხვაობებს. სრული სილიკატური ქიმიური ანალიზის მონაცემებით ტუფების შედგენილობა ანდეზიტებს (ძირითადად) და დაციტებს პასუხობს. შეცვლის პროდუქტებიდან ფიქსირდება თიხების არსებობა. ტუფები წარმოშობით იგნიბრიტული (ignis-ცეცხლი imber-თავსხმა, მაღალ ტემპერატურაზე გავარვარებულ მდგომარეობაში შემცხვარ-შედუღებული პიროკლასტური ქანი) ბუნებისაა; დალექილია სუბკონტინენტურ, მცირე სიღრმის ტბიურ აუზის პირობებში და ცნობილია „ვარძიის ტიპის ტუფების“ სახელით.

ვარძიის ტუფებს თავზე ედება 18-25 მეტრი სიმძლავრის ტუფობრექჩიების (ვულკანური ფერფლით შეცემენტებული დაუხარისხებელი მსხვილნატეხოვანი პიროკლასტური მასალა) დასტა, რომელიც აგებულია სხვადასხვა ზომის (მაქსიმალური 50 სმ დიამეტრი), ფორმის (მომრგვალებული, დაკუთხული, უსწორმასრორო და სხვ) და ფერის (ძირითადად შავი) ნატეხებით. მიკროსკოპული კვლევით და ქიმიური ანალიზის მონაცემებით ბრექჩიების შედგენილობა ანდეზიტებს (ძირითადად) და დაციტებს შეესატყვისება“, – ასე აღწერს ბეჟან თუთბერიძე ვარძიის გეოლოგიურ სურათს.

მეცნიერის შეფასებით, ვულკანური ბრექჩიები ქმნის ციცაბო კლდოვან ფერდობს, დანაწევრებულს ნაპრალთა სისტემით და ეროზიული ხეობებით. ტუფობრექჩიების ნაპრალოვან-კლდოვან ქანებში მოძრავი სეზონური ხასიათის წყლის ნაკადებისა და ტემპერატურული ცვალებადობით გამოწვეული ეროზიული პროცესები მნიშვნელოვნად ამცირებს ქანების შეცემენტების ხარისხს, ხელს უწყობს არსებული ნაპრალების გაფართოებას, ახალი ნაპრალების გაჩენას და აჩქარებს წყების ამგები არაერთგვაროვანი ქანების შერჩევითი გამოფიტვის პროცესს, რითაც ირღვევა ფერდობის მდგრადობა-წონასწორობა და იქმნება ფერდობის ჩამოშლის, მეწყერებისა და ზვავების წარმოქმნის რეალური პირობები. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით ტუფობრექჩიების წყებიდან ადგილი აქვს სამონასტრო კომპლექსის კედლებზე მცირე ზომის ნატეხების ცვენას. დღითი–დღე იზრდება ვულკანური ბრექჩიების დიდი ზომის ბლოკების ან ლოდების მოწყვეტის (ან დაცურების) რეალური საშიშროება, რაც არსებითად შეცვლის ძეგლის სტრუქტურას, მონოლითურობას და პრობლემას შეუქმნის კომპლექსის დამთვალიერებლთა უსაფრთხოებას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, როგორც კვლევის ავტორი მიიჩნევს, „გეოლოგიური ხასიათის ბუნებრივი საფრთხეების განვითარებისა და მოქმედების შეჩერების მიზნით საჭიროა ჩატარდეს ბრექჩიული წყების ქანების ფიზიკურ-მექანიკური და კოლექტორული თვისებების, შეცვლის ხარისხისა და სიჩქარის შეფასებითი სამუშაოები. სამონასტრო კომპლექსის ციცაბო ფერდობის წონასწორობის შენარჩუნების მიზნით ტუფობრექჩიების წყებაში განვითარებულ რღვევებსა და ნაპრალებში მოძრავი წყლების გვერდითი და სირღმითი ეროზიისაგან თავის არიდების მიზნით საჭიროა გაფართოვდეს ნაკადების დინების მიმართულების მარეგულირებელი და კალაპოტის გამაგრებითი სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამონასტრო კომპლექსის ტუფებში ქიმიური გამოფიტვის პროცესების მსვლელობის დინამიკას, რადგან პროცესის პროდუქტი-თიხები მნიშვნელოვნად ასუსტებს ქანის სტრუქტურას და ქმნის ტუფების დაშლის რეალურ წინაპირობას“.

კვლევების შედეგების პრეზენტაცია მოხდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში 2014 წლის დეკემბერში. 2014 წელს ბეჟან თუთბერიძე მონაწილეობდა XII IAEG (International Association for Engineering Geology..) საერთაშორისო კონგრესის (Engineering Geology for Society and Territory) მუშაობაში ტურინში (იტალია). სტატია, რომელიც ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გეოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნა დაიბეჭდა კონგრესის შრომებში. ინდექსირებულია და შეტანილია ტომსონ რეუტერის მონაცემთა ბაზაში: Engineering Geology for Society and Territory-volume -8 Preservation of Cultural Heritage, 2015). ბეჟან თუთბერიძე 2012 და 2014 წლებში თავისი კვლევის შედეგების პრეზენტაციით გამოვიდა ვარძიის გადარჩენისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ვორქშოპსა და კონფერენციაზე. 16-19 ოქტომბერი, 2012, ვარძია; 7-9 ივლისი, 2014, ვარძია).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გოტინგენის უნივერსიტეტის მრავალწლიანი ურთიერთობები გრძელდება

ცოტამ თუ იცის, რომ პირველ ქართულ უნივერსიტეტს დაარსებიდან, 1918 წლიდან, კავშირები ჰქონდა იმდროისათვის ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან. უკვე ერთი წლის შემდეგ, სახელმწიფოს დაფინანსებით ძმები, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, სასწავლებლად გოტინგენის უნივერსიტეტში (გერმანია) გაემგზავრნენ, სადაც უკვე მსოფლიოში გამორჩეული მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტები ფუნქციონირებდა. ივანე ნიკურაძე მალევე გახდა თანამედროვე ჰიდროდინამიკისა და აეროდინამიკის ფუძემდებლის, პროფესორ ლუდვიგ პრანდტლის გამორჩეული სტუდენტი და წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "დაკვირვებები ტურბულენტურ დინებაში სიჩქარის განაწილებაზე". მან ხელძღვანელთან ერთად მონაწილეობა მიიღო კაიზერ ვილჰელმის, დღევანდელი მაქს პლანკის ინსტიტუტის დაარსებაში, მოგვიანებით კი ამ ინსტიტუტის განყოფილების უფროსი გახდა. ქართველი მეცნიერი ივანე ნიკურაძე ამ ქალაქში პირველი სტუდენტი იყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ჩამოსული, რომელმაც საკუთარი შრომისმოყვარეობით საფუძველი ჩაუყარა ამ ორი უნივერსიტეტის ურთიერთობების წარმატებულ დასაწყისს. უმცროსი ძმა, ალექსანდრე მყარი სხეულების ფიზიკის ერთ-ერთი სახელგანთქმული პროფესორი გახლდათ ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში.

2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გოტინგენის უნივერსიტეტის საუკუნოვანმა ურთიერთობამ აქტიური ფორმა მიიღო. ამ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ორივე უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კრედიტები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის შემდეგ, თსუ დოქტორის ხარისხთან ერთად მიენიჭოს გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხიც.

ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 7 კურსდამ-

უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ორივე უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კრედიტები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის შემდეგ, თსუ დოქტორის ხარისხთან ერთად მიენიჭოს გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხიც.

მაია სვანაძე

მეცნიერებათა დოქტორი მათემატიკაში, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პოსტდოქტორანტი; მისი კვლევის სფეროებია: ბლანტი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის მათემატიკური თეორიები; არის 16 სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. მისი შრომები ციტირებულია 47-ჯერ.

თავრებული გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლობს. მათ შორის იყო მაია სვანაძე, რომელმაც გოტინგენის უნივერსიტეტში 2010 წელს დაიწყო სწავლა, როგორც დოქტორანტმა. იგი მონაწილეობდა გოტინგენის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტში „მათემატიკური სტრუქტურები თანამედროვე კვანტურ ფიზიკაში“ და პარალელურად, მუშაობდა სადისერტაციო თემაზე „ბლანტი დრეკადობის თეორიის არაკლასიკური ამოცანები“.

დრეკადობის თეორიის განვითარების სამ საუკუნოვან პერიოდში უდიდესია ქართველი მეცნიერების წვლილი. საერთაშორისო დონეზე კარგადაა ცნობილი ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა და ვიქტორ კუპრაძის მიერ დრეკადობის თეორიაში შექმნილი ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევები და კვლევის მეთოდები. ამ სკოლის სამეცნიერო შედეგებმა უდიდესი წვლილი შეიტანა კლასიკური დრეკადობის თეორიის განვითარებაში და განაზოგადა სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი (პოტენციალთა მეთოდი). ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა როგორც დრეკადობის კლასიკური თეორიის, ასევე თანამედროვე მათემატიკური თეორიების კვლევა მიკროსტრუქტურის მქონე დრეკადი მასალებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად 100 წლის წინ, 1915 წელს, გამოქვეყნდა ქართველი მათემატიკოსის მიერ პირველი სტატია დრეკადობის თეორიაში ნიკო მუსხელიშვილის ავტორობით.

საინჟინრო საქმეში, ტექნოლოგიაში, გეოფიზიკაში, მედიცინასა და ბიოლოგიაში ბლანტი დრეკადი მასალების ფართო გამოყენებამ აუცილებელი გახადა ასეთი მასალების მათემატიკური მოდელების აგება და მათი ინტენსიური კვლევა. ბოლო ათწლეულში ამ მიმართულებით აიგო რამდენიმე საინტერესო მოდელი სხვადასხვა ველების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, ქართველმა დოქტორანტმა მიზნად დაისახა ამ მოდელების ამოცანების გამოკვლევა ქართული მათემატიკური სკოლის მიერ განვითარებული კვლევის მეთოდით. გამოიკვლია ბლანტი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის წრფივი თეორიების სივრცითი სასაზღვრო ამოცანები კელვინ-ფოიგტის მასალებისათვის სიცარიელით. კერძოდ, ამ თეორიებში დაადგინა ზომერფელდ-კუპრაძის ტიპის გამოსხივების პირობები, მიიღო გრინის ფორმულების ანალოგები და რეგულარული (კლასიკური) ამონახსნების სომილიანას ტიპის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულები. დაამტკიცა აღნიშნული სასაზღვრო ამოცანების

დრეკადობის თეორიის განვითარების სამსაუკუნოვან პერიოდში უდიდესია ქართველი მეცნიერების წვლილი. საერთაშორისო დონეზე კარგადაა ცნობილი ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა და ვიქტორ კუპრაძის მიერ დრეკადობის თეორიაში შექმნილი ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევები და კვლევის მეთოდები. ამ სკოლის სამეცნიერო შედეგებმა უდიდესი წვლილი შეიტანა კლასიკური დრეკადობის თეორიის განვითარებაში და განაზოგადა სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი (პოტენციალთა მეთოდი). ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა როგორც დრეკადობის კლასიკური თეორიის, ასევე თანამედროვე მათემატიკური თეორიების კვლევა მიკროსტრუქტურის მქონე დრეკადი მასალებისათვის.

კლასიკური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. დაადგინა კელვინ-ფოიგტის ბლანტ მასალებში გავრცელებული ბრტყელი ჰარმონიული ტალღების ძირითადი თვისებები.

მიღებული შედეგები გამოქვეყნდა მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე უცხოურ ჟურნალებში. კერძოდ, Journal of Elasticity, Mechanics Research Communications, Journal of Thermal Stresses და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გოტინგენის უნივერსიტეტს შორის არსებული ამ თანამშრომლობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თსუ-ს კიდევ 6 მკვლევარი სარგებლობს. გოტინგენის უნივერსიტეტის მეცნიერებსაც კავშირი აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ისინი ხვდებიან ქართველ სტუდენტებს, კითხულობენ მათთვის საინტერესო საჯარო ლექციებს და დაინტერესების შემთხვევაში, საერთაშორისო პროგრამების ხელშეწყობით, ნიჭიერ სტუდენტს სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევენ.

ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც შეიძლება ენერგიის ალტერნატიულ წყაროდ იქცეს

თამაზ მარსაგიშვილი

„ტრადიციულ ენერგეტიკაზე დაყრდნობილი ტექნიკური პროგრესი აძლევს რა ადამიანს მრავალ სიკეთეს, პარალელურად უარყოფითად მოქმედებს გარემოზე. რის შედეგადაც მიმდინარეობს გლობალურ-კლიმატური ცვლილება. ტემპერატურა დედამიწაზე უახლოესი ათწლეულების განმავლობაში გაიზრდება. შეიძლება, ეს მხოლოდ ორი გრადუსი ან ცოტა მეტი იყოს, მაგრამ რეალურად ძალიან დიდ ცვლილებებს გამოიწვევს ბუნებაში მიმდინარე პროცესებში. ამიტომ საკითხი ახალი არატრადიციული ენერგიის წყაროს ძიებისა წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას, როგორც ენერგეტიკული მრეწველობის, ისე საყოფაცხოვრებო სექტორისთვის.

დღეისათვის „განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიები“, როგორიცაა – მზის, ქარის, წყალბადის, ჰიდროელექტრო ენერგია, ბიომასა და ბიოლოგიური საწვავი ტრანსპორტისთვის, ფართოდ ინერგება ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში.

ალტერნატიული ენერგიის წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყლბადის ენერგეტიკას, რომელმაც ახლო მომავალში შესაძლოა გადაჭრას მსოფლიოში დიდი ქალაქების უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემა – გარემოს, პირველ რიგში კი, საჰაერო აუზის დაბინძურების კუთხით.

ამრიგად, წყალბადის მისაღებად ნედლეულის წყაროების ძიება და სათანადო ნედლეულიდან წყალბადის ან ელექტროენერგიის მიღება წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას“. – აცხადებს თსუ მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ.დოღონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის გამგე, თამაზ მარსაგიშვილი. სწორედ ამიტომ, განახლებად ენერგიაზე მუშაობა ლაბორატორიის კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მეცნიერის განმარტავს, რომ, წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლის არსებით პირობას წარმოადგენს საიმედო, ეკონომიური და ეკოლოგიური საწვავი ელემენტების შექმნა, რომლებიც მუშაობენ წყალბადზე ან წყალბადის შემცველ ნედლეულზე. წყალბადშემცველ ნედლეულებს შორის, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ საწვავ ელემენტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გოგირდწყალბადი. ამ მხრივ, შავი ზღვა წარმოადგენს მეცნიერების ყურადღების ობიექტს, რადგან მისი სიღრმისეული წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს გოგირდწყალბადს, ჰიდროსულფიდისა და სულფიდის იონებს (სხვადასხვა შეფასებით 4.6-80 მილიარდი ტონა). მათი წარმოშობის წყაროებია ზღვის ფსკერზე არსებული ვულკანებიდან და გეოლოგიური ბზარებიდან ამოფრქვეული გაზები, მდინარეების მიერ ჩამოტანილი ორგანული ნივთიერებები და მიკროორგანიზმების ხრწნის პროდუქტები.

მისი თქმით, ზღვის წყლიდან და ფსკერიდან სასარგებლო კომპონენტების (მაგალითად: H_2S, K+, Mn, NH_4+, CH_4 და სხვა) ამოღება-გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ზღვის წყლის ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად (ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად), ასევე არატრადიციული ენერგიის წყაროს მისაღებად. ამიტომ შავ ზღვაში არსებული მძიმე ეკოლოგიური პრობლემის გამოსწორება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ შავი ზღვა წარმოადგენს არა მხოლოდ სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას, არამედ ის შეიძლება წყალბადის ენერგიის პოტენციურ წყაროდაც იქცეს (გათვლებისა და კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ გოგირდწყალბადის გადამუშავებით ყოველწლიურად მივიღებთ 100 მილიარდამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გოგირდწყალბადი შეიძლება გამოყენებულ იქნას სათბობ-ენერგეტიკული მიზნებით, ნავთობქიმიურ სინთეზში და მინერალური სასუქების წარმოებაში, რაც განაპირობებს შავი ზღვის სიღრმისეულ წყლებსა და მსოფლიო ოკეანეში გოგირდწყალბადის რაოდენობისა და შესაბამისად ეკოლოგიური კატასტროფის რისკის შემცირებას.

„განახლებადი ენერგორესურსები უსაფრთხო ენერგომომარაგების გაუმჯობესების მნიშვნელოვან გარანტიებს იძლევა და ამცირებს ფასების ცვლილებას. ენერ-

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ.დოღონაძის სახ. თეორიულკვლევათა ლაბორატორიის გამგე, ევროსაიენსის (Euroscience) წევრი (1998 წლიდან), შავი ზღვის ქვეყნების წყლის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი, ამერიკული ქიმიური საზოგადოების (ACS) წევრი.
2002-2003 (შეთავსებით) – სსიპ „შავიზღვისდაცვის, რესურსებისკვლევისა და ათვისების სახელმწიფო სააგენტოს“ ხელმძღვანელის მოადგილე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
სამეცნიერო ინტერესების სფერო: ქიმიური, ელექტროქიმიური, ფოტოქიმიური და ფოტოელექტროქიმიური რეაქციების კინეტიკა; კონდენსირებულ გარემოში მოთავსებული მრავალატომიანი ნაწილაკების თერმოდინამიკა, ელექტრონულ-რხევითი და რამანის სპექტროსკოპია; არარეგულარულ კონდენსირებულ გარემოში ელექტრომაგნუტური ტალღების გავრცელება; რადიტალღური სპექტროსკოპია; ნანოსისტემები და ნანოპროცესები; კვანტურ-ქიმიური გამოთვლები; კატალიზი და ფოტოკატალიზი; ნანო- და მეზო-სტრუქტურეში მიმდინარე ქიმიური პროცესები; წყალბადის ენერგეტიკა; ინფორმაციული ტექნოლოგიები;
სამეცნიერო სტატიების რაოდენობა – 135 პატენტები საერთაშორისო სამეცნიერო გრანტები – 13.

გიის ეს წყარო ასევე ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და გამოყენებული ბუნებრივი აირის რაოდენობას. გარდა ამისა, ხელს უწყობს განვითარებულ ქვეყნებში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისევე როგორც უზრუნველყოფს განვითარებად ქვეყნებში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ყველა ზემოხსენებულ ფაქტორთა მთლიანი ეფექტი განაპირობებს განახლებადი ენერგორესურსების ათვისება-გამოყენებასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერის საფუძველს, რაც გამოხატულია კიდეც ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებულ პოლიტიკაში“, – ამბობს თამაზ მარსაგიშვილი. სწორედ ამიტომ, ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, საერთაშორისო საგრანტო პროექტის BS-ERA.NET („შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება“) 09/17 – „შავი ზღვის წყლიდან წყალბადის მიღება სულფიდური საწვავი ელემენტის გამოყენებით“ ფარგლებში რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რ. დოღონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბორატორიაში (მეცნიერთა ჯგუფის- თ.მარსაგიშვილი, გ.ტატიშვილი, ნ.ანანიაშვილი, მ.მაჭავარიანი, მ.კიკაბიძე, ჯ.მეტრეველი, ე.ცხაკაია, რ.ხოსიტაშვილი მონაწილეობით), უცხოელ პარტნიორებთან (ბულგარეთი, რუმინეთი) ერთად საინტერესო კვლევები ჩატარდა.

ზოგადად, გოგირდწყალბადის მოსაცილებლად, ძალიან ბევრი პროცესი (ადსორბციის, შთანთქმის, კლაუსის პროცესი) იქნა შემუშავებული მაგრამ მისი ერთჯერადი დამუშავებები საჭიროებს დიდ ხარჯებს, ამასთან, რადგან საბოლოო პროდუქტებს აქვთ დაბალი კომერციული ღირებულება, დიდია მოთხოვნა უფრო ეკონომიური და ეკოლოგიური მეთოდების შემუშავებაზე. ეს პირობა მნიშვნელოვანია გოგირდწყალბადიდან წყალბადის მისაღებად საწვავ ელემენტებში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემოთავაზებულმა სუფთა გოგირდწყალბადზე მომუშავე საწვავმა ელემენტებმა მზარდი ინტერესი ჰპოვეს გოგირდწყალბადის ეფექტიანი მოცილებისა და განახლებადი ენერგიის წყაროს მიღების თვალსაზრისით, მაგრამ გოგირდწყალბადის მიღების სტადია არსებითად ართულებს და აძვირებს მთლიან პროცესს.

გოგირდწყალბადის საწვავ ნედლეულად გამოყენების მიმართულებით მრავალი კვლევაა ჩატარებული, მაგრამ ყველა განხილულ სამუშაოში აირადი გოგირდწყალბადის დაჟანგვას ახდენენ ძვირადღირებული კატალიზატორებისა და კომპოზიციური მასალების გამოყენებით, მაღალ ტემპერატურაზე (800-1000C°), რაც წარმოებისათვის კომერციული თვალსაზრისით არ არის მომგებიანი. შავ ზღვაში H_2S გვაქვს წყალში გახსნილი სახით, ხოლო ლიტერატურაში არ არსებობს პუბლიკაციები საწვავი ელემენტის შესახებ, რომელიც მუშაობს წყალში გახსნილ გოგირდწყალბადზე. ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა შეგვექმნა ისეთი საწვავი ელემენტი, რომელიც იმუშავებდა ზემოაღნიშნულ ნედლეულზე.

ამ ტექნოლოგიის კიდევ ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის უარყოფით გავლენას არ ახდენს გარემოზე. ამ დროს არ ხდება არანაირი ზემოქმედება ზღვის წყალზე, არ იცვლება მისი მარილიანობა, მჟავიანობა, არ ხდება ბალანსის დარღვევა და არ წარმოიქმნება ნარჩენები. ამიტომ შემოთავაზებული კვლევები მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ინოვაციური, ასევე ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით.

პროექტის ფარგლებში, გოგირდწყალბადით წყლის გასამდიდრებლად შესწავლილ იქნა ადგილობრივი წარმოშობის ბუნებრივ და მოდიფიცირებულ ცეოლითებზე და სინთეზურ კათიონიტზე სულფიდ-იონის ჩაჭერის შესაძლებლობა. დადგენილია, რომ ზემოთ აღნიშნული მასალები მაღალი ადსორბციული ტევადობით ხასიათდებიან. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან, როგორც გოგირდწყალბადის ადსორბენტები ბუნებრივი გოგირდშემცველი წყლებიდან. განხილულია არაადიაბატური იონ-გაცვლითი პროცესები ცეოლიტების არხებში. ჩატარებულია სიჩქარის კონსტანტის გათვლები იონ-გაცვლითი პროცესისთვის ფოროვანი მასალების არხებში, რომლის დროსაც ერთი ადსორბირებული ნაწილაკი იცვლება მეორით. მიღებულია ანალიზური გამოსახულებები პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის, როგორიცაა გარემოს რეორგანიზაციის ენერგია, გადასვლის ალბათობა, პროცესის სიჩქარის კონსტანტა. შეიქმნა საწვავი ელემენტის ლაბორატორული და მსხვილი ლაბორატორული მოდელები. ექსპერიმენტული კვლევების შედეგად შერჩეულ იქნა იაფი, გოგირდწყალბადისა და მისი დაჟანგვის პროდუქტების მიმართ მედეგი საელექტროდე მასალა (რომელიც ელექტროდის ფუნქციის გარდა ასრულებს კატალიზატორის როლსაც) და ანიონური მემბრანა, რომელთა გამოყენებით დადგენილ იქნა, გოგირდწყალბადიდან ელექტრომამოძრავებელი ძალის წარმოქმნა საწვავ ელემენტში სულფიდის ჟანგბადით კატალიზური დაჟანგვისას. რომელიც შემდგომში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უნახშირბადო ენერგიის საწარმოებლად წყალბადის სახით.

როგორც კვლევის ხელმძღვანელი აცხადებს, მიღებული შედეგები აპრობირებულია შავი ზღვის აკვატორიის სიღრმისეულ წყალზე ბულგარელ და რუმინელ კოლეგებთან ერთად, უშუალოდ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ხომალდზე " АКАДЕМИК", რასაც

მიეძღვნა რამდენიმე სტატია ბულგარულ პრესაში. ექსპედიციის მიზანი იყო, რეალურ პირობებში გამსხვილებული ლაბორატორიული კვლევების ჩატარება და დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობის განსაზღვრა. მიღებული იყო ემძ სხვადასხვა სიღრმიდან ამოღებული გოგირდწყალბადის შემცველი შავი ზღვის წყლებიდან თბურ ელემენტში.

ამდენად, დღეს ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების ძიება წარმოადგენს XXI საუკუნის ენერგეტიკის უმნიშვნელოვანეს, აქტუალურ და პერსპექტიულ პრობლემას, რაც გააუმჯობესებს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკას, არამედ მოგვცემს ენერგიის ახალ, უსაფრთხო წყაროს.

აღნიშნულ კვლევებზე გამოქვეყნებულია სტატიები საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემებში და წარდგენილია პატენტი.

აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად დაძირული ნალექების ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების შესახებ

ასლან სულაძე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ინფორმატიკისა და ტექნოლოგიების განყოფილების გამგე. 1967 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით „სასარგებლო ნამარხების ძებნა-ძიება“ 1986 წლიდან მუშაობს კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში. 1983 წელს მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. არის საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.
არის 160-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

საქართველოში ნავთობის მოპოვების ხანგრძლივი ისტორიისა და ამ თემაზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, დღეისათვის არსებული ეკონომიკური შედეგები შთამბეჭდავი ნამდვილად ვერ არის. თუმცა, სპეციალისტების თქმით, ამ წიაღისეულის სამრეწველო მოპოვების საქმეში იყო აღმავლობის ეპიზოდებიც. მაგალითად, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში ნავთობის წლიურმა მოპოვებამ სამ მილიონ ტონას გადააჭარბა. (იხ.: გ.ხმალაძე, ნ.ხმალაძე. საქართველოს ნავთობის მრეწველობა გარდამავალ პერიოდში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002. გვ.14).

სპეციალიზირებული კვლევების საფუძველზე საქართველოში მეცნიერები გამოყოფენ ნავთობგაზიან ხუთ და შესაძლო ნავთობგაზიან ორ რაიონს. ოფიციალურად აღრიცხულია ნავთობის თხუთმეტი (უმეტესად მცირედებიტიანი), გაზნავთობის ერთი და გაზის ერთი საბადო. დღეისათვის, თსუ მეცნიერები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ყურადღების გამახვილებას საქართველოში ნავთობის მოპოვების ზრდის ერთ-ერთ შესაძლო რეზერვზე, კერძოდ, ღრმად დაძირულ მეზო-კაინოზოურ ნალექებზე. (ცნობისათვის, კაინოზოური ერა 65 მილიონზე მეტი ხნის წინ დაიწყო).

2013 წლიდან 2016 წლის აპრილამდე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში ხორციელდება პროექტი „აღმოსავლეთ საქართველოს ღრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტივების შეფასება“.

პროექტის ინიციატორი და ავტორი თსუ მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ამავე ინსტიტუტის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანი ასლანიკაშვილი გახლდათ, რომელიც პროექტის დასრულებამდე გარდაიცვალა.

პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მირიან თოფჩიშვილი, მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი ვახტანგ იორაშვილი, ამავე ინსტიტუტის ინფორმატიკისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილების გამგე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ასლან სულაძე, მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლი ზურაბ კილასონია, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი – მაია ჭიჭინაძე.

ასლან სულაძის განმარტებით, „ქანებში გაბნეული ბიოორგანული ნივთიერების ნავთობად გადასაქცევად საჭიროა მისმა შემცველმა ნალექებმა თანამიმდევრულად გაიარონ სედიმენტოგენეზის (დალექვის) შემდეგ – დიაგენეზის (ნალექის დანალექ ქანად გარდაქმნის) და ბოლოს კატაგენეზის (უკვე ჩამოყალიბებული ქანში არსებული ბიოორგანული ნივთიერების მეორადი გარდაქმნები) ხანგრძლივი სტადია.

პროექტის ფარგლებში, გავლილ პერიოდში მოხდა დანალექი და ვულკანურ-დანალექი ქანების თავისებურებების აღწერა, გენური ტიპიზაცია, ქანების ლითოლოგიურ-გეოქიმიური კრიტერიუმების შესწავლა, განხორციელდა პალეოგეოგრაფიული, პალეოვულკანოლო-გიური რეკონსტრუქციები, გამახვილდა ყურადღება სიღრმული პროცესების როლის დადგენაზე ნავთობგაზიანი აუზების ფორმირებისა და ნახშირწყალბადების მობილიზაციის პროცესებში. შესრულდა აუზის თანამედროვე და პალეოგეოთერმული პირობების რეკონსტრუქცია, ჩატარდა ქანებში გაბნეული ჰუმუსური ორგანული ნივთიერების – ვიტრინიტის არეკვლის სიდიდეების გაზომვები და ძირითადად ამის საფუძველზე განხორციელდა

ორგანული ნივთიერებებისა და ქანების კატაგენიზის ხარისხის დადგენა. (ჰუმუსი – ნიადაგის მცენარეული და ცხოველური ნარჩენების ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგად წარმოქმნილი ორგანული ნაწილი), გარდა ამისა, კომპლექსური სტადიალური ანალიზით (ქანების მეორადი თვისებების დადგენა) შეფასდა დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი ქანების გარდაქმნის ხარისხი და ა.შ.".

მეცნიერთა განმარტებით, ნავთობისა და გაზის ბუდობების განაწილების სტატისტიკის მიხედვით, დიდ სიღრმეებზე (>4,5 კმ) უმეტესწილად გაზის ბუდობებია განთავსებული და მათი რეზერვუარები – შემცველი ქანები (ე.წ. კოლექტორები) მეორადი განმკვრივების ზონებს უკავშირდებიან. ამასთანავე, მათი განაწილება ჭრილში სიღრმეების მიხედვით არათანაბარია. როგორც პროექტის მონაწილე მაია ჭიჭინაძე განმარტავს, „მსგავსი რამ განპირობებულია დიდ სიღრმეებზე არსებული სპეციფიური რეჟიმებით, რომელთა გამოვლენასაც, არსებითი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. აქ, უპირველესად, ყურადღება გასამახვილებელია გაბნეული ორგანული ნივთიერებების ორგანომასალების შემადგენლობისა და ფერის მიხედვით თვით ამ ორგანული ნივთიერებების საწყისი ტიპისა და კატაგენეზის ხარისხის დადგენაზე. აღსანიშნავია, რომ გაბნეულ ორგანულ ნივთიერებებს იქ ნანახი ორგანომასალების შემადგენლობისა და მიკროფოსილიების (სპორების, მტვრიანას, მიკროპლანქტონს) მიხედვით ეცვლება ფერი. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით ჩასატარებელი პალინოლოგიური კვლევები კიდევ უფრო გაამდიდრდება ინსტიტუტის მიერ მოპოვებული შედეგები. ამასთანავე, ეს იქნება საქართველოში ნოვატორული მიდგომა და საყურადღებო შედეგები ნავთობგაზიანობის კვლევების სფეროში".

„აღმოსავლეთ საქართველოს ნავთობგაზიანი რაიონი წარმოადგენს კასპიის ზღვის სამხრეთი ნაწილის (აზერბაიჯანში მდ. მტკვრის ქვედა დინების) მეგადეპრესიის (დიდ სიღრმეზე მდებარე ქვაბული) დასავლეთ დაბოლოებას. ამდენად, აქ ჩატარებული კვლევები საინტერესო იქნება აზერბაიჯანელი სპეციალისტებისთვისაც. დასახელებული დეპრესიის ფარგლებში ღრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის შეფასებისთვის „საქნავთობის" მიერ ჩატარებულია ძებნა-ძიებითი სამუშაოები. გაბურღულია საშუალო და ღრმა (3700 მ) ჭაბურღილები. ზოგიერთი მათგანიდან, არსებული მონაცემებით, მოსალოდნელია ნავთობის ამოსაღები რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობები.

„როგორც ადრე ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი მეტყველებს, ღრმად დაძირული ნალექების ნავთობგაზიანობის პოტენციალის შეფასებისას სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული ყველა ის ფაქტორი, რომელიც ნალექების ნახშირწყალბადოვანი პოტენციალის ფორმირებისა და საბადოების თავისებურებებს განაპირობებს. აღნიშნული გარემოება კი სირთულეებს წარმოშობს ბუდობების პროგნოზირებისა და საბადოების ათვისება/ექსპლუატაციის პროცესში", – აცხადებს ასლან სულაძე.

პროექტის ერთ-ერთი სიახლე ნავთობგაზიანობასა და ენდოგენური (შინაგანი წარმოშობის) რეჟიმების, მათ შორის ვულკანიზმის პროცესებს შორის სავარაუდოდ არსებული კანონზომიერებების დადგენაშია. ამ მიზნით დასახულია მეზო-კაინოზოური სედიმენტაციური აუზების ფორმირების პირობების გამოკვლევა, ქანების ლითოლოგიურ-გეოქიმიური მახასიათებლების დადგენა (შეგახსენებთ, რომ ლითოლოგია, ეს არის მეცნიერება დანალექი ქანებისა და დანალექი საბადოების, აგრეთვე თანამედროვე ნალექების შედგენილობის, აგებულების, გენეზისისა და გავრცელების შესახებ).

როგორც კვლევის მონაწილეები აცხადებენ, სამუშაობის დასრულებამდე შეფასდება სხვადასხვა გეოლოგიური პროცესების მნიშვნელობა ქანების მოცულობით ფილტრაციული თვისებების ფორმირების პროცესში. გარდა ამისა, ქანებში გაბნეული ჰუმუსური ორგანული ნივთიერების – ვიტრინიტის არეკვლის სიდიდის მიკროსკოპული გაზომვები, საფუძველს იძლევა შეფასდეს ორგანული ნივთიერების კატაგენეზისის ხარისხი. კომპლექსური სტადიალური ანალიზისა და ვიტრინიტომეტრიის მონაცემების საფუძველზე ვერტიკალურ ჭრილებში მოხდება კატაგენეზისის ეტაპების და ზონების გამოყოფა. დადგინდება კატაგენეზისის ვერტიკალური გრადიენტი, რომლის ექსტრაპოლაციის გზით ღრმა ჰორიზონტებზე შესაძლებელი გახდება სიღრმეში არსებული თერმობარული რეჟიმების შეფასება. მეტ-ნაკლები სიზუსტით ამ მონაცემების გამოყენება შესაძლებელი იქნება ასევე მომიჯნავე ტერიტორიებზე, სადაც არ არსებობს ბურღვის მონაცემები.

თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მეცნიერები აცხადებენ, რომ პროექტის ფარგლებში მოძიებული მასალის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, მოხდება ღრმად დაძირული ნალექების ნახშირწყალბადოვანი პოტენციალის პროგნოზირება. პროექტში დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება, რადგან დაინტერესებულ ნავთობმომპოვებელ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების ეკონომიის საშუალებას მისცემს.

მაია ჭიჭინაძე

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი, პალინოლოგიის მიმართულებით. არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მისი კვლევის სფეროებია: პალინოლოგია, პალინოლოგიური მეთოდებით გეოლოგიური ნალექებისა და არქეოლოგიური მასალის შესწავლა.
არის 15-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. 2007-2015 წლებში მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში.
2011-2013 წლებში მონაწილეობდა საგრანტო პროექტებში: 2011-2013 SCOPES -ს პროექტში – „Colchis 2 Vani, Nokalakevi in the first Millenium B.C and earlier cultural and environmental context". 2012 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტში „განძი ვანის ნაქალაქარიდან".

ქართველი მეცნიერების კვლევები – ფრინველთა და ცხოველთა ბალანსირებული კვების გასაუმჯობესებლად

საწარმოო ცდები ფრინველებზე

დღეისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად კვლავ რჩება ფრინველთა და ცხოველთა სრულფასოვანი და ბალანსირებული კვება. სწორედ ამიტომ, თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიის თანამშრომლებმა მიზნად დაისახეს შეექმნათ ბიოლითონებისა და ორგანული ნივთიერებების შემცველი ბიოკოორდინაციული ნაერთები და მათი კომპოზიციები ბუნებრივ ცეოლითებთან ერთად. რაც უზრუნველყოფს იაფი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, უნარჩენო, ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური დანამატების მიღებას.

ამ მიზანს ემსახურებოდა თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ ლაბორატორიის გამგის, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სპარტაკ უროტაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი: „ბიოლითონებისა და ბუნებრივი ცეოლითების შემცველი ახალი თაობის პრემიქსები“. პროექტის ხანგრძლივობა იყო 3 წელი და იგი 2011-2014 წლებში მიმდინარეობდა. პროექტი დაფინანსდა უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (უმტც) მიერ.

კვლევის ავტორთა განმარტებით: „მეფრინველეობისა და მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკვები რაციონის ყოველდღიური შედგენილობის უზრუნველყოფა ეფექტური, სრულფასოვანი და ბალანსირებული დანამატებით, უპირველეს ყოვლისა შეუცვლელი ბიოლითონებითა და ორგანული ნივთიერებებით (ამინომჟავები, ოქსიმჟავები და სხვ.).

დანამატების შემადგენლობაში, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბიოლითონების მარტივი მარილები (სულფატები, ქლორიდები, კარბონატები, იოდიდები და სხვ.) და ორგანული ნივთიერებები შეყავთ ცალ-ცალკე ან ერთდროულად ნარევების სახით; ასევე წარმატებით გამოიყენება, როგორც საკვების დანამატი სხვადასხვა ბუნებრივი ცეოლითები (კლინოპტილოლითი, ლომონტიტი და სხვ.), რომლებიც როგორც ცნობილია ხასიათდებიან პროლონგირების ეფექტით.

ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ცნობილია, რომ ბიოლითონები ცოცხალ ორგანიზმში თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ არა მარტივი მარილების, არამედ ბიოკოორდინაციული ნაერთების სახით. ამიტომ ორგანიზმში ლითონების ბიოკორდინაციული ნაერთების სახით შეყვანისას ადგილი აქვს მათი ბიოლოგიური აქტივობის მკვეთრ ზრდას“;

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ლაბორატორიის თანამშრომლებმა მიიღეს ცოცხალი მასის მატება, დაცემის შემცირება, ხორცის ხარისხის გაუმჯობესება და დაავადებების შემცირება; რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დეფიციტური ბიოლითონები პრემიქსების შემადგენლობაში, ნაცვლად მარტივი მარილებისა, შეტანილ უნდა იქნას კოორდინაციული ნაერთების სახით.

პროექტში დასახული მიზნის მისაღწევად შესრულდა შემდეგი ამოცანები:

ჩატარებული იქნა შეუცვლელი ბიოლითონების და ორგანული ნივთიერებების (ამინომჟავების, ოქსიმჟავების და ა.შ.) შემცველი კოორდინაციული ნაერთების

იამზე ბეშკენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; გახლავთ არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე; 12 პატენტის მფლობელი. საერთაშორისო გრანტის მონაწილე და ეროვნული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი.

საწარმოო ცდები ბოცვრებზე

სინთეზი; სინთეზირებული ნაერთებისა და ბუნებრივი ცეოლითების (კლინოპტილოლიტი, ლომონტიტი) საფუძველზე მომზადდა ოპტიმალური შემადგენლობის კომპოზიციები;

შეიქმნა შეუცვლელი ბიოლითონების, ორგანული ნივთიერებების და ცეოლითების შემცველი ეფექტიანი დოზების და ოპტიმალური შემადგენლობის იაფი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, უნარჩენო დანამატების მეცნიერულად დასაბუთებული რეცეპტები, რომელთა გამოყენების შედეგად დადგინდა:

ფრინველისა და ცხოველის მიერ მკვებავი ნივთიერებების გახანგრძლივებულ და თანდათანობით შეთვისება; დაცემის მაქსიმალური შემცირება; ცოცხალი მასის მატება – 1-15%-ით; ხორცის ხარისხის გაუმჯობესება; ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლების შენარჩუნება დასაშვები ნორმის ზღვრებში; სხვადასხვა დაავადებების თავიდან აცილება; საკვების დანახარჯის შემცირება (საკვების ათვისების ეფექტიანობის გაზრდის ხარჯზე); საკვების თვითღირებულების შემცირება ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების ხარჯზე; მომზადდა რეკომენდაციები მიღებული კომპოზიციების გამოყენებაზე ფრინველთა და ცხოველთა კვებაში. მიღებული კომპოზიციების გამოცდა ჩატარდა ფრინველზე (კვერცხმდებელი, ბროილერი) და ბოცვერზე.



თსუ მეცნიერებმა შავი ზღვის რეგიონული მოკლევადიანი პროგნოზის სისტემის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა

ქართველი მეცნიერების მონაწილეობით, მათემატიკური მოდელირების საფუძველზე შეიქმნა აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონული მოკლევადიანი პროგნოზის სისტემა, რომელიც ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მთლიანად შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემისა.

ავთანდილ კორძაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძღვანელი. არის მერაბ ალექსიძისა (1996) და მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიების ლაურეატი (2012), ევროპის დედამიწის მეცნიერებათა კავშირის წევრი (2014), ოკეანის ექსპერტი (http://www.oceanexpert.net/). 1996 წლიდან არის ჟურნალის „საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერია ბ“ მთავარი რედაქტორი. არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და ფორუმის მონაწილე, საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტების ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო საქმიანობა და ინტერესები მოიცავს ოკეანისა და ატმოსფეროს დინამიკის ამოცანების მათემატიკურ დასაბუთებას, შავ ზღვასა და ატმოსფეროში ჰიდროთერმოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკურ მოდელირებას, ზღვა-ატმოსფეროს ურთიერთქმედებას; აღნიშნულ საკითხებზე მას გამოქვეყნებული აქვს 170-მდე სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკისა და უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში.

პროექტი „შავი ზღვის დიაგნოზისა და ოპერატიული პროგნოზის სისტემის შემუშავება“, რომელიც აღმოსავლეთ შავი ზღვის (მოიცავს საქართველოს სანაპირო ზოლსა და მიმდებარე აკვატორიას) რეგიონული პროგნოზის სისტემასაც გულისხმობდა, დაიწყო ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პროექტის ARENA ფარგლებში (2003-2005 წწ.).

2005 წლის ივლისში ხუთი დღის განმავლობაში შავი ზღვის ოკეანოგრაფიის ისტორიაში პირველად ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პროექტის ARENA ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო საპილოტე ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო შემოწმებულიყო შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის პროგნოზული შესაძლებლობები და მისი ფუნქციონირება ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში. ამ პროგნოზული სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ჩვენს მიერ შემუშავებული რეგიონული პროგნოზული სისტემა შავი ზღვის განაპირა აღმოსავლეთ ნაწილისათვის. პილოტურ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ ყველა შავიზღვისპირა ქვეყნის – ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის წამყვანი სამეცნიერო ცენტრები, მათ შორის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი. აღნიშნულ სამუშაოებს კოორდინაციას უწევდა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტი (ქ. სევასტოპოლი). საერთაშორისო ექსპერტთა ერთსულოვანი შეფასებით ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა, რომელმაც დაადასტურა შავი ზღვის პროგნოზული სისტემის საიმედოობა და მისი ოპერატიულ რეჟიმში ფუნქციონირების რეალური შესაძლებლობა.

პროექტის შემდგომი განვითარება უკვე ევროკავშირის ანალოგიური პროექტის ECOOP ფარგლებში (2008-2011 წწ.) მოხდა. სისტემის სრულყოფა და გაფართოება ანთროპოგენური მინარევების გავრცელების მათემატიკური მოდელების ჩართვით განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში (2013-2015 წწ.).

ამ კვლევებში ჩართულნი იყვნენ თსუ სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლები: ავთანდილ კორძაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის გამგე და დემური დემეტრაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

როგორც მეცნიერები განმარტავენ, მოკლევადიანი საპროგნოზო სისტემის შექმნა ამ ფორმატით პირველად მოხდა. კერძოდ, პირველად განხორციელდა აღმოსავლეთ შავი ზღვის პროგნოზული სისტემის ფუნქციონირება ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში. პროგნოზული სისტემის ძირითადი ბირთვი – მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი განსხვავდება საზღვარგარეთ შემუშავებული შავი ზღვის დინამიკის მოდელებისაგან ფიზიკური ფაქტორების გათვალისწინების მეთოდოლოგიით და დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის რიცხვითი მეთოდებით.

საპროგნოზო არე – ზღვის აღმოსავლეთ აკვატორია გამოყოფილია ზღვის ღია ნაწილისაგან პირობითი თხევადი საზღვრით, რომელიც დაახლოებით ემთხვევა ქ. ტუაფსეზე გამავალ მერიდიანს.

რეგიონული პროგნოზის სისტემა შედგება ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან. ჰიდროდინამიკური ბლოკის ძირითადი ბირთვია შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი (ავტორები: ა. კორძაძე, დ. დემეტრაშვილი), ეკოლოგიური ბლოკის შემადგენელი ნაწილებია ზღვის გარემოში ნავთობისა და სხვა დამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელები. ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი დაფუძნებულია ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის სრულ განტოლებათა სისტემაზე, ხოლო მინარევის გავრცელების ამოცანები ეფუძნება გადატანა-დიფუზიის ორ და სამგანზომილებიან განტოლებებს, რომლებიც გამოიყენებენ ჰიდროდინამიკურ ბლოკში გამოთვლილ ზღვის დინების ველს. რეგიონული პროგნოზული სისტემის ფუნქცი-

დემური დემეტრაშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. არის მიხეილ ნოდიას სახელობის აკადემიური პრემიის ლაურეატი გეოფიზიკის დარგში(2012), ევროპის დედამიწის მეცნიერებათა კავშირის წევრი (2014). 2009 წლიდან არის გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის ოკეანის ფიზიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის (IAPCO) ეროვნული კორესპონდენტი საქართველოდან და ოკეანის ექსპერტი (http://www.oceanexpert.net/). არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და ფორუმის მონაწილე, საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტების ძირითადი შემსრულებელი. მისი სამეცნიერო საქმიანობა და ინტერესები მოიცავს შავ ზღვაში ჰიდროდინამიკური პროცესებისა და მინარევების გავრცელების მათემატიკურ მოდელირებას; მეზომასშტაბური ატმოსფერული პროცესების მათემატიკურ მოდელირებას; ზღვა-ატმოსფეროს ურთიერთქმედებას; ასევე, მათემატიკური მოდელების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას. აღნიშნულ საკითხებზე მას გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკისა და უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში.

ონირებისათვის საჭირო ყველა მონაცემი მიიღება ყოველდღიურად ინტერნეტის საშუალებით ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტიდან (ქ. სევასტოპოლი).

როგორც პროექტში ჩართული მეცნიერები აცხადებენ, რეგიონული პროგნოზის სისტემა არ წარმოადგენს საბოლოო ვერსიას და აღნიშნული სისტემის სრულყოფის მიზნით სამუშაოები დღემდე გრძელდება.

პროექტის შედეგებზე საუბრისას გამოყოფენ შემდეგ მიღწევებს:

შემუშავებულია რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის სამგანზომილებიანი ველების პროგნოზს სამი დღის წინასწარობით შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მიმდებარე აკვატორიაში 1 კმ ჰორიზონტალური გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციებში იგი საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ზღვაში მოხვედრილი ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების ზონები და დაჭუჭყიანების კონცენტრაციები.

მნიშნელოვანია, რომ ამჟამად, შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა მუშაობს ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში და ჰიდროფიზიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილინობის ველების 24, 48 და 72 საათიანი პროგნოზის შედეგები ვიზუალური ფორმით თავსდება ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: www.ig-geophysics.ge. პროგნოზის შედეგებით დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც სურვილი აქვთ მიიღონ პროგნოზული ინფორმაცია სხვა სახით ან უფრო დეტალური ინფორმაცია პროგნოზული ველების შესახებ, შეუძლიათ დაეკონტაქტონ ავტორებს.

ავარიული სიტუაციების შემთხვევაში, როცა შესაძლებელია ზღვის აკვატორიის დაჭუჭყიანება ნავთობითა და სხვა მინარევებით, შემუშავებული პროგნოზული სისტემა საშუალებას მისცემს მეცნიერებს დროულად იწინასწარმეტყველონ დაჭუჭყიანების არეები და კონცენტრაციები და მის საფუძველზე მიაწოდონ რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ავარიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები.

მკვლევრების აზრით, შემუშავებულ რეგიონულ პროგნოზულ სისტემას მნიშვნელოვანი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. მეცნიერული ღირებულება განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ რეგიონული პროგნოზის სისტემის ფუნქციონირების შედეგად შეიქმნა უნიკალური მონაცემთა ბაზა, რომელიც საკმაოდ დეტალურად ასახავს შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მიმდებარე აკვატორიაში 2010-2015 წწ-ში განვითარებულ ჰიდროთერმოდინამიკურ პროცესებს, რაც უფრო სრულყოფილსა ხდის ჩვენს ცოდნას აღნიშნულ აკვატორიაში მიმდინარე ჰიდრო და თერმოდინამიკური პროცესების შესახებ. მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი სამგანზომილებიანი დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ აკვატორია წარმოადგენს დინამიკურად მეტად აქტიურ რაიონს, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს მეზომასშტაბური და სუბმეზომასშტაბური გრიგალების ჩასახვა, ევოლუცია და დისიპაცია. ჩატარებულ სამუშაოთა პრაქტიკულ ღირებულებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ პროგნოზული სისტემის ფუნქციონირების შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პრაქტიკაში.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხდა. მისი მიგნებების შესახებ ასევე გამოქვეყნებულია სტატიები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში: 1. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Operational forecast of hydrophysical fields in the Georgian Black Sea coastal zone within the ECOOP. Ocean Science, 2011, 7, pp.793-803. 2. Kordzadze A., Demetrashvili D. Coastal forecasting system for the easternmost part of the Black Sea. Turkish Journal of fisheries and aquatic sciences. 2012, vol.12, pp. 471-477, www.trjfas.org. 3. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Краткосрочный прогноз гидрофизических полей в восточной части Черного моря. Изв. РАН, физика атмосферы и океана. 2013, т.49, № 6., с. 733-745.

ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში და პრევენციის თანამედროვე მიდგომები

მედიკოსთა შეფასებით, სომატური დაავადებებიდან (დაავადებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ფსიქიკურ პროცესებთან), ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება კბილის კარიესი და პაროდონტის (კბილის ირგვლივ მდებარე ქსოვილების) დაავადებებია. მათ განვითარებაში მთავარი ეტიოლოგიური (გამომწვევი პირობები და მიზეზები) როლი მიკრობებს ენიჭება, თუმცა ეს დაავადებები მულტიფაქტორული ხასიათისაა და მათ წარმოქმნასა და განვითარებაზე მრავალი ადგილობრივი და ზოგადი ფაქტორი მოქმედებს.

„ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა მაღალი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების არსებობა და მათი უგულვებელყოფა მრავალ მედიკო-სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას შეუქმნის საქართველოს მოსახლეობას, რაც მოსალოდნელი გართულებების სიხშირითა და ორგანიზმზე ნეგატიური გავლენით გამოიხატება. სწორედ ამიტომ, ამ მაჩვენებლების გამოვლენა, შესწავლა და შეფასება აქტუალური საკითხია. მით უმეტეს, რომ საქართველოში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე არ არსებობს სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური მონაცემები, რომელთა დამუშავება და შესწავლა საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციული ღონისძიებები“. – აცხადებს პროექტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი მამუკა (ვლადიმერ) მარგველაშვილი.

კბილის ქსოვილების მნიშნელოვანი დესტრუქციის შედეგად მცირდება ღეჭვითი უნარი (ტკივილის გამო), არასრულფასოვნად დაღეჭილი და გადამუშავებული საკვები კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს და კუჭის და ნაწლავების ლორწოვანში შეუქცევადი ცვლილებებიც კი გამოიწვიოს. კარიესისაგან დაზიანებული კბილების ბასრი კიდეები იწვევენ პირის ღრუს რბილი ქსოვილების ლორწოვანის გაღიზიანებას და გინგივიტის (ღრძილის ლორწოვანი გარსის ანთება), გლოსიტს (ბაქტერიული ან ვირუსული ინფექციით გამოწვეული, ენის ანთებადი დაავადება), სტომატიტს (პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებადი დაავადებების საერთო სახელი) და სხვა დაავადებების წარმოშობას. კარიესის გართულება, თავის მხრივ, შეიძლება ორგანიზმის ბაქტერიული დასნებოვნების და სხვადასხვა ანთებითი დაავადებების მიზეზი გახდეს. მან ასევე შეიძლება გამოიწვიოს კანის, თვალების, გულის, ფილტვების, თირკმელების და სახსრების მეორადი დაზიანება – აცხადებს მედიცინის აკადემიური დოქტორი ლელა წიტაიშვილი.

როგორც მეცნიერები განმარტავენ, კვლევის მიზანია: საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში სტომატოლოგიურ დაავადებათა სიხშირისა და გავრცელების დადგენა; მათი თავისებურებების კლიმატო-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ჰიგიენური, ქცევითი, მედიკო-ბიოლოგიური და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით შესწავლა. ამის საფუძველზე კი პრევენციული ღონისძიებების თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბება.

კვლევა 2013-2014 წლებში თსუ სამედიცინო ფაკულტეტის სტომატოლოგიისა

ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი. იგი არის საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და გენერალური მდივანი, საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. პროფესორ ვ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით დაცულია 12 სადოქტორო დისერტაცია. გახლავთ ასამდე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომელთაგან 28 დაბეჭდილია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. 7 წლის განმავლობაში იგი იყო სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის კომიტეტის თავმჯდომარე (www.fdiworldental.org). ამჟამად არის სტომატოლოგიური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის (IADR) კომიტეტის წევრი. ვლადიმერ მარგველაშვილი არის პოლონეთის, თურქეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი. არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი.

და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ბაზაზე ჩატარდა. კვლევაში ჩართული იყვნენ თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარატამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა კალანდაძე და თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარატამენტის მედიცინის აკადემიური დოქტორი ლელა წიტაიშვილი.

კვლევისათვის საქართველოში შესწავლილია ზრდასრული პოპულაციის 2370 წარმომადგენელი – ქალი და მამაკაცი. მკვლევრებმა ისინი 4 ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს: 20-34 წლის, 35-44 წლის, 45-64 წლის და 65-74 წლის ჯგუფებად. გამოიკვლიეს ქვეყნის 9 რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, აჭარა, კახეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, იმერეთი) და თბილისის მოსახლეობა.

როგორც მიღებული შედეგებით დადასტურდა, კარიესის გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში ძალიან მაღალია და 96-100 პროცენტს აღწევს; კარიესის ინტენსივობა ზომიერია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში და ყველა რეგიონში 11,53±7,69 შეადგენს. დაბალი აღმოჩნდა დაბჟენილი კბილების რაოდენობა, რაც სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ, კერძოდ კი რესტავრაციული მკურნალობის ჩატარებისადმი, ადამიანთა სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. უფრო კონკრეტულად, ეს იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სტომატოლოგთან ძირითადად კბილების ამოსაღებად მიდის, ან მიმართავს ძალიან დაგვიანებით, როცა კბილების მკურნალობა და აღდგენა უკვე შეუძლებელია.- აცხადებს ლელა წიტაიშვილი.

სამწუხაროდ, საქართველოს ყველა გამოკვლეულ რეგიონში აღინიშნა მოსახლეობის დაბალი სტომატოლოგიური აქტივობა, თუმცა ამ მხრივ გამოირჩეოდნენ სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და სამეგრელო, სადაც პოპულაციის დიდი ნაწილი (79,1%, 78,0% და 71,4% შესაბამისად) წლის მანძილზე ერთხელაც არ აღნიშნავდა სხვადასხვა მიზეზების გამო სტომატოლოგთან ვიზიტს. დაბალი სტომატოლოგიური აქტივობის მიზეზი საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა აღმოჩნდა: მცხეთის (50,3%), სამცხე ჯავახეთისა (49,2%) და იმერეთის მოსახლეობისათვის (55,3%) ეს მიზეზი სახსრების უქონლობით განისაზღვრა, ქვემო ქართლის (58,3%), თბილისისა (57,2%), შიდა ქართლის (56,1%) პოპულაციის დიდი ნაწილი კი არ თვლიდა საჭიროდ სტომატოლოგთან ვიზიტს გადაუდებელი შემთხვევის, ძლიერი ტკივილის ან სერიოზული დისკომფორტის არსებობის გარეშე.

გამოკვლეულთა შორის კარიესის გავრცელებამ ქალებში შეადგინა 99.1%, მამაკაცებში – 98.1%, პირველ ასაკობრივ ჯგუფში (20-34 წწ) – 96%, სხვა ასაკობრივ ჯგუფებში – 99-100%. როგორც მედიკოსები განმარტავენ, ქალების მამაკაცებთან შედარებით მართალია უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გაზრდილი მაჩვენებელი იმითაცაა გამპირობებული, რომ ქალი ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში მამაკაცზე მეტ მინერალს კარგავს.

საერთო ჯამში, საქართველოს რეგიონებში კარიესის გავრცელების შემდეგი მაჩვენებლები აღინიშნა: თბილისი – 97%, მცხეთა-მთიანეთი 100%, გურია – 96,5%, სამცხე-ჯავახეთი 100%, შიდა ქართლი – 99,5%, აჭარა – 98,7%, კახეთი – 98,3%, სამეგრელო – 100%, ქვემო ქართლი – 99,2%, იმერეთი – 98,3%.

პაროდონტის დაავადებათა შედეგების ანალიზმა აჩვენა არაჯანსაღი (62%) მდგომარეობის სიჭარბე ჯანმრთელ პაროდონტზე (38%). არაჯანსაღი მდგომარეობა განისაზღვრა ზონდირებისას სისხლდენის არსებობით (41%), პაროდონტალური ჯიბეების არსებობით (44%), კბილღრძილოვანი მიმაგრების დარღვევით (47%). არაჯანმრთელი პაროდონტალური სტატუსი აღინიშნა მამაკაცთა 66,9%-ში და ქალების 57,5%-ში, სისხლდენა პაროდონტალური ზონდით შეხებისას შეინიშნა უმეტესად მამაკაცებში (44,9%), ქალებთან (37,2%), ისევე როგორც პაროდონტალუ-

ლელა წიტაიშვილი

ექიმი-სტომატოლოგი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი სექტორის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, 5 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოში, პოლონეთში, ირანში.

რი ჯიბეები და კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევა. აღნიშნული ცვლადები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიხშირით იქნა წარმოდგენილი მეორე და მესამე ასაკობრივ ჯგუფებში, და ყველაზე ნაკლებად – ახალგაზრდებში.

მეცნიერთა განცხადებით, კვლევის მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელების სტატისტიკურად სანდო კორელაცია მოსახლეობის სტომატოლოგიურ აქტივობასთან, სოციალურ-ეკონომიკურ, კლიმატო-გეოგრაფიულ ფაქტორებთან, პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიმართ ადამიანთა სხვადასხვა დამოკიდებულებასთან.

დაბალი ფინანსური მდგომარეობით, სხვადასხვა სომატური დაავადებების არსებობით, სტომატოლოგიური მომსახურების და პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით ასაკოვანი ადამიანები სტომატოლოგიური დაავადებების განვითარების უფრო მეტი რისკის ქვეშ იმყოფებიან. „სტომატოლოგიური დაავადებების ფართოდ გავრცელება ჩვენს ქვეყანაში უმეტესწილად დაკავშირებულია დაბალ ზოგადსამედიცინო განათლების დონესთან და სტომატოლოგიური დახმარების ნაკლებ ხელმისაწვდომობასთან, რაშიც ფინანსური პრობლემები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსებისა და განათლების დონისგან დამოუკიდებლად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სტომატოლოგიურ მომსახურებას იღებს მხოლოდ ტკივილისა და დისკომფორტის შემთხვევაში და ნაკლები ყურადღება ექცევა პრევენციას“, – განმარტავს მამუკა მარგველაშვილი.

კვლევაში ჩართულ მეცნიერთა დასკვნით, დაბალი ზოგადსამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონე და არასაკმარისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობასა და აქტივობას, პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებას, კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა მაღალ გავრცელებას და, ამის შედეგად, კბილების დაკარგვას საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. ეს მეტად აქტუალური პრობლემა საქართველოში სერიოზულ ყურადღებას და აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს, რათა გამოსწორდეს მოსახლეობის დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ, გაუმჯობესდეს მისი ზოგადი სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონე და ამაღლდეს პოპულაციის მიმართვიანობა სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად.

კვლევის შედეგების გამოყენება საშუალებას მისცემს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს განსაზღვრონ პრევენციის ძირითადი მიმართულებები და შემუშავდეს სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის გაიდლაინები.

დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი.

კვლევა მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე

ადამიანისა თუ სხვა ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური არსებობისთვის, ორგანული და არაორგანული ნივთიერებების გარდა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა 20 ქიმიური მიკროელემენტი და მათგან ერთ-ერთი ორვალენტიანი მანგანუმია. მისი დოზირებული რაოდენობა ადამიანის ორგანიზმში განსაზღვრავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა ორგანულ ნივთიერებათა მიმოცვლის რეაქციების მაკატალიზირებელი ენზიმების (ცილოვანი ფერმენტების)? გააქტიურება, სასქესო ჯირკვლებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ნორმალური ფუნქციონირება, ნერვული უჯრედების მემბრანებისა და, ზოგადად, ნერვული სისტემის სტაბილურობა, სისხლის გასუფთავება და მრავალი სხვა.

„ზოგიერთი ნეიროპროტექტორის გამოყენების პერსპექტივა და ჰორმეზისის ფენომენის კვლევა მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე“ – ამ სახელწოდებით კვლევა სსიპ ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიისა და თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე ტარდება. იგი 2013 წლის იანვრიდან დაიწყო და 2016 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს.

„მანგანუმის იონთა როგორც მცირე, ისე ზედოზირებული მომწამვლელი (ტოქსიკური) რაოდენობით მოხვედრა ორგანიზმში უარყოფითი შედეგების გამომწვევია (ზოგადად, ქიმიურ ნივთიერებათა ან იონთა ტოქსიკურობის ხარისხის საზომს წარმოადგენს დოზა, ანუ ნივთიერების ის რაოდენობა სხეულის მასის ერთეულზე, რომელსაც შეუძლია ორგანიზმის მოწამვლა გამოიწვიოს, ანუ შხამად იქცეს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ერთი და იგივე ქიმიური ნივთიერების დოზა, ორგანიზმზე მისი მოქმედების ეფექტი შეიძლება იყოს ინდიფერენტული, სამკურნალო, მომწამვლელი და ლეტალური. შხამის ტოქსიკური დოზა იწვევს მოწამვლას სასიკვდილო შედეგის გარეშე, ხოლო ლეტალური დოზა-სიკვდილს). „ადამიანის ორგანიზმზე მანგანუმის მავნე ზეგავლენის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია სათავეს 1837 წლიდან იღებს, როდესაც ჯონ კუპერმა (J.Couper, 1837) საფრანგეთში მანგანუმის მადნის დამფქველ საწარმოში მომუშავე მუშების გამოკვლევისას აღწერა პარკინსონის დაავადების მსგავსი სურათი (ე.წ. „მეორადი პარკინსონიზმი“, იგივე მანგანიზმი). იგი, როგორც პროფესიული დაავადება, შესაძლებელია დღესაც განუვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგიის, შედუღების, საღებავების, მინისა და საწვავის – ბენზინის მწარმოებელ საწარმოებში დაკავებულ ადამიანებს. მათ მანგანუმის შემცველი ნაერთების ტოქსიკური დოზა შეიძლება მიიღონ კანიდან, ორალურად ან ინჰალაციური გზით. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების (მათ შორის საქართველოშიც), ტოქსიკომანებსა და ნარკომანებში (დღეისთვის ევროპასა და აშშ-შიც) ფართო გავრცელება ჰპოვა იაფასიანი სუროგატული ნარკოტიკებისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორის – მეთკათინონის („ჯეფი“) ინტრავენურმა მოხმარებამ, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ მანგანუმის შემცველი ნაერთია. იგი მომხმარებელთა უმძიმეს ინვალიდიზაციას – მანგანუმურ ენცეფალოპათიას, ანუ თავის ტვინის არაანთებით ტოქსიკურ დაზიანებას იწვევს. ამიტომ ამ პრობლემამ სამედიცინო და სოციალური ხასიათი შეიძინა“ – განმარტავს თემის თანახელმძღვანელი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიომედიცინის ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი – თამილა ბაგაშვილი.

თანამშრომელთა ფუნდამენტური კვლევა – „ზოგიერთი ნეიროპროტექტორის (ნერვული სისტემის დამცავი, დამზოგავი) გამოყენების პერსპექტივა და ჰორმეზისის ფენომენის კვლევა მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე“ ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიისა და თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა. ჰორმეზისის ბიოლოგიური ფენომენი გულისხმობს სხვადასხვა წარმოშობის სტრესორებისადმი – მათ შორის ტოქსიკური აგენტებისადმი მაღალი დოზებით მიღებისას ცოცხალი ორგანიზმის გამძლეობის მკვეთრ მატებას.

კვლევაში ჩართულნი არიან: სსიპ ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები: ნიკოლოზ პაპუაშვილი -მედიცინის დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამედიცინო ცენტრ „ურანტის“ ნევროპათოლოგი, თემის ხელმძღვანელი; გიორგი ანდრონიკაშვილი – მედიცინის

თანამშრომელთა ფუნდამენტური კვლევა – „ზოგიერთი ნეიროპროტექტორის (ნერვული სისტემის დამცავი, დამზოგავი) გამოყენების პერსპექტივა და ჰორმეზისის ფენომენის კვლევა მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე“ ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიისა და თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა. ჰორმეზისის ბიოლოგიური ფენომენი გულისხმობს სხვადასხვა წარმოშობის სტრესორებისადმი – მათ შორის ტოქსიკური აგენტებისადმი მაღალი დოზებით მიღებისას ცოცხალი ორგანიზმის გამძლეობის მკვეთრ მატებას.

თამილა ბაგაშვილი

თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგის მოადგილე, ბიოლოგიის დოქტორი. 1972-2010წწ-ში მუშაობდა კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ნევროლოგიის განყოფილებასა და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ს/კ ცენტრის უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1995 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ში. არის სამამულო, იმპაქტ-ფაქტორიან და საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში 50-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, ეპილეპსიის სხვადასხვა ფორმის, მხვედველობის ცნობის მეხსიერების, მანგანიზმის ზოომოდელებზე მაკრო- და მიკროფიზიოლოგიური კვლევის ნატიფი მეთოდების გამოყენებით კლინიკური თვალსაზრისით უმწვავეს პათოლოგიათა ეტიო-პათოგენეზის შესწავლის თემაზე.

თ. ბაგაშვილი არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 2007 წლიდან ყოველწლიური კონფერენციის „ზომავლის მედიკოსები და სამედიცინო პრობლემების“ ორგანიზატორი, ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელი და კონფერენციის მასალების ორი კრებულის (2010წ; 2014წ.) რედაქტორ-გამომცემელი. სახელმძღვანელოს – „ზოგადი პათოფიზიოლოგია“ ავტორი. გახლავთ ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მონაწილე, ევროპის ნეირომეცნიერთა ფედერაციის (FENS), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), საქართველოს ნეირომეცნიერთა ასოციაციის და ი. ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების წევრი.

დოქტორი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი; სენერა ჭიპაშვილი -ბიოლოგიის დოქტორი, მეცნიერ-თანამშრომელი; გიორგი კვერნაძე- ბიოლოგიის დოქტორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; მიხეილ ოკუჯავა- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერ- თანამშრომელი; თეა გურაშვილი – მედიცინის აკადემიური დოქტორი, მეცნიერ-თანამშრომელი; ქეთევან გოგეშვილი – მეცნიერ-თანამშრომელი. თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები: თეიმურაზ ჯორბენაძე – მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს პათოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი; გიორგი პატარაია – მედიცინის დოქტორი, თსუ-ს პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; თამილა ბაგაშვილი – თსუ-ს პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,ბიომედიცინის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი,თემის თანახელმძღვანელი.

როგორც მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს პათოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე აცხადებს: „კვლევის ძირითადი მიგნება და სიახლე საექსპერიმენტო ცხოველებში, კერძოდ, ზრდასრულ თეთრ ვირთაგვებში კალიუმის პერმანგანატის შემცველი იზოტონური წყალხსნარის ინტრავენური, კანქვეშა, ინტრაპერიტონული შეყვანის გზით ტოქსიკური ენცეფალოპათიის ვალიდური მოდელის შექმნაა (იხ. ჟურნალი „ბიომედიცინის სერია“,2013,ტ.39,#5-6,237-249),რაც მნიშვნელოვანია მანგანუმისადმი ექსპოზიციის (ზღვრული სიდიდე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ენცეფალოპათია ზოომოდელში) დადგენისთვის. მანგანუმური ენცეფალოპათიის კვლევის შედეგად მიღებული ზოომოდელი მაქსიმალურადაა დაახლოვებული თავისი ფიზიოლოგიური და ქცევითი პარამეტრებით ადამიანში ეფედრონული ტოქსიკომანიისას ნანახ ცვლილებებთან. ამასთანავე, ხელატებით (იგივე ლიგანდური კავშირები, როცა მინერალები უკავშირდებიან ორგანულ მოლეკულებს, მათ შორის ამინომჟავეებს და ამ გზით ხდება მიკროელემენტების ტრანსპორტირება უჯრედის მემბრანაში და ქმნიან ე.წ. შიდაკომპლექსურ კავშირს,

ანუ ხელატურ კავშირს) და ნეიროპროტექტორული პრეპარატებით ხდება მანგანუმური ენცეფალოპათიისთვის დამახასიათებელი მყარი ნევროლოგიური და ჰისტოპათომორფოლოგიური (ქსოვილთა სტრუქტურისა და ფუნქციის რღვევა) ცვლილებების კუპირება.

კვლევის ფარგლებში, მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის ვალიდურ მოდელზე ნაჩვენები იქნა, რომ ხელატის კალციუმ-მონოსოდიუმ-ედიტატის ხსნარის და ნეიროპროტექტორის-კორტექსინის ინტრამუსკულური ინექცია ორგანიზმს წმენდს ჭარბი მანგანუმისგან და კუპირებს მანგანუმური ინტოქსიკაციით ჩამოყალიბებულ მყარ ნევროლოგიურ დარღვევებს. ჰისტოპათომორფოლოგიური კვლევით დადგინდა მანგანუმის ტოქსიკური დოზით გამოყენებისას სიღრმისეული დესტრუქციული ცვლილებები თავის ტვინის ქერქში – მრავლობითი სისხლჩაქცევები, ზოგ უბანში თრომბოზი, პერივასკულური შეშუპება, ნეირონების ნეკროზი და ღრმა ცვლილებები შინაგანი ორგანოების ქსოვილებში (ღვიძლი, ფილტვი, გულის კუნთი, ლიმფური კვანძები), კერძოდ, საკმაოდ გადიდებულ ღვიძლის პრეპარატში დაფიქსირდა ჰეპატოციტების დისოციაცია და ცხიმოვანი დისტროფია; ფილტვის პრეპარატში აღინიშნა რიგი ალვეოლების გაგანიერება, ზოგიერთ უბანში ალვეოლების შრის ძგიდეების დაწყვეტა, ზოგიერთი ბრონქიოლის გაგანიერება, პერიბრონქული ლიმფური კვანძის ჰიპერპლაზია; გულის კუნთიდან აღებულ ანათალში მკვეთრად გამოიკვეთა ქსოვილის განბოჭკოების სურათი, ხოლო ლიმფური კვანძის პრეპარატში – ჰიპერპლაზია“ _ აღნიშნავენ მეცნიერები.

მათი განმარტებით, წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა საშუალებას იძლევა სიღრმისეულად აიხსნას მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის პათოგენეზი, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევისთვის. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, კერძოდ, კუსტარული ნარკოტიკების მომხმარებელთა პოპულაციის საგანგაშო რიცხობრივი მატება, ე.წ „ჯეფის“, ანუ ეფედრონის ინტრავენური ტოქსიკომანების და პროფესიული პათოლოგიების ჩამოყალიბება (შავ და ფერად მეტალურგიაში დასაქმებული, შემდუღებელ და ბენზინის მწარმოებელ ადამიანებში), რაც ადამიანთა მძიმე ხარისხის ინვალიდიზაციას იწვევს, ბადებს ამ მიკროელემენტის დამაზიანებელი მოქმედების შესწავლის აუცილებლობას. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი ორგანოს ჰისტოპათოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანოთა ქსოვილურ შენებაში მომხდარი ცვლილებები სრულ კორელაციაშია ცხოველისა თუ ტოქსიკომან და ნარკომან ადამიანთა ორგანიზმში განვითარებულ ნევროლოგიურ თუ პათოლოგიურ ქცევით პარამეტრებთან (იხ.ჟურნალი „ბიომედიცინის სერია“,2013,ტ.39,#5-6,237-249). ამ ტიპის კვლევებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ტოქსიკომანიისა და ნარკომანიის ეტიო-პათოგენეზის შესასწავლად და პრევენციული ღონისძიებების სარეკომენდაციოდ.

საკითხი კვლევის მონაწილეთა მიერ კომპლექსურად: კლინიკური და ექსპერიმენტული, ჰისტოპათო-მორფოლოგიური კუთხით შეისწავლება. ადამიანური რესურსის გარდა, კვლევა ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელთა სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების, ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, ცენტრის ვივარიუმის ცხოველთა გამოყენებით და თსუ პათოლოგიის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით ტარდება.

მეცნიერთა ჯგუფის მიერ მიღებული კვლევების შედეგების გარკვეული ნაწილის პრეზენტაცია მოხდა 2014 წლის 2-4 ოქტომბერს თბილისის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმზე („Neuro-plasticity: Neurous substrate for Health and Disease. New Approaches for Research“) ნ. პაპუაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენებით: The study of the Therapeutic Potential of Cortexin in the Treatment of Methcathione (Efedrone) Associated Manganese Encephalopathy. ასევე პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე რეოლოგიაში(10-11 ოქტომბერი,ქუთაისი,2015)-„As a result of the injection of manganese ions, may cause histopathological changes induced in some visceral organs“-T. Bagashvili, N.Papuashvili, T. Jorbenadze, G. Andronikashvili, T. Gurashvili, K. Gogeshvili, pp.34-35. 2015.

უახლოეს პერიოდში იგეგმება კვლევის შედეგების გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალში. აღნიშნული თემის კვლევა გრძელდება.

თეიმურაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინტერკონტინენტური სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. არის პათოლოგიის მიმართულების საერთაშორისო ექსპერტი, საქართველოს პათოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. თსუ-ში მუშაობს 1998 წლიდან. მისი სამეცნიერო სფეროები და კვლევის მიმართულებებია: ინტრაკრანიული სიმსივნეების ბიოლიგიური „ქცევის“ მორფოლოგიური საფუძვლები; მწვავე ჰიპოქსიის გავლენა ენდოკრინული ორგანოების სტრუქტურულ ორგანიზაციაზე; რადიოლოგიური და პათომორფოლოგიური კვლევების შედეგების კორელაცია; მანგანუმისმიერი ტოქსიკური ენცეფალოპათიის ექსპერიმენტული მოდელირება და ორგანოთა ჰისტო პათომორფოლოგიური შესწავლა. გამოქვეყნებული აქვს 148 სამეცნიერო შრომა, არის 2 სახელმძღვანელოს ავტორი, 3 სადოქტორო და 6 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი, 18 სადოქტორო და 21 საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი, 11 საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობისა“ და „ღირსების “ ორდენებით.

„მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციები და დივერსიფიკაციის შესაძლებლობები საქართველოში“

კვლევა „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციები და დივერსიფიკაციის შესაძლებლობები საქართველოში“ 2011 წელს დაიწყო. კვლევის ძირითადი მიზანია ფერმერული მეურნეობების განვითარების, დივერსიფიკაციის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შეფასების საფუძველზე საქართველოში არსებული გამოწვევების გამოვლენა. ფერმერული მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურაში. ევროკავშირთან დაახლოების კუთხით კი აუცილებელია საქართველოსთვის შემუშავდეს მოდელები, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება ევროპულ მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. მკვლევართა განმარტებით, ამ ნაშრომის სიახლეა ზემოთ ჩამოთვლილი პოზიციებისა და ხედვების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, საუკეთესო ევროპული გამოცდილების გამოკვლევა და საქართველოს რეალობისათვის ადეკვატური დივერსიფიკაციის მოდელების ადაპტირებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ეთერ ხარაიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. გახლავთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. 1978 წლიდან მუშაობს უნივერსიტეტში, მისი სამეცნიერო სფეროები და კვლევის მიმართულებებია: კონკურენცია აგროსასურსათო სექტორში და პროდუქტების კონკურენტუნარიანობის კვლევა; ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია, ევროპული მოდელები და გამოწვევები საქართველოში; აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შესწავლა. არის ათეული პუბლიკაციის ავტორი, მათგან საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში. არის 8 სახელმძღვანელოსა და 3 მონოგრაფიის ავტორი, 20-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის, ვორქშოპისა და კონგრესის მონაწილე და მომხსენებელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.
არის პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგობრივი ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის საბჭოს წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა ევროპული ასოციაციის წევრი (შვეიცარია), ბუნების ისტორიის ევროპული აკადემიის ნამდვილი.

თემისადმი ინტერესი, თსუ მკვლევარის ეთერ ხარაიშვილის თქმით, შემდეგმა გარემოებებმა აღუძრა: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობები 3.4 ჰექტრიდან 9.0 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 1.5-დან 5 ჰა-მდე მერყეობდა, საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა 75% 1-დან 5 ჰექტრამდე მიწის ფართობის მფლობელია. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, თუმცა, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ისე როგორც საქართველოში, შემცირების მკვეთრი ტენდენცია არ გამოიკვეთა.

„ასეთ პირობებში ფერმერული მეურნეობათა ბაზარზე ინტეგრაციის პერსპექტიულ სტრატეგიად მათი დივერსიფიკაცია განიხილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყანაა და ამ მხრივ მიზანშეწონილია ისეთი დივერსიფიცირებული ეკონომიკის ფორმირება, რომელიც მოიცავს რამდენიმე ასპექტს. კერძოდ, უზრუნველყოფს: ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ძირითადი ეროვნული პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მიღწევას, სატრანსპორტო და ენერგოდერეფნის ფუნქციის ეფექტიანად შესრულებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამდენად, ნათელი გახდა, რომ საქართველოში დივერსიფიკაციის პრობლემების კვლევა მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში“, – აცხადებს კვლევის ავტორი, თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი ეთერ ხარაიშვილი.

კვლევა ძირითადად თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ბაზაზე მიმდინარეობდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მნიშვნელოვანი თანადგომით. დღეისათვის კვლევა გრძლდება თსუ კონკურსების საფუძველზე გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“.

მეცნიერთა ჯგუფის მიერ კვლევის პროცესში დივერსიფიკაციის პრობლემებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიკვეთა. „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვისებრივი კვლევით გამოვლენილი ის დასკვნები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის გაფართოება-განვითარებას, რესტრუქტურიზაციას და შეფასებულია როგორც ფერმერულ მეურნეობათა გადარჩენის სტრატეგია. კვლევის შედეგად მიიღეს რამდენიმე დასკვნა: სუსტია კოორდინაცია ფერმერებსა და ბაზრის აგენტებს შორის; შეზღუდულია პროდუქტების სახეობების შეთანაწყობა; ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია ზოგადად დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ; ფერმერთა მცირე ნაწილს აქვს განათლება ფერმერული მეურნეობის სფეროში; დაბალია ფერმერთა კვალიფიკაცია და შეზღუდულია მათთვის ცოდნის მიწოდების შესაძლებლობები, განსაკუთრებით დივერსიფიკაციის შესახებ; ფერმერული მეურნეობების ნაკვე-

რთველი 2014

ქართული ღვინის ქარხანაში

თები დანაწევრებულია და განუვითარებელი მიწის ბაზრის გამო შეზღუდულია ნაკვეთების გაფართოების შესაძლებლობა; შესაცვლელია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგიები; ფერმერული მეურნეობების შესახებ მნიშვნელოვნად არის შეზღუდული სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, რაც ეს ასეთი ტიპის მეურნეობების მიმართ ართულებს როგორც კვლევებს, ასევე სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს; არ არსებობს სრუყოფილი სამართლებრივი ბაზა წარმოების გაფართოების სტიმულირებისა და სტრატეგიული განვითარებისათვის", – აღნიშნავს ეთერ ხარაიშვილი.

კვლევის შედეგად პერსპექტივაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობებსა და ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების საქართველოში გამოყენებისთვის შემუშავდა რეკომენდაციები: აუცილებელია ყურძნის მიწოდების სტრუქტურის გაუმჯობესება ღვინისა და სუფრის ყურძნის ჯიშობრივი შეთანაწყობის საფუძველზე; საჭიროა მცირე ფერმერთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; ფერმერთა ეკონომიკური თანამშრომლობის ჯგუფების ფორმირების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი კანონმდებლობის მომზადება და მიღება; ნიშვნელოვანია განხორციელდეს ფერმერული მეურნეობებისათვის თანამედროვე თეორიული ცოდნისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციების ეფექტიანი მიწოდება და ურთიერთგაცვლა; საჭიროა შემუშავდეს სამაცივრე მეურნეობებისა და ღვინის მცირე ქარხნების გაფართოების სტრატეგია; ღვინის ბაზრის დივერსიფიკაცია უნდა განხორციელდეს ტრადიციულ, მაგრამ არასტაბილურ ბაზრებზე დამოკიდებულების შემცირებით; დამატებითი ღონისძიებებია გასატარებელი ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის მდგრადობის შენარჩუნება/გაფართოებისათვის სტრატეგიულ ბაზრებზე (მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში); შესამუშავებელია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგია ახალ ბაზრებზე (ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია).

მეცნიერთა შეფასებით, კვლევის შედეგად სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სტრუქტურებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციები ფერემერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტები და მეცნიერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციასა და თეორიებს ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით. კვლევის შედეგები, ასევე, დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთობლივი პროექტების დაგეგმვაში.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის პრობლემებზე კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. 2015 წლიდან კვლევა, როგორც აღინიშნა, სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროექტის ფარგლებში გრძელდება, შესაბამისად კვლევაში ჩართულია მიკროეკონომიკის კათედრის აკადემიური პერსონალი, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები: მარინა ჩავლეიშვილი, მარინა ნაცვალაძე, ია ნაცვლიშვილი, ინეზა გაგნიძე, ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი. კვლევაში ჩართული არიან ასევე ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები: ანა ლომოური, რუსუდან გურაშვილი, სალომე ექიზაშვილი.

კვლევისა და მისი შედეგების შესახებ სამეცნიერო პუბლიკაციები ამ დროისათვის გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულებში:

„ქართული ღვინის ბაზრის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები" (თანაავტორები მ. ჩავლეიშვილი, მ. ნაცვალაძე), მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის მე-16 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა, ინდუსტრიული და ბიზნეს მენეჯმენტი", 27-28 ოქტომბერი, 2014. ბარსელონა (ესპანეთი) და ა.შ.

კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასება, კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზაზე არსებული წინაღობების იდენტიფიცირება ეკონომიკის მკვლევართა ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიზანია. რადგან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ინდექსი განსაზღვრავს მისადმი ინვესტორების დამოკიდებულებას და, ზოგადად რეალურ ეკონომიკურ პერსპექტივას. სწორედ ამიტომ საქართველოში ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და საშუალებების საკითხის კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გულნაზ ერქომაიშვილმა ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე 2009 წლიდან დაიწყო და დღემდე აგრძელებს.

გულნაზ ერქომაიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (აშშ-ს ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში) ექსპერტი.
იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფიის, 8 სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს.
მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და საგრანტო პროექტში (ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი, უკრაინა და სხვა). მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა I სტუდენტური ოლიმპიადა „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“.
არის მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის საერთაშორისო-საგამომცემლო საბჭოს წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და გამოცემების რედკოლეგიის წევრი. მათ შორისაა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია“.
იგი 22 წიგნის რედაქტორი და 11 წიგნის რეცენზენტია.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) 2015 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 140 ქვეყნიდან 66-ე ადგილზეა (2014 წ. – 69-ე ადგილი, 2012-2013 – 77-ე ადგილი, 2011-2012წწ – 88-ე ადგილი, 2009-2010წწ – 90-ე ადგილი). უკვე მეხუთე წელია საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში. იგი წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა – სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი).

მსგავსი რეიტინგები ინვესტორების განწყობაზე ახდენენ გავლენას. ინვესტორის ქვეყნისადმი დადებითი განწყობა ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში. უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემებია“. – აცხადებს კვლევის ავტორი.

გულნაზ ერქომაიშვილის კვლევის მიზანია: საქართველოს კონკურენტული უპირატესობების წარმოდგენა, კონკურენტუნარიანობის როლის შეფასება ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში, ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და განვითარების პერსპექტივების დასახვა.

„კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისთვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო, საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე ორიენტირებული პოლიტიკა, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი, მათ შორის ისეთ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორიცაა: სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ეტაპს სავაჭრო საქმიანობის სფეროში ინტეგრაცია წარმოადგენს. ეკონომიკური გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო რესურსების ეფექტიან განაწილებას და გამოყენებას, ქვეყნების ოპტიმალურ სპეციალიზაციას და საბოლოოდ, მსოფლიო ეკონომიკის წარმოების მოცულობის ზრდას. საქართველოში ექსპორტის ბოლო პერიოდის სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში ფარდობითი უპირატესობის მქონე სფეროებს. 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში ასეთი იყო: სპილენძის მადნები – 11%, ფეროშენადნობები – 9%, მსუბუქი ავტომობილები – 9%, რომელიც მკვეთრად შემცირდა 2012 წელთან შედარებით (24,7%), თხილი 8%, სამკურნალო საშუალებები – 6%, დანარჩენი -57%.

უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების მხრივ უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება". – აღნიშნავს გულნაზ ერქომაიშვილი.

მეცნიერის განმარტებით, საქართველოს წლებია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს 3,4-ჯერ ჭარბობდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით ეს უკეთესი მაჩვენებელია (აღნიშნულ წელს და წინა წლებში იმპორტი 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს). ექსპორტის წილის გაზრდის გარეშე ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. საქართველოს ექსპორტის წილის გაზრდა ქვეყნაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (12%), ბულგარეთი (10%), თურქეთი (9%), სომხეთი (8%), რუსეთი (7%). იგივე პერიოდში საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი (17%), ჩინეთი (8%), რუსეთი (7%), აზერბაიჯანი (7%), უკრაინა (6%). (www.geostat.ge.)

მკვლევრის შეფასებით, ექსპორტის თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე მეტი შანსი ხუთ სექტორს აქვს: სოფლის მეურნეობას და დამამუშავებელ მრეწველობას, ჰიდროენერგეტიკას, ტრანსპორტს, ტურიზმს და ფინანსურ ინსტიტუტებს. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ტრადიციული სექტორების განვითარების ხარჯზე. ქვეყნის ტრადიციული დარგებიდან საერთაშორისო ბაზარზე უფრო მეტად ისეთი პროდუქცია გადის, სადაც ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად უცხოელებიც თანამშრომლობენ.

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის ასევე საინტერესო ფორმაა ფრანჩაიზინგის სისტემა, რომელის გამოყენება საქართველოს კვების მრეწველობაში განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ჩაის და საკონსერვო მრეწველობაში.

„მტკნარი და მინერალური წყლების წარმოება უპირველეს პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკაში ისეთი უპირატესობების გამო როგორიცაა: ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიიაფე, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და, რაც მთავარია დაბანდებული კაპიტალის უკუგების მოკლე პერიოდი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო სასმელი წყლის მწავავე დეფიციტის მქონე ქვეყნების შუაგულში მდებარეობს და წყალზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. სასმელი წყლის რესურსებით საქართველო 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. ამასთანავე საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს.

რაც შეეხება მინერალურ წყლებს: „ბორჯომი", „საირმე", „ლუგელა". „უწერა" და სხვა თავიანთი იონური შემადგენლობით მსოფლიოში უნიკალური არიან. საქართველოს ყველაზე დიდი შემოსავალი წყლის ბიზნესით შეუძლია მიიღოს. თუმცა, ამ სფეროში აუცილებელია სარეკლამო საქმიანობის და ელექტრონული ვაჭრობის ფართოდ ორგანიზება". -აღნიშნავს კვლევის ავტორი.

გარდა ამისა, ეკონომისტ ერქომაიშვილის შეფასებით, ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, განსაკუთრებით გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. საქართველოს, რომლის ფლორაც ოდითგანვე მდიდარია სამკურნალო მცენარეებით, შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს მათი წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

მეცნიერი დარწმუნებულია, რომ საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტული წარმოების სფეროებშიც, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკუ-

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე ქვეყანა

ქვეყანა	გლობალური რეიტინგი*
აზერბაიჯანი	40
ყაზახეთი	42
რუსეთის ფედერაცია	45
საქართველო	66
უკრაინა	79
ტაჯიკეთი	80
სომხეთი	82
მოლდოვა	84
ყირგიზეთის რესპუბლიკა	102

წყარო: გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2015-2016
* დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის 2015-2016 რეიტინგი 140 ქვეყანას შორის

კონკურენტუნარიანობის 12 საყრდენი

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2015-2016

წყარო: გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2015-2016, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

რენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

„მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ დარგზე, როგორიცაა ტურიზმი. საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ოპტიმალური გზაა. სხვა უპირატესობებთან ერთად მნიშვნელოვანია ქვეყნის გეოგრაფიული სიახლოვე მთავარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან.

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. სახელმწიფოს მხრიდან ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა სტიმულს შეუქმნის როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივი ინვესტორებს.

საქართველოში საკურორტო-ტურისტული სფეროს წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფა. დღეისათვის მოქმედებს საქართველოს კანონი „ტურიზმის და კურორტების შესახებ“ (1997 წელი, დამატებითი ცვლილებები 1999-2000 წწ.) და საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს სანიტარული მომსახურებისა და შესაბამისი პირობების დაცვას. შექმნილი კანონები ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე აქტუალური გახდა ტურიზმის ახალი მიმართულებები, ახალი ტექნოლოგიები, ახალი მოთხოვნები, ამიტომ საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია არსებულ კანონებში ცვლილებების

შეტანა, მათი შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური გახდა დასვენება ველური ბუნების წიაღში, პოპულარული ხდება სამედიცინო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულება – „ველნესს ინდუსტრია". საქართველოში კი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალგვარი სახეობა და დიდი ბიომრავალფეროვნებაა. აქ არსებული უნიკალური ბუნება, მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა, მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის, მაგნიტური ქვიშების და კიდევ მრავალი სხვა უნიკალური პირობები იმის საფუძველს ქმნის, რომ ეს ტერიტორია, თანამედროვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით, მსოფლიოს „ველნეს ინდუსტრიის" ცენტრი გახდეს – აცხადებს მეცნიერი.

„კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად არასაკმარისია. მთავარ პრობლემებად პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა, კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები, საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები, სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა, კვალიფიკაციის შეუსაბამობა და ინფლაცია მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი" ინსტიტუციების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, უმაღლესი განათლების, შრომითი ბაზრის ეფექტიანობის და სხვა მიმართულებით საქართველოს პროგრესსაც აღიარებს". -აღნიშნავს კვლევის ავტორი.

ჩატარებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე მეცნიერის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად, საჭიროა შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა. ხელი უნდა შეეწყოს სასურსათო ბაზრის შევსებას ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით, რომელიც უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ ოჯახურ მეურნეობებში წარმოებულ სასურსათო პროდუქტებს, არამედ შედარებით მასშტაბური (მცირე და საშუალო) გადამამუშავებელი საწარმოებისა და ფერმების შექმნას. უნდა გაფართოვდეს დასაქმებულთათვის საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები, განხორციელდეს მათი დატრენინგება; მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება და ა.შ. კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად რეკომენდირებულია განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, ინვესტორებისთვის აუცილებელია სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს; საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება. ქვეყნის სტაბილური განვითარება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება, თუ ექსპორტის წილი არ გაიზრდება. აღნიშნულ კვლევაზე მასალები გამოქვეყნდა არაერთ გამოცემაში მაგალითად: The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia, International Conference on Economics, Industrial and Business Management. Barselona, Spain, 27-28 October, 2014; The Strategy for Increasing the Competitiveness of Georgia (Dublicat). International Journal of Social, Management, Economics and Business Engineering, 8(10), 2014, International Science Index 94. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. (სამეცნიერო ნაშრომი). თბ., გამომცემლობა „უნივერსალი", 2013 და ა.შ.

„უცხოური ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის აღქმის სპეციფიკა„

„უცხოური ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის აღქმის სპეციფიკა“ – ასე ეწოდება მოხსენებას, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის პროფესორმა ნუგზარ თოდუამ და ამავე კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა ჩარიტა ჯაშმა 2014 წლის 3-4 აპრილს იტალიაში, მილანის კათოლიკურ უნივერსიტეტში გამართულ კორპორაციული და მარკეტინგული კომუნიკაციების მე-19 საერთაშორისო კონფერენციზე წარმოადგინეს. მოხსენება მეცნიერთა ერთობლივი კვლევის შედეგია.

მილანის კონფერენციის მთავარი თემა იყო „კომუნიკაციები დიალოგის გზით, ურთიერთგაგება კონტროლის გარეშე“. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ფილიპ კიტჩენი – ინგლისის ჰალის უნივერსიტეტის პროფესორი, მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჟურნალ „მარკეტინგული კომუნიკაციების“ მთავარი რედაქტორი. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 50 უნივერიტეტის მარკეტოლოგების , რეკლამისა და მარკეტინგული კომუნიკაციების აკადემიური წრის წარმომადგენლები.

კვლევის ავტორთა განმარტებით, გლობალური კონკურენციის პირობებში მომხმარებლის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ საქონლისა და მომსახურების მაღალი ხარისხი საკმარისი არაა. აუცილებელია ფასეულობათა ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომელიც მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნილებებთან ახლოსაა. ხშირად ეს მოითხოვს მომხმარებლის აღქმაზე, მოტივაციასა და ქცევაზე ზემოქმედებას, რაც თანამედროვე მარკეტინგული ტექნოლოგიებისა და პროგრამების მეშვეობით ხორციელდება. ბაზარზე მოქმედი კომპანიები მომხმარებელთა შესწავლას პროდუქტის შექმნამდე ადრე იწყებენ. ისინი ბევრს ხარჯავენ მარკეტინგულ კვლევებზე, რათა დროულად განსაზღვრონ მომხმარებელთა ქცევის დინამიკა და დაადგინონ, თუ როგორ რეაგირებენ ისინი სხვადასხვა მასტიმულირებელ ღონისძიებებზე. ქვეყნის კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარე, გლობალურ ბაზარზე განსხვავებულია მომხმარებელთა ინტერესები, ცხოვრების სტილი, რაც მათ მრავალფეროვან მოთხოვნებში აისახება. მარკეტინგული სტრატეგიის ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის ინტენსიურ შეთავაზებასთან ერთად, თითოეული კომპანიის მიერ საკუთარი პოზიციების ზუსტად შეფასება. როდესაც ფირმებს სურთ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა დღევანდელ გლობალურ გარემოში, აუცილებელია გაითვალისწინონ განსხვავებული კულტურული გარემო, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის თავისებურებები, პერპსექტივები და რისკები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მასშტაბურმა განვითარებამ კიდევ უფრო გაამარტივა კომპანიებს შორის კომუნიკაციების დამყარების შესაძლებლობები. სოციალურმა მედია მარკეტინგმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა გლობალურ ბაზარზე. სოციალური კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებმა ახალი მუხტი მისცეს მომხმარებელთა პოზიციების გაძლიერებას ბიზნეს სფეროში. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მომხმარებელთა კვლევასთან დაკავშირებით საინტერესო სამუშაოებია ჩატარებული განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, იგი არასათანადოდ მიმდინარეობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

ინოვაციური პროდუქტების დიფუზია ხელს უწყობს საერთაშორისო მომხმარებელთა ლოალურობის გაძლიერებასა და პროდუქტის ინტენსიურ მოხმარებას. კვლევები ადასტურებენ, რომ გლობალურ ბაზარზე მომუშავე კომპანიები ცდილობენ, მომხმარებელთა სტიმულირების მრავალფეროვანი აქციები განახორციელონ. ისინი ძალისხმევას არ ზოგავენ, რათა მომხმარებელს აგრძნობინონ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა კომპანიის წარმატებაში, რაც მათ ლოიალურობაში გამოიხატება. მომხმარებელთა კვლევის წარმოდგენილი ასპექტები განსაზღვრავენ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიას. მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ბრენდისადმი ლოიალურობის ზრდაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლი, რასაც ამ დარგის ცნობილი სპეციალისტების – კოტლერის, კელლერის, კიტჩენის კუსიკის, შმიდტის და სხვების ბოლოდროინდელი შრომები ადასტურებენ.

მკვლევარების უმეტესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა ურთიერთობების მართვისადმი სერიოზული დამოკიდებულება, კომპანიებმა უნდა იზრუნონ მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე, ხოლო ლოიალურობა განიხილონ, როგორც ბიზნესის სტრატეგიული მიზნებისადმი უმთავრესი მიდგომა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლოიალურობის მოპოვება შესაძლებელია, თუმცა მარკეტოლოგებმა მისი შენარჩუნებისთვის ფრთხილად უნდა იმოქმედონ. ასეთი შეხედულების გაზიარება განსაკუთრებით სასარგებლოა ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ბაზარზე საქმიანობისას მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი საინტერსო ტენდენციებით ხასიათდება. აშკარაა, რომ ქართველი მომხმარებლების მარკეტინგული ცოდნა თანდათანობით მაღლდება, თუმცა, მათი მყიდველობითი უნარი, ჯერ კიდევ დაბალია, რაც მათ სამომხმარებლო ქცევაში აისახება. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ ჩვენში ნაკლებადაა შესწავლილი ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის საკითხები. აღნიშნულის გათვალისწინებით, თსუ მარკეტინგის კათედრაზე ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ჩართვის დო-

თსუ პროფესორი ნუგზარ თოდუა და თსუ ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში პროფესორ ფილიპ კიტჩენთა ერთად მილანის კათოლიკურ უნივერსიტეტში, კორპორაციული და მარკეტინგული კომუნიკაციების მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე.

ნის გამოვლენა, აგრეთვე იმის წარმოჩენა, თუ რას აქცევენ ყურადღებას ქართველი მომხმარებლები ყიდვის დროს და როგორ ვლინდება მათი ლოიალურობა. კვლევის შედეგად გაანალიზდა მთავარი ფაქტორები, რომლებიც ქართველი მომხმარებლების მიერ ბრენდისადმი ლოიალურობაზე გავლენას ახდენენ.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ქართველი მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებს 4 ძირითადი ფაქტორი: ბრენდის ცნობადობა, აღქმული ხარისხი, ბრენდის ასოციაცია და ბრენდის ლოიალურობა. ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართველი მომხმარებლებისათვის ძლიერი ბრენდის მახასიათებელში მთავარია: ხარისხი, კომუნიკაციური სტრატეგია, გასაღების სტიმულირება, კონკურენტული ფასები და დამატებითი მომსახურება. ქართველ მომხმარებელთა უმრავლესობისათვის ხარისხის ინდიკატორად მიჩნეულია ბრენდის ქვეყნის წარმომავლობა. კვლევა ცხადყოფს, რომ ბრენდისადმი დაბალ ლოიალურობას, დაბალი მყიდველობით უნართან ერთად, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ინსტრუმენტების არათანმიმდევრული და ნაკლებეფექტიანი მუშაობა განაპიროებებს, რაც სტიმულს უკარგავს მომხმარებელს.

მარკეტინგული კვლევის შედეგად გამოვლენილია ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის თავისებურებები, კერძოდ, დადგენილია, რომ ქართველ მომხმარებლებს ახასიათებს საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის ლოიალური ქცევა, მათ შეიძლება ჰყავდეთ ფავორიტი ბრენდი, თუმცა, ახალ გამოჩენილზეც არ ამბობენ უარს. კვლევის საშუალებით დადგინდა, თუ პროდუქტისა და მომსახურების რომელ ატრიბუტს აქცევს მომხმარებელი ყურადღებას ყველაზე მეტად, რამდენად არიან ისინი აქტიურები კომპანიების მიერ გამოცხადებულ ლოიალურობის აქციებში, ვის აზრს ითვალისწინებენ ყიდვის დროს, რაში გამოიხატება მათი ლოიალურობა, რა დონის ჩართვასთან გვაქვს ზოგადად საქმე, რა სახით ხდება ინფორმაციის მოძიება და ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქართველი მომხმარებლების მიერ. კვლევის შედეგები სასარგებლოა როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიებისათვის, რომლებიც საქართველოს ბაზარზე საქმიანობას გეგმავენ.

თსუ საერთაშორისო კონფერენციები 2015

თსუ საერთაშორისო კონფერენციები 2015

კონფერენცია „ჯიქთა (ზიხების) ეთნიკური კუთვნილების პრობლემა და ჯიქეთი საქართველოს ისტორიაში“

2015 წლის 2 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსიპ ჩერქეზული (ადირეული) კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – ჯიქთა (ზიხების) ეთნიკური კუთვნილების პრობლემა და ჯიქეთი საქართველოს ისტორიაში. კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის პროფესორ გიორგი როგავას (1905-1990) 110 წლის იუბილეს, რომელიც 1958-1990 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ტენდენციები ნაწილაკების ფიზიკაში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (თსუ მეფი) ორგანიზებით თსუ-ში 26-27 ნოემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ტენდენციები ნაწილაკების ფიზიკაში“. კონფერენცია მიეძღვნა თსუ მეფი-ის დაარსებიდან 35 წლისთავს. მასში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყნიდან როგორიცაა იაპონია, გერმანია, შვეიცარია, ინგლისი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი. საიუბილეო ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა თსუ რექტორმა, აკად. ვ.პაპავამ. მანვე დააჯილდოვა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომლები ბ.ჭილაძე და თ.ჯობავა უნივერსიტეტის მედლით.

მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ: პროფესორი სატოში მიჰარა (იაპონია), პროფესორი ვლადიმერ კეკელიძე (ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი), პროფსორი პიტერ იენი ცერნ-იდან, პროფესორი რ.ბოჭორიშვილი – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ჯაიანი – ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. მისალოცი წერილები გამოგზავნეს: საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა თ. სანიკიძემ, ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვ.მატვეევმა და ინსტიტუტის უხუცესმა თანამშრომელმა გ.ნიკობაძემ. ინსტიტუტის დაარსების და მისი საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მ.ნიორაძემ.

სამეცნიერო პლენარულ სხდომებზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მოწვეულმა მეცნიერებმა უცხოეთიდან, უცხოეთში მოღვაწე ინსტიტუტის ყოფილმა და ახლანდელმა თანამშრომლებმა. კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერები. აღსანიშნავია, რომ თსუ ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტის ბ.ჩარგეიშვილის მოხსენებამ, რომელიც მან ცერნში მოამზადა, მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის მსვლელობისას გაფორმდა მემორანდუმი თსუ და ოსაკას უნივერსიტეტს შორის, რომელსაც თსუ-ის მხრიდან ხელი მოაწერა პრორექტორმა მ.ელიაშვილმა და იაპონიის მხრიდან პროფ. ი.კუნომ. ხელშეკრულება საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

კონფერენცია „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“

2015 წლის 5-6 ნოემბერს თბილისში გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი კონფერენცია. ღონისძიება ჩატარდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. კონფერენციის თემა: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ წამყვანი მეცნიერები გერმანიიდან, სლოვაკეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ ეს საერთაშორისო კონფერენცია უკვე მეორე ღონისძიებაა, რომელიც ტარდება თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობით. პირველი კონფერენცია ჩატარდა 2012 წლის ოქტომბერში ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერი და ეხებოდა კერძო სამართლის განვითარებას კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებში.

კონფერენცია „შრომითი და გარემოსდაცვითი რესურსები მრავალეთნიკურ ქვეყნებში/მრავალკულტურულ საზოგადოებებში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-სა და გისენის (გერმანია) იუსტუს ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტის ორგანიზებით და DAAD-ს ხელშეწყობით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: შრომითი და გარემოსდაცვითი რესურსები მრავალეთნიკურ ქვეყნებში/მრავალკულტურულ საზოგადოებებში. კონფერენცია მიეძღვნა თსუ-სა და გისენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის 10 წლის იუბილეს. თსუ-ს და გისენის უნივერსიტეტის აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო გისენის უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტების ოცდაათამდე წარმომადგენელმა. ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტის პრორექტორმა, საქართველოში გერმანიის საელჩოს, საქართველოს განათლების სამინისტროს და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის წარმომადგენლებმა, აგრეთვე, აკადემიურმა პერსონალმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა პროფესორ ანეტე ოტეს.

კონფერენცია „გამოწვევები ელემენტარული ნაწილაკების თანამედროვე ფიზიკასა და კვანტურ ველების თეორიაში”

30 ოქტომბერს – 1 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას “გამოწვევები ელემენტარული ნაწილაკების თანამედროვე ფიზიკასა და კვანტურ ველების თეორიაში“.

კონფერენცია გამოჩენილი ფიზიკოსის და თეორიული და მათემატიკური ფიზიკის დარგში რამდენიმე ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის ავტორის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის 85 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: თსუ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ბირთვულიკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (დუბნა) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევებისინსტიტუტი (მოსკოვი).

კონფერენციის მთავარი თემები იყო:

ნაწილაკების და რელატივისტური ბირთვული ფიზიკის თანამედროვე საკითხები;

კვანტურ ველების თეორია;

ასტრო-ნაწილაკების ფიზიკა და კოსმოლოგია;

თეორიული და მათემატიკური ფიზიკა.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ:

ზ. ბერეჟიანი (ლაქვილას უნივერსიტეტი, იტალია); დ. ფურსაევი (დუბნას სახელმწიფო უნივერსიტეტი); გ, გაბადაძე (ნიუ–იორკის უნივერსიტეტი, ნიუ–იორკი); გ. ჯაფარიძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია); ვ. კეკელიძე (ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი, დუბნა); ა. კვინიხიძე (რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი); ვ. მატვეევი (ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი, დუბნა); მორაი სმიტი (ITP, Ttrecht); ვ. რუბაკოვი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტი, მოსკოვი); მ. შაპოშნიკოვი (ლოზანის ფედერალური პოლიტექნიკური სკოლა; ი. ტკაჩოვი ((რუსეთისმეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტი, მოსკოვი); გ. ციციშვილი (თსუ).

კონფერენცია „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში

2015 წლის 13 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჭრილში“ გაიხსნა.

კონფერენციის მიზანი ქართულ-ოსური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას, თანამედროვე ინტერდისციპლინურ კვლევების ხელშეწყობა გახლდათ.

ღონისძიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, ახალგაზრდა მკვლევრებმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კონფლიქტოლოგებმა, ექსპერტებმა, ჰუმანიტარული, სოციალურ-პოლიტიკური დარგების მკვლევრებმა.

კონფერნციაზე მუშაობდა 5 სექცია, მათ შორის სტუდენტური სექცია და მრგვალი მაგიდა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. კონფერენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით გამოფენა „ქართულ-ოსური ურთიერთობების ქრონიკები“ მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოსური ენის სახელმძღვანელოები, ოსი მეცნიერების შრომები, ფოტომასალა.

ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია სისხლის სამართალში!

9-10 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია სისხლის სამართალში. კონფერენცია ტარდება იურიდიული ფაკულტეტის ტრანსნაციონალური და შედარებითი სისხლის სამართლის ინსტიტუტის (დირექტორი პროფ. მერაბ ტურავა) ხელშეწყობით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა, სისხლის სამართლის აღიარებულმა მეცნიერებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, კიოლნის უნივერსიტეტი, ჰანოვერის უნივერსიტეტი).

საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური კონფერენცია

2015 წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბერამდე ჩატარდა საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური კონფერენცია. საქართველოს მექანიკოსთა კავშირთან ერთად კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული კომიტეტი თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი (კერძოდ, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი), თბილისის საერთაშორისო ცენტრი მათემატიკასა და ინფორმატიკაში და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი. სხდომები მიმდინარეობდა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში კონფერენცია გახსნა კავშირის პრეზიდენტმა, თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა გიორგი ჯაიანმა, კონფერენციის გახსნისას უცხოელ და ქართველ მეცნიერებს მიესალმნენ თსუ რექტორის მოადგილე პროფესორი მერაბ ელიაშვილი და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფესორი გელა ყიფიანი.

კონფერენციის ტრადიციულ თემატიკას: მყარ დეფორმად სხეულთა მექანიკა; ჰიდროაერომექანიკა; სითხეებისა და მყარი სხეულების ურთიერთქმედების ამოცანები; გამოყენებითი მექანიკა; ანალიზის მონათესავე საკითხები დაემატა „საფრენი აპარატების მექანიკა“. კონფერენციაზე მოსისმინეს 35 წუთიანი მიმოხილვითი შვიდი მოხსენება (მათ შორის ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორ რაინჰოლდ კინცლერის (გერმანია) და მაგდებურგის უნივერსიტეტი პროფესორ ჰოლმ ალტენბახის (გერმანია)) და კონკრეტულ შედეგთან დაკავშირებული 20 წუთიანი 37 მოხსენება. კონფერენციის ვებ-გვერდის მისამართია:

http://www.viam.science.tsu.ge/others/gnctam/annual6.htm

კონფერენცია „მედია, სამართალი და ეთიკა: რეგიონალური პერსპექტივები“

27 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა თსუ-სა და დოიჩე ველე აკადემიის ერთობლივი სამხრეთ კავკასიის სამეცნიერო კონფერენცია “მედია, სამართალი და ეთიკა: რეგიონალური პერსპექტივები“ („Media, Law and Ethics – the Regional Perspectives“). კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჟურნალისტიკის დეპარტამენტების და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. წარმოდგენილი იყო 11 მოხსენება. ღონისძიების მხარდამჭერი იყო თსუ იურიდიული ფაკულტეტი და ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი. კონფერენციის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო მედია განვითარების ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემია“.

კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“

2015 წლის 10 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით, პარლამენტისა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური მხადაჭერით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გახსნა. კონფერენცია XXI საუკუნის უმნიშვნელოვანეს პრობლემას – ენის ტექნოლოგიების შექმნისა და განვითარების საკითხებს დაეთმო. ენის განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ანალოგიური კონფერენცია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისის შენობაში, უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის თაოსნობითა და ხელშეწყობით 2013

წელსაც გაიმართა. სწორედ აღნიშნულ ფორუმზე, რომელიც „ქართული ენა 21-საუკუნეში – გამოწვევა და პერსპექტივები“ სახელწოდებით ჩატარდა, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოებრივი მიდგომის ჩამოყალიბებას, რასაც ქართული ენის თანამედროვე ტექნოლოგიებით დოკუმენტირება, კვლევა და „ციფრული“ დამკვიდრება ჰქვია.

ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანაორგანიზატორობით მომზადებული კონფერენცია ქვეყანაში მიმდინარე სამუშაოთა ინტერნაციონალიზაციასა და თანამედროვე მსოფლიოში დარგში დაგროვილი ცოდნის ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებას ემსახურებოდა. კონფერენცია სასწავლო-სამეცნიერო სემინარით დაასრულდა, რომელზეც ათეულობით ახალგაზრდა და მათი პროფესორ-მასწავლებლები კორპუსის ლინგვისტიკის მიღწევებს გაეცნენ. ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“

2015 წლის 11 ივლისს ჩატარდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. ორგანიზატორი – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. მონაწილეობდნენ მეცნიერები შემდეგი ქვეყნებიდან – საქართველო, რუსეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა, ყაზახეთი.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

2015 წლის 25-27 ივნისს თბილისში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ ჩატარდა.

კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა. კონფერენციის ძირითადი თემა იყო „ სოციალური და სივრცითი მობილობა.“

დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“

2015 წლის 27 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს.“ საქართველოში 27 მაისს აღინიშნება ქართული დიასპორის დღე. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2008 წლიდან ყოველ წელს აღნიშნავს ამ თარიღს. წელს დიასპორის დღეების ფარგლებში დაგეგმილია პროგრამა 27-29 მაისის ჩათვლით. დიასპორის დღეები გაიხსნება 27 მაისს პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმით „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. ღონისძიების ორგანიზატორი იყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ხოლო პარტნიორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმის ფარგლებში მოხდა მსოფლიოში გაფანტული ინტელექტუალური რესურსის საქართველოში თავმოყრა. პროფესიულ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელების შთამომავლები.

ღონისძიების გახსნის ცერემონიის შემდეგ ფორუმი შვიდ სამუშაო ჯგუფად დაიყო, სადაც საქართველოში ჩამოსულმა სპეციალისტებმა ქართველ კოლეგებთან ერთად საკუთარი დარგის განვითარებაზე იმსჯელეს. თემატურ ჯგუფებში მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია და დებატები, როგორც მოკლევადიან, ასევე პრობლემათა გადაჭრის ფართომასშტაბური, მდგრადი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად და სამომავლოდ ხელშესახები შედეგების მისაღებად.

საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები“

2015 წლის 7-10 მაისს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები სიახლეები“ (ICAE-2015). კონფერენციას მასპინძლობდა ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – გეოგრაფიის დეპარტამენტი (კონფერენციის თავმჯდომარე პროფესორი ლია მაჭავარიანი).

კონფერენციის გახსნას (7 მაისი) დაესწრნენ თსუ რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები, 19 ქვეყნის 150-მდე უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერი. ერთ-ერთი სექცია მიეძღვნა თსუ მრჩეველთა საბჭოს წევრის, პროფესორ შოთა ცხოვრებაშვილის 95 წლისთავს. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ფოტოგამოფენა „საქართველოს ბუნება: გუშინ და დღეს“. 9-10 მაისს კონფერენციამ მუშაობა ქ. ბათუმში განაგრძო.

კონფერენცია „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია – გზა ევროპისაკენ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 29 აპრილს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია – გზა ევროპისაკენ“ გაიმართა.

ღონისძიებას იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სასამართლოსა და სახელმწიფოს სხვა უწყებების წარმომადგენლები დაესწრნენ.

უნივერსიტეტის ინფორმაციით, კონფერენციის პირველ ბლოკში სამართლის პროფესორმა ნინო გვენეტაძემდა მოსამართლემ რენატა ვინტერმა განიხილეს კოდექსის პროექტი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე, მოწვეულმა ექსპერტებმა, ქეთევან მჭედლიშვილმა-ჰედრიხმა, რენატა ვინტერმა და ჰელგა ობერლოსკამპმა ისაუბრეს გერმანული კანონმდებლობით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე, მათ მიმართ განხორციელებულ ევროპულ მიდგომებზე. ასოცირებულმა პროფესორმა მორის შალიკაშვილმა წარადგინა მოხსენება თემაზე: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტის კრიმინოლოგიური შეფასება“.

პროცესუალურ და სასჯელაღსრულებით ნაწილში არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის ლიბერალიზაციის საკითხზე დააფიქსირეს საკუთარი აზრი მოსამართლეებმა, პროკურორებმა და სხვა პრაქტიკოსმა იურისტებმა.

სტუდენტ-არქეოლოგთა რიგით მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია

2015 წლის 23-27 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ვარძიაში გაიმართა სტუდენტ-არქეოლოგთა რიგით მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც არქეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს – აუგუსტუს ჰენრი ლეინ ფოქს პიტ რივერსს ეძღვნებოდა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ოქსფორდის, ინსბრუკის, ედინბურგის, ვარშავის, ლოძის, ტორუნის, ანკარის, თეირანის, დურჰამის, ლეიდენის, მელბურნისა და იენას უნივერსიტეტების, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლონეთის აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

თსუ მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულზე

2015 წლის ნოემბერში მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული გაიმართა, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული.

საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში 14 ნოემბერს თსუ სტუდენტებმა და პროფესორებმა გამართეს საჯარო ლექციები. დამთვალიერებლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში, სახალისო ექსპერიმენტებში ფიზიკასა და ქიმიაში. „ექსპო-ჯორჯიაში" გამოიფინა თსუ ზოოლოგიის მუზეუმისა და თსუ მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ექსპონანტები.

www.tsu.edu.ge

ISSN 2233-3657

9 772233 365003